ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №6 (2024) 11.09.2006 • ფასი 30 თეთრი

## წერილით მივმართავთ ევროსაბჭოს

მე-2-5 გვ.

მადლიერნი ვართ ევროსაბჭოსი მის მიერ დღემდე საქართველოს პრობლემებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის და მათს გონიერ გააზრებაზე დახარჯული შრომისათვის. წინამდებარე წერილის მიზანია გაახლოთ ჩვენი აზრი საქართველოს კანონის პროექტზე „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“, რომელიც ეხება საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან 1944 წლის 15-16 ნოემბრის ღამეს იძულებით გადასახლებული მაჰმადიანებისა (ოჯახებითურთ) და მათი შთამომავლობის ბედს.

## ამსტერდამის ჩეიმი

მე-6 გვ.

## ერთიანდერთი ხსნა

მე-7-8 გვ.

## ინტერვიუ „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარესთან ნ.ნათაძესთან




მე-8 გვ.



მე-11 გვ.

## ვინ ვოიბო (ჯეჯეჯო-ბით) ლიბანის ომი?

მე-13 გვ.

(ახლო აღმოსავლეთის მოვლენათა ახალი ხვეული)

## ლიბანის ომი მსოფლიოს თვალში

## ისრაელს ლიბანის ომს წაგებულად უთვლიან



## ალ-ჟაზერა იგავლილ უკიზეზლო

მე-10 გვ.

მე-12 გვ.

## რას აპირებენ კუბელები კასტროს შემდეგ?




მე-14 გვ.

## სეით განვი-თარდება თურქეთ-ევროკავშირი ურთიერთობები?

## რას უქადის აგერბაიჯანს „ნაგორნიგსახელმწიფოს“ შერსეფექტივა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილით მივმართავთ ევროსაბჭოს

*„თავისუფლებას“ (ლიდერი კ. გამსახურდია) და ამ გაზეთის გამომცემელს „საქართველოს სახალხო ფრონტს“ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ღია პაექრობა გავუმართოთ და მოვუგოთ ყველა მოწინააღმდეგეს, რომელიც ცდილობს, საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული კონცეპტუალური ხედვები მოახვიოს მსოფლიო პოლიტიკას და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. (ასეთია, მაგალითად, ეუთოს საქართველოს მისიის ანტიქართული პოზიცია ცხინვალის საკითხზე, ბოდენის ცნობილი გეგმა აფხაზეთის მკაფიოდ ანტიქართული დარეგულირებისა და მრავალი სხვა). ამჯერად მსჯელობა ეხება ევროსაბჭოს რეკომენდაციას 2012 წლამდე საქართველოში 1944 წელს მესხეთიდან გასახლებული მუსლიმანებისა და, რაც მთავარია, მათი ოთხასათასიანი შთამომავლობის განუკითხავი შემოსახლების შესახებ, რაც, ობიექტურად, საქართველოს ამ მხარის დაკარგვას ნიშნავს პერსპექტივაში. საქართველოს პარლამენტი აპირებს ამ პროცესის მარეგულირებელი ბარბაროსულად უმეცრული და ასევე ბარბაროსულად ანტიქართული კანონის მიღებას.*

*წინამდებარე ტექსტი არის სავარაუდო (შავი) მონახაზი წერილისა, რომელიც უნდა მიეწეროს ევროსაბჭოს ამ თემაზე. იგი დაიხვეწება იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომელსაც, იმედია, საქმეში ჩახედულ მკითხველთაგან მივიღებთ.*

ბატონო თავმჯდომარეო

ბატონებო და ქალბატონებო

ქვემორე ხელის მომწერი პოლიტიკური პარტიები...

მადლიერნი ვართ ევროსაბჭოსი მის მიერ დღემდე საქართველოს პრობლემებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის და მათს გონიერ გააზრებაზე დახარჯული შრომისათვის. წინამდებარე წერილის მიზანია გაახლოთ ჩვენი აზრი საქართველოს კანონის პროექტზე „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“, რომელიც ეხება საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან 1944 წლის 15-16 ნოემბრის ღამეს იძულებით გადასახლებული მაჰმადიანებისა (ოჯახებითურთ) და მათი შთამომავლობის ბედს და რომელიც, როგორც გვეუბნებიან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, მოწონებულია ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ, აგრეთვე ევროსაბჭოს რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობს ხსენებული დეპორტაციის დროს გასახლებული პირებისა და მათი შთამომავლობის მასობრივ (იდეალურ შემთხვევაში – სრულ) ჩასახლებას საქართველოში 2012 წლამდე. ჩვენი აზრი იბეჭდება ქართულ პრესაში. გამჭვირვალობის ინტერესებში, მიზანშეწონილად ვრაცხთ ჩვენი წინამდებარე წერილის გამოქვეყნებასაც.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს კანონი (მისი პროექტის ტექსტი ჩვენ გადმოგვცა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ) მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის და მისი მოსახლეობისათვის, აგრეთვე მიგვაჩნია, რომ მისთვის მიუღებელია ევროსაბჭოს ზემოხსენებული რეკომენდაციაც, რომლის შესრულება არის აუცილებელი პირობა საქართველოს შემდგომი მონაწილეობისა ევროსაბჭოში. ეს რეკომენდაცია, ჩვენის აზრით, არის ან არარეალისტური არსებულ ვითარებასთან მიმართებაში, სახელდობრ, შეუთავსებელია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან, ან ამ ინტერესების ცნობიერად უგულებელმყოფელია.

კანონპროექტის შესახებ ჩვენი შეხედულებები შემდეგია:

1. კანონს მუხლში I („კანონის მიზანი“) დასახული აქვს მიზანი

– „სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დაბრუნებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა“,

– რომელიც არ არის ქართველი ხალხის მიერ ჩათვლილი საქართველოსა და მისი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებთან შეთავსებადად არც რეფერენდუმის ან პლებისციტის ფორმით, არც საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებში ისეთი კანდიდატურებისათვის ხმის მიცემის ფორმით, რომლებსაც დასახელებული მიზანი შეტანილი ექნებოდათ ან რაიმე სახით ნაგულისხმევი ექნებოდათ თავის საარჩევნო პროგრამაში,

– რომელიც არანაირად არ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, საქართველოს სხვა კანონებიდან ან საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან (საერთაშორისიო სამართლის ნორმებს აქ ვახსენებთ იმიტომ, რომ პირები, რომელთა „საქართველოში დაბრუნებისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნას“ მიზნად ისახავს კანონპროექტი, სხვა სახელმწიფოებში ცხოვრობენ როგორც მათი მოქალაქეები ან მოქალაქეობის გარეშე),

– რომელიც არანაირად არ გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა დამცველი, მათ შორის – უმცირესობათა უფლებების დამცველი საერთაშორისო კონვენციებიდან, რომელთა ხელისმომწერი სახელმწიფოა საქართველო,

– რომლის აღიარებასაც და დასახვასაც არ გულისხმობს მსოფლიოს იურიდიულ და პოლიტიკურ პრაქტიკაში არსებული რომელიმე გადაწყვეტილება, როგორც პრეცედენტი, და

– რომლის სრული შეუთავსებლობა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან დასაბუთებადია (რაც ნაჩვენები იქნება ქვემოთ)

2. კანონის მუხლის I („კანონის მიზანი“) ფორმულირებაში „ამ კანონით დადგენილი სისტემა ეფუძნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენის... ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპებს“ გამოყენებული გამოთქმა „ისტორიული სამართლიანობა“ არ არის შეტანილი კანონის მუხლის „2“ („ტერმინთა განმარტება“) მიერ განმარტებულ ტერმინთა რიცხვში. ამგვარად, კანონმდებელსაც და კანონით მოქმედ აღმასრულებელ ხელისუფლებასაც აქვთ საშუალება ამ გამოთქმაში ჩადონ ნებისმიერი შინაარსი, მათ შორის ისეთიც, რომელიც წანამძღვრად იქნება გამოყენებული საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებთან შეუთავსებელი გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკული ნაბიჯებისათვის. „ისტორიული სამართლიანობა“, ამ სიტყვის მოარული გაგებით, ნიშნავს ან გადაწყვეტილების მიღებას სახელმწიფოთა შორის საზღვრების გავლებაში ისტორიულად ცნობილი ვითარების შესაბამისად, ან მათს მიღებას ხალხთა, ერთა, ეთნოსთა, როგორც თვითცნობიერ ისტორიულ ერთეულთა, შორის საცხოვრებელი და გამოსაყენებელი სივრცის განაწილებაში ცნობილი ისტორიული ვითარებების შესაბამისად, მაგრამ არა მათს მიღებას ინდივიდუალური ადამიანებისათვის (და ოჯახებისათვის) მათ წინაპართა მიერ განცდილი ზარალის კომპენსაციაზე ორიენტაციით. ინდივიდთა (და ოჯახთა) მიერ განცდილი ზარალის ზღვევის ამოცანა სამოქალაქო სამართლის სფეროს ეკუთვნის, მათი პიროვნების ხელყოფისათვის დამნაშავის დასჯის ამოცანა სისხლის სამართლისას. არც ერთში, არც მეორეში „ისტორიული სამართლიანობა“, როგორც სამართლებრივი კატეგორია, არ ფიგურირებს. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ საქართველოს სამხრეთი რაიონებიდან სსრკ-ს ხელისუფლების მიერ მასობრივად გასახლებული პირების (ოჯახებითურთ) მიმართ ჩადენილი დანაშაული არის მათი საკუთრების ხელყოფა ერთის მხრივ და მათ მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული მეორეს მხრივ, ამასთანავე – დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ, და არა რომელიმე სხვა სახის დანაშაული, მათ შორის – არც დანაშაული „ისტორიული სამართლიანობის“ წინააღმდეგ ანუ ისეთი დანაშაული, რომელშიც დარღვეული იქნებოდა სახელმწიფოთა საზღვრები ან ეთნიკურ ერთეულთა (ერთა, ხალხთა, ისტორიულად თვითცნობიერ ეთნოსთა, როგორც ისტორიის სუბიექტთა...) საცხოვრებელი სივრცეების ისტორიულად სამართლიანი საზღვრები. შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლთათვის მიყენებული ნივთიერი, ფიზიკური და მორალური ზარალის ანაზღაურება (თუკი იგი ჯერ კიდევ შესაძლებელია) შეიძლება გულისხმობდეს, ჩამდენთა დასჯასთან ერთად, მხოლოდ მათი პიროვნული ადამიანური უფლებების შელახვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას და ნივთიერი ზარალის ანაზღაურებას, მაგრამ არა სხვა სახისას.

3. კანონის მუხლის 3 პუნქტის 2 სიტყვები „რეპატრიანტის სტატუსზე ულებამოსილი პირები არიან: იძულებით გასახლებული პირი, ან/და მისი მეუღლე, შვილი, შვილისშვილი, შვილთაშვილი, ასევე ამ პირთა მეუღლეები, არასრულწლოვანი შვილები და გერები“ რეპატრიანტის უფლებას ანიჭებს, ანუ საქართველოში შესახლების საშუალებას აძლევს სურვილის შემთხვევაში, პრინციპულად, ადამიანთა შეუზღუდველ რაოდენობას, ანუ პრინციპულად უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოში დასახლდეს ადამიანთა ახალი მასა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ტოლი იქნება ან მასზე უფრო მრავალრიცხოვანი, რამდენადაც

ა) „შვილთაშვილობა“ ანუ შთამომავლობა დროში შეუზღუდველი მიმართებაა. მაშასადამე, „შვილთაშვილობის“ მოტივით საქართველოში ახალ პირთა შემოსახლება შეიძლება გაგრძელდეს და გაგრძელდეს უსასრულოდ (ის, რომ კანონი მოქმედებს 2011 წლამდე, არ ნიშნავს, რომ მისი მოქმედება არ გაგრძელდება იმ მოტივით, რომ „რეპატრიაცია“ დამთავრებული არ არის)

ბ) გასახლებული პირის შთამომავალთა მეუღლეებისა და გერებისათვის საქართველოში „რეპატრიაციის“ უფლების მიცემა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს (სპეცსამსახურების ჩათვლით), მოახდინონ ნებისმიერ „შთამომავალთან“ (კაცთან და ქალთან) ნებისმიერი რაოდენობის შვილებისა და შვილიშვილების მყოლი პირის დაქორწინების ორგანიზაცია, რაც საქართველოსკენ გზას გაუხსნის ნებისმიერი რაოდენობისა და დავალების მქონე ადამიანთა მასას. ასეთი დაინტერესებული ორგანიზაციები და სამსახურები ბევრია. საკმარისია ითქვას, რომ დღეს მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ამერკავკასიის თურქიზაციისათვის, რასაც შორს მწვდომი სტრატეგიული გეგმები აქვს და, შესაბამისად, დაფინანსებაც არ მოაკლდება.

4. კანონპროექტი უგულებელყოფს კანონმდებლის მოვალეობას, რომ, როცა ანიჭებს პირთა რაღაცა კატეგორიას ქვეყანაში შემოსვლის უფლებას, ამ უფლების საფუძველი და მისი მინიჭების მოტივი მიუთითოს. კანონის მუხლის 3 პუნქტში I ნათქვამია, რომ „რეპატრიანტის სტატუსი ნიშნავს პირის სამართლებრივ კავშირს საქართველოსთან“, მაგრამ კანონი არ განსაზღვრავს, რა არის საქართველოსთან იურიდიული კავშირის არმქონე, სხვა ქვეყანაში მოსახლე პირისათვის ამგვარი კავშირის მაგულისხმებელი სტატუსის მინიჭების საფუძველი. ერთადერთი წარმოდგენადი საფუძველი ასეთი სამართლებრივი კავშირის დამყარებისა არის ის და შეიძლება იყოს ის, რომ ეს პირი დაზარალებულია საქართველოს ბრალით. მაგრამ კანონი არ განსაზღვრავს არც იმას, რომ რეპატრიანტობის, სახელდობრ, საქართველოში ცხოვრების უფლებადაკარგულის. უფლების საფუძველი დაზარალებაა, არც „დაზარალებულის“ ცნებას. ვინ არის დაზარალებული და რით? ის, ვინც აკვანში მწოლი გაასახლეს, დაზარალდა აყრით, ფიზიკური ტანჯვით, სიცოცხლის რისკით, უცხო ქვეყანასა და გარემოში აღზრდით და ა.შ. მაგრამ რით დაზარალდა მისი შვილისშვილის გერი, რომელიც დღეს 30 წლისაა და საქართველოს ხარჯზე ერთი კარგი სახლისა და ნაკვეთის მიცემას იმედოვნებს, რათა საქართველოს მიწაზე საქართველოსადმი ავად განწყობილი ან გულგრილად განწყობილი ოჯახი შექმნას, მით უმეტეს, თუ ამისთვის დავალებაც და დაფინანსებაც აქვს? თუ საქართველოში შემოსახლების უფლების წყაროდ აღიარებული იქნება წინაპრის – საქართველოს ყოფილი მცხოვრების – დაზარალებულობა, მაშინ რატომ არ ეძლევა საქართველოში შემოსვლის უფლება და სათანადო მატერიალური დახმარება იმ ქართველის შვილთაშვილს (ციმბირში მაცხოვებელს და არაფრით აღარ ქართველს), რომელიც იმავე ორმოციან წლებში ციმბირში „ტროიკის“ (სამეულის) განაჩენით გაასახლეს? რატომ არ არის საქართველო ვალდებული, მასაც მისცეს სახლი და ნაკვეთი? ხოლო თუ პირადი დაზარალება არ არის აუცილებელი საქართველოში დასახლების უფლების მინიჭებისათვის, მაშინ რაა ასეთი უფლების საფუძველი? სხვა სიტყვებით: კანონპროექტი სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლად ამყარებს სამართლებრივ კავშირს საქართველოსა და საქართველოს გარეთ მცხოვრებელ ადამიანთა დიდ მასას შორის, რისთვისაც კანონპროექტის თანახმად საკმარისია ამ მასაში შემავალი პირის სურვილის გამომხატველი განცხადება, რის შედეგადაც ამ პირს უჩნდება უფლებები საქართველოს მიმართ (მუხლი II. 1). იმისთვის, რომ ასეთი საფუძველი გაჩნდეს, მითითებული უნდა იყოს სათანადო მუხლები საქართველოს კანონმდებლობისა, საერთაშორისო სამართლისა (რამდენადაც საქმე ეხება რუსეთთან და იმ ქვეყნებთან ურთიერთობასაც, სადაც გადასახლებულები დღეს ცხოვრობენ) და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონვენციებისა, რომლებზედაც საქართველო ხელს აწერს. კანონპროექტი ასეთ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

საფუძვლებს არ უთითებს (და ვერც მიუთითებს, რადგან ასეთი საფუძველი არ არსებობს). „საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის“ განკარგულება (მუხლი II.2) ამ საფუძვლის შექმნისთვის საკმარისი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ რეპატრიაციის მსურველთა სამართლებრივი დაკავშირება საქართველოსთან უნდა მოხდეს (რაც განზრახულია) ხსენებული იურიდიული საფუძვლების გარეშე ანუ ამა თუ იმ არაიურიდიული (მორალური, პოლიტიკური, ჰუმანიტარული...) მოსაზრების საფუძველზე, მაშინ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ პლებისციტით, რამდენადაც საქართველოში ახალი მოსახლეობის შემოყვანა მისი მოსახლეობის (როგორც მინიმუმი) 12-15%-ის რაოდენობით ან (როგორც მაქსიმუმი) საქართველოს მოსახლეობის ტოლი ან მასზე დიდი რაოდენობით შესაბამისად ავიწროებს საქართველოს ყველა მოქალაქის და მისი შთამომავლობის მატერიალურ საარსებო ბაზას (ანუ: სურს თუ არა გადასახლებულ მუსულმანთა და მათ შთამომავალთა სასარგებლოდ ამგვარი მსხვერპლის გაღება, უნდა გადაწყვიტოს ხალხმა და არა „ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ).

კანონის ეს ხარვეზი, ერთის მხრივ, სამართლებრივი ტექნიკის ხარვეზია, ანუ იგი მდგომარეობს კანონმდებლის მიერ იმ პრაქტიკულ იმპლაკაციათა ვერგათვალისწინებაში, რომელიც შემოთავაზებულ ნორმებს მოსდევს, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი გამოუსწორებადია, ვინაიდან ამგვარი ლოგიკური ნახტომის გარეშე კანონმდებელი ვერაფრით ვერ შეძლებს გასახლებულთა შვილებისა და შვილიშვილებისათვის საქართველოში, რომელიც მათი „პატრია“ (სამშობლო) არაა და მათი ბიოგრაფიის არც ერთ მომენტში არ ყოფილა, „რეპატრიაციის“ უფლების მინიჭებას (უფრო ვრცლად – ამაზე ქვემოთ).

4. კანონის მუხლი 4 („დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი“) საქართველოში „რეპატრიაციის“ ანუ დასახლების უფლებას ადამიანს აძლევს, პრინციპულად, იმ შემთხვევაშიც, თუ მას „ეროვნულად“ და „დაბადებით“ საქართველოსთან არავითარი კავშირი არა აქვს და თუ მას ისეთი „რელიგია“ და „პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები“ აქვს, რომლებიც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს ეწინააღმდეგება. (მაგალითად, თუ მას მიაჩნია, რომ საქართველოში ისლამი სახელმწიფო რელიგიად უნდა იყოს გამოცხადებული, ან რომ ეს უნდა მოხდეს საქართველოს სამხრეთ ნაწილში მაინც, რომელიც უნდა ავტონომიური სტატუსით სარგებლობდეს მისი მუსლიმანი მოსახლეობის სასარგებლოდ, ან მიაჩნია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტი უნდა იყოს ისლამის ინტერესები და არა საქართველოს სახელმწიფოსი, ან, სულაც, მიაჩნია, რომ სამხრეთი საქართველო თურქეთის ტერიტორიაში უნდა მოექცეს, ან მიაჩნია პრინციპულად, რომ მუსლიმანური რელიგიის მქონე მოქალაქისათვის ისლამური ფეტვა (მუსლიმანური მაღალი იერარქიის ინტრუქცია მრევლისადმი) უფრო ძლიერი განმსაზღვრელი უნდა იყოს მისი ქცევისა, მილიტარულის ჩათვლით, ვიდრე სახელმწიფოს კანონი, მთავარსარდლის ბრძანება, პოლიციელის მოთხოვნა და ა.შ.. ამგვარი მენტალიტეტის მქონე პირთა დასახლება საქართველოში ნიშნავს სახელმწიფოსათვის რეალური სასიცოცხლო საფრთხის, ამ რიცხვში – აგრეთვე ფუნდამენტალისტური ისლამისტური საფრთხის შექმნას. სახელმწიფოს უფლება აქვს და მოვალეობა აწევს, თავისი მოსახლეობა და თავისი ქვეყნის მომავალი დაიცვას ამ საფრთხისაგან. ამგვარად, ახალი შენაძენი მოქალაქეების შემოწმება ქვეყნისათვის მათი უსაფრთხოების თვალსაზრისით მათი პოლიტიკური სულისკვეთების გამოკითხვის გზით არ არის ადამიანთა „დისკრიმინაცია“, ანუ მათი გარჩევა რაღაცა წინასწარგანსაზღვრული ნიშნებით, რომელთაც მოცემულ კონკრეტულ ამოცანასთან კავშირი არ აქვთ, არამედ ეს არის ყველა ადამიანისათვის ერთი და იგივე კრიტერიუმის გამოყენება, რომლითაც დგინდება მისი სანდოობა სახელმწიფოსთვის. თუ კანონმდებელს ჰსურს, სიტყვა „დისკრიმინაცია“ ამ საყოველთაოდ მიღებულისაგან განსხვავებული შინაარსით იხმაროს, მან „ტერმინთა განმარტებაში“ ამ სიტყვის განმარტებაც უნდა შეიტანოს.

შენიშვნა: რატომ აღმოჩნდა კანონპროექტში ხსენებული ფორმულირება, რომელიც წინა პროექტებში არ იყო – „განმცხადებლები და რეპატრიანტები არ უნდა იყვნენ დისკრიმინირებულნი სქესის, სახის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა სტატუსის საფუძველზე“ – სამწუხაროდ, გასაგებია: ქართველი საზოგადოებრიობა, პირველ ყოვლისა – მისი დისიდენტური წრეები ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის ეპოქიდან, სახელდობრ, 1960-იანი წლების დამდეგიდან ცდილობდნენ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან გასახლებული მუსლიმანი ქართველების მობრუნებას ქართული ცნობიერებისაკენ და იმათი რიცხვიდან, ვისაც ქართული მენტალიტეტი აქვს, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოყვანას საქართველოში. მთავარი დაბრკოლება, რომელიც სათანადო იურიდიული პროცედურის შექმნას უშლიდა, ამ პატრიოტულ-დისიდენტურ წრეებში ასე ფორმულირდებოდა: „რუსი არ მოგვცემს საქართველოს გულსრული მოქალაქეები გახდნენ. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ პროექტის ავტორები საქართველოს სახელმწიფოებრიობის იმავე (ან: ისეთივე) მტრების დავალებას ასრულებენ, როგორნიც საქართველოს განთავისუფლებამდე სსრკ-ს ხელისუფალნი იყვნენ.

5. კანონის მუხლი 6 („რეპატრიანტის უფლება-მოვალეობანი“), პუნქტი 3, „ბ“, სადაც ნათქვამია, რომ „რეპატრირებული ვალდებულია არ შეიცვალოს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საცხოვრებელი ადგილი რეპატრიაციიდან ერთი წლის განმავლობაში“, წინააღმდეგობაშია კანონის მუხლის 1 („ზოგადი დებულებანი“) სიტყვებთან, რომ „რეპატრიაციის სისტემა ეფუძნება... საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეტაპობრივ რეპატრიაციას“. რადგან თუ რეპატრირებულის ვალდებულება, რომ მისთვის გამოყოფილ ადგილზე დარჩეს საცხოვრებლად, ძალაშია მხოლოდ ერთი წლის მანძილზე და არა მუდმივად (სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგანაც თავისუფალი გადაადგილება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვში შედის), ეს იმას ნიშნავს, რომ „რეპატრიაციის“ წესით შემოსახლებული პროთურქული მასა ერთი წლის შემდეგ მთლიანად ან თითქმის მთლიანად თავს მოიყრის საქართველოს სამხრეთ რაიონებში და აქტიურ ბრძოლას დაიწყებს ამ რაიონების პოლიტიკური, დემოგრაფიული და კულტურული თურქიზაციისათვის, რაც ყოვლად შეუთავსებელია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან (მით უფრო, რომ ამ მასას სამხრეთ საქართველოში სახლების შესაძენად ექნება განუსაზღვრელი დაფინანსება თურქეთიდან, მსოფლიოს ისლამური ფონდებიდან და, მოსალოდნელია, რუსეთიდანაც, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის გაძლიერება ურჩევნია თვით საქართველოს გაძლიერებას). ამგვარად, კანონპროექტში გაცხადებული „პრინციპი“ რეპატრიანტების განსახლებისა მთელ საქართველოში, პრაქტიკულად, ყალბია, ანუ საშიშროება, რომ რეპატრიირებულები თავს მოიყრიან საქართველოს სამხრეთ რაიონებში და დაიწყებენ ბრძოლას ამ რაიონების თურქიზაციისათვის, კანონპროექტში გათვალისწინებული არ არის, ხოლო თუ გათვალისწინებულია, მაშინ კანონმდებლის მიერ არაა საჭიროდ ჩათვლილი, რომ კანონპროექტში განსაზღვრული იყოს მის წინააღმდეგ დამცავი მექანიზმი.

6. კანონპროექტის მინუსია ის, რომ იგი საქართველოს აკისრებს მისი ეკონომიკის მასშტაბებთან სრულებით შეუსაბამო მატერიალურ ხარჯს (გადასახლებულთა დაკმაყოფილება ბინით და ა.შ.) ისე, რომ არ უთითებს, რა არის ამ კომპენსაციის რაოდენობის გათვლის საფუძველი და რის პროპორციულად გაიცემა ეს კომპენსაცია. თუ იგი გაიცემა განცდილი ზარალის მიხედვით, მაშინ რატომ ეძლევა იგი გადასახლებულის „შვილიშვილს“ და „შვილთაშვილის გერს“, რომელნიც არაფრით დაზარალებულნი არ არიან, ან რატომ ეძლევათ არათანაბარი კომპენსაცია რეალურად ერთნაირად დაზარალებულებს, ანუ ფიზიკურად გადასახლებულებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამრავლდნენ ისინი საქართველოს გარეთ, გასახლების შემდეგ.

7. კანონპროექტის იურიდიული მინუსია ის, რომ იგი საქართველოს აკისრებს მატერიალურ კომპენსაციას სხვის, სახელდობრ, სსრკ-ს მიერ ჩადენილ დანაშაულზე, რისთვისაც კომპენსაცია ნებისმიერი სამართლებრივი ნორმით მხოლოდ სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთს ეკუთვნის.

8. თუ გავითვალისწინებთ კანონპროექტის საშუალებით დასარეგულირებელი საკითხის სირთულეს, სახელდობრ, იმას, რომ იგი ეხება, მდგომარეობის სხვა მხარეებთან ერთად, აგრეთვე ადამიანთა პირადი მატერიალური და მორალური ინტერესების და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთმიმართებას და მათ შეთავსებას, ადამიანთა ადამიანური უფლებების რომელობასა და საზღვრებს .და ამ უფლებათაგან გამომდინარე მოვალეობების რომელობას და საზღვრებს, აგრეთვე ადამიანთა თვითცნობიერი, სახელმწიფოებრივად ორგანიზებული და ისტორიაში მოქმედი ერთობების – ერების (ხალხების, ეთნოსების...) – უფლებებსა და მოვალეობებს და ამ უკანასკნელთა მიმართებას ადამიანთა ინდივიდუალურ უფლება-მოვალეობებთან, ისევე როგორც ეროვნული ინტერესებისა და უფლებების ადგილს ინდივიდის ინტერესებისა და უფლებების სისტემაში, მაშინ ცხადია (ევიდენტურია), რომ კანონპროექტში აღძრულსა და პასუხგაცემულ საკითხებს – ლოგიკურადაც და რეალობაშიც – თავისი ზოგადი მორალური (ეთიკური), ზოგადმსოფლმხედველობრივი (ფილოსოფიური) და აქსიოლოგიური (ღირებულებათმეცნიერული) წანამძღვრები აქვს. კანონპროექტი ამ წანამძღვრებს არ ასახელებს (არ განსაზღვრავს), არამედ არგუმენტაციის გარეშე, მდუმარედ, თავისი სურვილისამებრ (არბიტრალურად) ირჩევს რომელიღაცას თავისთვის სასურველს, მაგალითად, წანამძღვარს, რომ ოჯახისა და მისი შთამომავლობის ცხოვრება წინაპრების სახლში, რომელიც ამ უკანასკნელმა უკანონოდ დაკარგა, „ისტორიული სამართლიანობის“ ელემენტია და არა სამოქალაქო სამართლისა, ან, რომ ეს უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერისა და მისი შემადგენელი ინდივიდების უფლება თავისი ქვეყანა გარდუვალი ისტორიული კატასტროფისაგან დაიცვან, და უგულებელყოფს ყველა სხვა პასუხის შესაძლებლობას. ამრიგად, კანონპროექტს აქვს ის ფუნდამენტური დეფექტი, რომ მასში არ არის განსაზღვრული,

– იყო თუ არა 1944 წლის 16-17 ნოემბრის ღამის დეპორტაცია სამხრეთ საქართველოში დანაშაული, ვის მიერ იყო იგი ჩადენილი (და, შესაბამისად, ვის ჰმართებს, თუკი ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, მისი კომპენსაცია,

– რა ხასიათის დანაშაული იყო 1944 წლის 15-16 ნოემბრის დეპორტაცია – ქონების წინააღმდეგ, პიროვნების წინააღმდეგ, ანუ სისხლის სამართლის დანაშაული, ადამიანობის წინააღმდეგ, ამ სამივე სახისა ერთად თუ სხვა რამ ხასიათისა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

— ვის მიმართ იყო ჩადენილი დანაშაული და, შესაბამისად, ვინ არის დაზარალებული და რომელი ინტერესი (უფლება) შელახა დაზარალებულს ამ დანაშაულით (და, შესაბამისად, რა სახის კომპენსაცია ეკუთვნის დაზარალებულს).

ამ განსაზღვრებათა არარსებობა კანონპროექტში იმას ნიშნავს, რომ იგი არაადეკვატურია დასარეგულირებელი სიტუაციის მიმართ.

ყველა ამ განსაზღვრების მიღება კანონში არა მხოლოდ საჭიროა, არამედ სავსებით შესაძლებელიცაა, რადგან ყველა აღნიშნული პარამეტრი რეალური ვითარებისა ცნობილია. სახელდობრ:

— 1944 წლის 14-16 ნოემბერს დეპორტაცია იყო დანაშაული

— დეპორტაცია იყო სსრკ-ს დააშაული, შესაბამისად, კომპენსაცია დაზარალებულთათვის, თუკი ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, ჰმართებს სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთს და არავის სხვას.

— დეპორტაცია იყო დანაშაული საკუთრების მიმართ, რამდენადაც მისი ჩადენის დროს მსხვერპლებს წაართვეს სახლები, ნარგავები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. იგი იყო დანაშაული პიროვნებათა მიმართ, რამდენადაც მათ მიაყენეს ფიზიკური ტანჯვა და მსხვერპლი. ამავე დროს იგი იყო დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ, რადგანაც მისი მსხვერპლნი იყვნენ ბავშვები, მოხუცები და სხვა პირები ყოველგვარი დანაშაულის გარეშე. გარდა ამისა, ეს იყო დანაშაული არსებული კონსტიტუციის წინააღმდეგ, რამდენადაც მისი მსხვერპლნი (როგორც შემდგომ გამოირკვა სტალინის სიკვდილის შემდეგ, მათი „რეაბილიტაციის“ ანუ მათ მიერ არჩადენილი დანაშაულის მათთვის მოხსნის პროცესში) დამნაშავედ ცნეს სასამართლო პროცესის გარეშე და მათთვის შეტყობინების გარეშე.

— დანაშაული ჩადენილი იქნა პირველ ყოვლისა ინდივიდუალურ ადამიანთა — კაცთა, ქალთა და ბავშვთა მიმართ. იგი ჩადენილ იქნა აგრეთვე საქართველოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც იგი მოხდა და რომლის შედეგად სახელმწიფოსაც და მოსახლეობასაც შეექმნა მატერიალური და, განსაკუთრებით, მორალური პრობლემები ყოფილ თანამოქალაქეებთან და ყოფილ თანამემამულეებთან ურთიერთობისა მას შემდეგ, რაც იძულებულნი გახდნენ პასიურად ეცქირათ ამ უკანასკნელთა შეურაცხყოფისა და ტანჯვისათვის უცხო ძალის — სსრკ-ს შინაგანი ჯარების — მიერ. გარდა ამისა, საქართველოს წაართვეს მისი შვილების — გათურქებული, მაგრამ ნაწილობრივ მაინც პოტენციურად ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე მობრუნებადი ადამიანების დიდი მასა. მაგრამ ამ ნათელი სურათის კონსტატაციის შემდეგ ჩვენს წინაშე დგება ჩადენილი დანაშაულის კიდევ ერთი კვალიფიკაციის ამოცანა: საქმე ის გახლავთ, რომ ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა დიდი მასის იძულებითი აყრა მისი სახლობის ადგილიდან არ არის მხოლოდ ადამიანთა დაზარალება, როგორც ინდივიდებისა და პიროვნებებისა, არამედ იმ კოლექტიური (მრავლობითი) სუბიექტის დაზარალებაც, რომელსაც ისინი ერთობლივად წარმოადგენენ და ასახიერებენ დღეს იმ მკაფიო იდეის ფონზე, რომ იგი (ეს კოლექტიური სუბიექტი, ერი) არა მხოლოდ მათი, ანუ დღეს არსებული თაობების, კუთვნილებაა, არამედ მომავალი თაობებისაც სამარადისოდ, და რომელიც მათთვის და მათი შთამომავლობისათვის თავისთავადი ღირებულებაა, მათი პირადი ზარალისა და ტანჯვისაგან დამოუკიდებელი. ასეთი ორმაგი — ინდივიდუალური და ზეინდივიდუალური, ეროვნული — დაზარალების მაგალითად ისტორიიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ ებრაელთა გასახლება ასირიელების მიერ („ტყუენვაი ბაბილონისაი“), კახეთის აყრა-გასახლება შაჰ-აბასის მიერ XVII საუკუნის დამდეგს, თანამედროვეობიდან — ვეინახების (ჩეჩნებისა და ქისტების) გასახლება საბჭოთა კავშირის მიერ 1943 წელს. ამ წესით დაზარალებული არის არა მხოლოდ ინდივიდთა მასა, არამედ მათი თვითცნობიერი ერთობლიობა, როგორც ისტორიის კოლექტიური სუბიექტი, რომელიც ამით კარგავს (და რომლის ყოველი ინდივიდუალური წევრი კარგავს) არა მხოლოდ კომფორტს, ჯანმრთელობას, ადამიანური ცხოვრების პირობებს და ა.შ., არამედ სამშობლოსაც — თავის ექსკლუზიურად (პრიორიტეტულად) კუთვნილ ადგილს დედამიწაზე, სადაც მას საშუალება აქვს თავის ერთან ერთად თავისი ბუნებრივი და კულტურული მახასიათებლების შესაბამისად თავისი დამოუკიდებელი საზოგადოება აშენოს და დამოუკიდებლად ისწრაფოს კაცობრიობის მარადიული იდეალების განხორციელებისაკენ. ასეთ შემთხვევაში დაზარალება სამარადისოა — იგი ეხება თაობებს უსასრულო ისტორიულ პერსპექტივაში — და ამ ზარალის ანაზღაურებაც, ანუ მიყენებული ვნების გამოსწორებაც, შესაბამისად, უნდა მოხდეს ნებისმიერ დროს, როცა კი კაცობრიობა ამას შეძლებს. მაგალითად, სსრკ-ს მიერ გასახლებულ ჩეჩნებსა და ქისტებს ექნებოდათ შეუვალი უფლება თავის სამშობლოში დაბრუნებისა და მისთვის „ჩეჩნეთისა“ და „ქისტების“ სახელის აღდგენისა თუნდაც ათასი თაობის ჩავლის შემდეგ. 1944 წლის 15-16 ნოემბრის დეპორტაციის მსხვერპლებს ამგვარი ორმაგი დაზარალება არ განუცდიათ. ისინი იყვნენ ძალით გამუსლიმანებული და ასევე ძალით ქართულ ეროვნულ ცნობიერებადაკარგული და თურქულ ეროვნულ ცნობიერებაზე გადასული ქართველები, შესაბამისი ტერიტორიების მოსახლეობის ერთი ნაწილი (მეორე ნაწილი იყო და დღესაც არის ის, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ქართულ ეროვნულ თვითცნობიერებაზე დარჩა და დღესაც არის). გასახლებული მუსლიმანი ქართველები არ ყოფილან არც ერი, არც ტომი, არც ეროვნული თვითცნობიერების სხვა რამ ფორმის მატარებელი ჯგუფი, რასაც ცალსახად მოწმობს ის, რომ მათ არ ჰქონიათ და არ შეუმუშავებიათ რაიმე თვითდასახელება: ისინი თავის თავს უწოდებდნენ „იერლი“ (თურქულად — „ადგილობრივი“). მათ არ ჰქონიათ თავისი სამშობლო, როგორც სახელმწიფოებრივად ორგანიზებული და ისტორიაში სუბიექტად მოფუნქციე ეროვნული ტერიტორია (მათი შეუქცევადად გათურქებული ნაწილი ამ მხარეს თურქეთის ეთნიკურ ტერიტორიად თვლიდა, რომელიც თურქეთს უნდა დაუბრუნდეს მომავალში, და დღესაც ასე თვლის, ამგვარად, მათთვის სამშობლო პოლიტიკურად თურქეთი იყო და არის და არა ახალციხის მიდამოები. მეორე ნაწილი, რომელიც შეუქცევადად გათურქებული არ იყო, სამშობლოდ, ანუ ქვეყნად, რომლის შემადგენლობაშიც იგი, როგორც ეს ინდივიდი, ფუნქციობს კაცობრიობის მთლიან სისტემაში, ალბათ, საქართველოს თვლიდა. არც თურქეთი, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, არც საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, მათი დეპორტაციით რუკიდან არ გამქრალა, როგორც გაქრა ჩეჩნებისა და ქისტების გასახლების შედეგად ჩეჩნეთი და ქისტეთი. შესაბამისად, არც რომელიმე მათგანის წინაშე დამდგარა მოვალეობა სამშობლოს, როგორც თავისთავადი ღირებულების, გადარჩენისა და აღდგენისა ნებისმიერ ფასად, როგორც გასახლებული ქისტებისა და ჩეჩნების წინაშე იდგა. ეს განსხვავება არსებითია. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანისთვის სასურველია და სანატრელია იმ მიდამოში დაბრუნება, სადაც მის წინაპრებს რამდენიმე ათასი წლის მანძილზე უცხოვრიათ, მაგრამ ეს არ არის მათი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, რომელიც უნდა შესრულდეს ყველა შემთხვევაში და ყველა ფასად. სამშობლოს აღდგენის მოვალეობას (რამდენადაც სამშობლოს ქონა ყველა პიროვნების უფლებაა) შემზღუდავი პირობები არ აქვს. ამ ნოსტალგიას კი, ანუ წინაპართა ნამოსახლარში ცხოვრების ბუნებრივ ადამიანურ სურვილს, თავისი შემზღუდავი პირობები აქვს. სახელდობრ, რაკი ყოველი ტერიტორია რომელსამე სახელმწიფოს ეკუთვნის, მასზე დასახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ამ სახელმწიფოს ინტერესებთან თავსებადია. ამიტომ საქართველოში დასახლების სურვილი დეპორტირებულის ჩამომავლისათვის შესრულებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეთავსებადია საქართველოს ინტერესებთან, ანუ თუ შემოსახლების ეს მსურველი გენუინურად (გულწრფელად) აღიარებს ამ ტერიტორიას საქართველოდ და არ აპირებს მის პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, ენობრივ თუ კულტურულ ხელყოფას თურქეთის სასარგებლოდ. თუ არა, ანუ იმ შემთხვევაში, თუ შემოსახლების მსურველს ამოძრავებს მხოლოდ მამა-პაპათა მინდვრებსა და ფერდობებში თვალის გახარებისა და შთამომავლობის გაზრდის სურვილი, მაშინ იგი იძულებულია — და იძულებული უნდა იყოს, — გაითვალისწინოს არსებული პოლიტიკური და სტრატეგიული სიტუაცია და გაუგოს ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ვალდებულია არ ენდოს მას, როგორც აგრესიული თურქული ცნობიერების პატრონს, და ვერ გაბედოს მისი შემოშვება თავის მიწა-წყალზე ისეთ ვითარებაში, როცა, როგორც ვთქვით, საქართველოზე გააფთრებული შეტევა წარმოებს რამდენიმე მიმართულებით მისი თურქიზაციის მიზნით.

ამგვარად, ერთადერთი მიმართულება, რომლითაც იურიდიული და მორალური თვალსაზრისით სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა, „იერლი“ მოსახლეობა, დაზარალებულია, არის მისი ზარალი, როგორც ინდივიდებისა და ოჯახებისა. შესაბამისად, ამ ადამიანთა კომპენსაცია, თუკი იგი შესაძლებელია ჯერ კიდევ (მატერიალური მხრით ასეთი კომპენსაცია შესაძლებელი იქნება ყოველთვის), არის მათი კომპენსაცია როგორც ინდივიდებისა (ოჯახებისა) და არა როგორც ეთნიკური ერთეულისა. არ არსებობს არანაირი არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძველი, რომ მათთვის სსრკ-სგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსაციის ტვირთის საქართველოსთვის დაკისრების საკითხი დადგეს ან წამოყენებულ იყოს შესაბამისი მოთხოვნა. იმისთვის, რომ ჩვენი აზრი სავსებით ნათელი იყოს, შევნიშნავთ: დღეს რომ საქართველოს შემადგენლობაში ამა თუ იმ მიზეზით მოხვედრილი იყოს ტერიტორია, რომლიდანაც გასახლებული იქნა ერი (ტომი, ეთნოსი...) 10, 100 ან 200 წლის წინ, მაშინ დადგებოდა კითხვა საქართველოსთვის ამ ერის თავის ისტორიულ ტერიტორიაზე დაბრუნების და, ამგვარად, მისთვის სამშობლოს აღდგენის შესაძლებლობის მიცემისა, მორალურ სიბრტყეში მაინც. შემთხვევა, რომელსაც ვიხილავთ, პრონციპულად სხვაა. ამიტომ ჩვენი დასკვნა ცალსახაა: კანონპროექტი მიუღებელია. მისი მიღება იქნებოდა საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი სასიცოცხლო ინტერესების ღალატი, სახელდობრ, საქართველოს დექართველიზაციისაკენ, კერძოდ, მისი თურქიზაციისაკენ გადადგმული რადიკალური ნაბიჯი.

**ჩვენი აზრი ევროსაბჭოს რეკომენდაციის შესახებ, რომლის შესაბამისადაც საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, რომ 2012 წლამდე შემოასახლოს საქართველოში 1944 წელს სსრკ-ს მიერ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან რელიგიური ნიშნით დეპორტირებული მაჰმადიანებისა და მათი შთამომავლობის მთელი მასა,** შემდეგია

1. რეკომენდაციაც და მის საფუძველზე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებაც შეუთავსებადია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებთან. სახელდობრ

— თურქული ცნობიერებისა და ორიენტაციის მატარებელი მასის შემოსვლა საქართველოში გარდუვალ შედეგად მოიტანს ძლიერსა და გარედან ხელშეწყობილ მოძრაობას საქართველოს სამხრეთი რაიონების საქართველოსაგან მოწყვეტისათვის და თურქეთის შემადგენლობაში შეყვანისათვის. შუალედურ მოთხოვნად ამ მოძრაობას ექნება საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან — [illegible] შექმნა თურქულენოვანი და თურქული ცნობიერების მქონე მოსახლეობის ინტერესთა რეალიზაციის მოტივით

— ამ მასის ჩასახლება ამ რაიონებში დაუყოვნებლივ გამოიწვევს კონფლიქტს (და, სავარაუდოა, სისხლისღვრის საშიშროებას) მოსულებსა და ადგილზე მოსახლეებს შორის (რადგან ამ რაიონების მთელი სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობები ათვისებულია, ხოლო სხვა ეკონომიკური აქტივობა აქ, პრაქტიკულად, არ არის)

— ამ მასის შემოსახლება დაამძიმებს საქართველოს უმისოდაც უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობას, რამდენადაც საქართველოს უმისოდაც 300 ათასამდე ლტოლვილი ჰყავს და მოსახლეობის ერთი მეოთხედი იძულებით ემიგრაციაში იმყოფება).

2. ხსენებული რეკომენდაცია უსამართლოა ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. საქართველო არაა ვალდებული, მატერიალური და მორალური ზარალი აუნაზღაუროს სსრკ-ს მიერ დაზარალებულ პიროვნებებსა და ოჯახებს, მით უმეტეს, არაა ვალდებული რაიმე ფორმით თავს იდოს მზრუნველობა მათს შთამომავლობაზე, რომელიც საქართველოს გარეთ დაიბადა და ცხოვრობს.

3. დანაშაულის მსხვერპლთა სიმრავლე (1944 წელს სპეციალისტთა გათვლით 91 ათასზე ცოტა მეტი. დღეს მათი შთამომავლობა და ისინი, ვინც თავს მათ შთამომავლებად აცხადებს — 400 ათასზე მეტი) არ მოიცავს რომელსამე ისტორიულად, ეთნიკურად და პოლიტიკურად თვითცნობიერ ეთნოსს (ერს, ხალხს, ტომს...), რომლის წინაშეც იდგეს სამშობლოს, როგორც თავისი ქვეყნისა და ტერიტორიის, აღდგენის ამოცანა და ეკისრებოდეს შთამომავლობისათვის მისი გადაცემის მოვალეობა. საქართველოს სამხრეთი რაიონების მაჰმადიანი მოსახლეობა და მისი შთამომავლობა არ იყვნენ და არ არიან ცალკე ეთნოსი (იხ.ზემოთ) და ტერიტორია, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, არის მთლიანად ქართველი ერის, და მის რიცხვში — ადგილობრივი როგორც მაჰმადიანი, ისე არამაჰმადიანი (ქრისტიანი) ქართველების სამშობლო, რომლებიც (ეს უკანასკნელნი) იქ დარჩნენ და ცხოვრებას განაგრძობენ. გასახლებულნი, როგორც ჯგუფი, არ არიან ამ ტერიტორიის მეურვენი, როგორც მათი სამშობლოსი, და მისი აღდგენის მოვალეობა არ აწევთ, რადგან იგი არ გაუქმებულა. შესაბამისად, საქართველოს არა აქვს და ვერ ექნება მოვალეობა, თავისი ტერიტორიის რაღაცა ნაწილი გაიღოს რომელიმე ეთნოსის (ხალხის, ერის, ტომის... „იერლი“ ეთნოსი არ არის) გადასარჩენად გაქრობისაგან, თუნდაც ამ ტერიტორიის არაქართული ავტონომიის შექმნის სახით.

**შენიშვნა:** გასახლებული მაჰმადიანური მოსახლეობა შედგებოდა

— მუსლიმანი და დიდწილად ენობრივად და ცნობიერებით გათურქებული ქართველებისაგან (მთელი მასის 85-90%)

— ქურთებისაგან, რომლებიც

ინფილტრირებულნი იყვნენ, როგორც დაქირავებული მეჯოგეები, რუსეთის მმართველობის დროს

— თარაქამებისაგან, ანუ დღეს „აზერბაიჯანელებად“ წოდებული თურქებისაგან, რომლებიც იქ რუსეთმა ჩაასახლა 1830-იან და 40-იან წლებში პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად, რადგან ადგილობრივებს არ ენდობოდა,

— ხემშინებისაგან, ანუ მუსლიმი სომხებისაგან, რომლებიც აგრეთვე რუსულმა ადმინისტრაციამ აქ ჩაასახლა ცოტა გვიან.

რუსეთის ადმინისტრაცია შეძლებისდაგვარად აღრმავებდა ქართველი მუსლიმანების თურქიზაციის პროცესს და იმასვე აგრძელებდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც იმხანად ჯერ კიდევ ბევრად უფრო ნაკლებად გათურქებულ ქართველ მოსახლეობას ეროვნებად „აზერბაიჯანელი“ ჩაუწერა დოკუმენტებში და აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნა.

4. არც თანამედროვე სამართალში, არც უფლებადაცვით პრაქტიკაში არ არსებობს ნორმა, რომელიც სახელმწიფოს ავალებდეს მისი ტერიტორიიდან არა მის მიერ ამა თუ იმ ძალადობითი ან სხვა უკანონო ფორმით მოშორებული პირების შთამომავლობისათვის თავის ტერიტორიაზე ცხოვრების უპირობო უფლების მინიჭებას და მის მატერიალურ უზრუნველყოფას გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ გზით მოშორებული პირები არიან თვითცნობიერი ეთნოსი (ხალხი, ერი, ტომი.) და მათი შთამომავლობის იქვე დასახლებას მოითხოვს ეთნოსის (ხალხის, ერის, ტომის...) გაქრობისაგან გადარჩენის ამოცანა. ამ წესით აღდგა, მაგალითად, ქისტების და ჩეჩნების საშობლო. მაგრამ ეს წესი არ გავრცელდა არც 1945 წლის შემდეგ მასობრივად გაყვანილ სუდეტელ გერმანელებზე, არც ვოლგისპირელ გერმანელებზე, არც მრავალ სხვა, თავისი საცხოვრებლიდან იძულებით გაყვანილ დიდ ჯგუფზე. ამგვარად, საქართველოსადმი მიყენებული ნორმა, — რომ სახელმწიფო ვალდებულია მისი ტერიტორიიდან ამა თუ იმ დროს ამა თუ იმ სუბიექტის მიერ იძულებით გაყვანილი პირები და მათი შთამომავლობა თავის ქვეყანაში დასახლოს, თუკი ამ მოსახლეობას ეს ჰსურს, — შექმნილია სპეციალურად საქართველოსათვის, და არა ყველასათვის, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ყველა ჰუმანიტარული ნორმის, ისევე როგორც ყველა სამართლებრივი ნორმის, საყოველთაო — მნიშვნელადობის (Allgemeingültigkeit) პრინციპს.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან 1944 წლის 15-16 ნოემბერს სსრკ-ს მიერ გასახლებული მუსლიმანების შთამომავალთა საქართველოში 2012 წლამდე შემოსახლების შესახებ გასაუქმებელია, როგორც უსამართლო და როგორც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან შეუთავსებადი. საქართველოს არავითარი მოვალეობა არა აქვს ამ ადამიანების წინაშე გარდა იმისა, რომ, თუ რომელსამე მათგანს საქართველოში უძრავი ქონება აქვს დარჩენილი, რომელიც მათი გასახლების შემდეგ საქართველოს სარგებლობაში გადავიდა, მათ ეს საკუთრება გადასცეს. თუ ამ უსამართლო და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან შეუთავსებადი რეკომენდაციის მიყოლა და, მისგან გამომდინარე, საქართველოს მიერ თავისთავზე აღებული შესაბამისი ვალდებულების შესრულება აუცილებელი პირობაა საქართველოს ყოფნისა ევროსაბჭოში, მაშინ საქართველო დგება იძულების წინაშე, რომ აირჩიოს ან სიცოცხლე ევროპის გარეთ, ან სიკვდილი ევროპაში, რაც არანაირი არც მორალური, არც სამართლებრივი, არც ჰუმანიტარული საფუძვლის არმქონე იძულებაა.

თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვითხოვთ ევროსაბჭოსაგან პასუხს კითხვაზე: რა არის საქართველოს მოვალეობის საფუძველი, რომ

ა) მის ტერიტორიაზე სსრკ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად საქართველოდან დეპორტირებული ადამიანები და

ბ) ამ ადამიანთა შთამომალები, რომლებიც საქართველოში არ დაბადებულან და დღეს საქართველოს გარეთ ცხოვრობენ

საქართველოში დაასახლოს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კითხვას სამართალთან, მორალთან, ჰუმანიტარულ პრინციპებთან, მსოფლიო პრეცედენტებთან და ადამიანურ ინტერესთა და ღირებულებათა მეცნიერულ ცოდნასთან დაკავშირებული არანაირი პასუხი არა აქვს. თუ აქვს, დიდი მადლობელნი ვიქნებით თქვენი პასუხისა და მთელის გულმოდგინებით შევუდგებით ჩვენი დღევანდელი მიდგომის გადასინჯვას სამართლიანობის, კანონიერების, ჰუმანიზმისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

**შენიშვნა:** სამწუხაროდ, ვითარების რეალისტურად დანახვის ინტერესები მოითხოვს, რომ გაცნობოთ შემდეგიც. საქართველოს ტოტალური გაყალბებით არჩეული 1995 წლის პარლამენტის წევრები, რომელთაც სტრასბურგში აიღეს მოვალეობა 1944 წელს დეპორტირებულთა და მათ შთამომავალთა საქართველოში 2012 წლამდე შემოსახლების შესახებ, ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფი იყო, რომელსაც არ ჰქონდა უფლება საქართველოს ბედისათვის ესოდენ საკვანძო საკითხის გადაწყვეტისა. ხუხუნაიშვილი იყო ყოფილი „კომკავშირის“ მოღვაწე, ღოღობერიძე ქალიშვილია საქართველოში ფართოდ ცნობილი მაღალი თანამდებობის ჩეკისტისა და ჯალათისა, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით და დემონსტრაციული სიძულვილით ქართველობის მიმართ, ჩიტაია წევრი იყო ჟვანიას ჯგუფისა, რომელმაც ყველაფერი შესაძლებელი მოიმოქმედა საქართველოს ეროვნული ქონების რუსეთის ხელში გადასაცემად და ერთხმად ხმა მისცა წინა პარლამენტში საქართველოს შესვლას „დესეთეში“, ხოლო სააკაშვილი ის კაცია, რომელიც დღეს, საქართველოს პრეზიდენტად ყოფნისას ყველაფერს აკეთებს, რათა რუსეთისთვის საქართველოს ქონების გადაცემის პროცესი გაგრძელდეს და გაღრმავდეს, რომელმაც რუსეთის სამხედრო ბაზებს საქართველოში ოფიციალური სტატუსი მიანიჭა სამნახევარი წლით და საქართველოში რუსულ-ქართული „ანტიტერორისტული ცენტრის“ შექმნაზე თანხმობას აცხადებს. ამ მიმართულების ადამიანები თუმცა დღეს საქართველოს საჭესთან არიან როგორც (რუსეთის) შეფარული მარიონეტები, მაგრამ არანაირი ზომით არ გამოხატავენ ქართველი ხალხის არც ინტერესს, არც აზრს.

**დეპორტირებულებისა და მათი შთამომავლობის ბედის გაუმჯობესების რეალური შესაძლებლობა**

როგორც ვთქვით, საქართველოს არა აქვს არავითარი მოვალეობა 1944 წელს სსრკ-ს მიერ საქართველოდან დეპორტირებული მუსლიმანებისა და, მით უმეტეს, მათი შთამომავლების წინაშე (აქ აღარ ვეხებით იმ ფაქტს, რომ საქართველოდან დეპორტირებულთა შთამომავლებად დღეს თავს აცხადებენ სომხეთიდან ანალოგიური მოტივით იმავე წლის შემოდგომაზე დეპორტირებული ქურთებისა და ხემშინების შთამომავლები, რომელთა არსებობის ფაქტი, როგორც ჩანს, ევროსაბჭოსთვის სრულიად უცნობია). მაგრამ საქართველოს აქვს ინტერესი ამ ადამიანებისადმი, რადგან მათი დიდი ნაწილი (85-90%) ქართველი ერის სისხლი და ხორცია (დანარჩენები რუსების მიერ შემოსახლებული უცხოელები არიან და ამჯერად ჩვენი განხილვის სფეროში არ შემოდიან), რის გამოც საქართველოს საზოგადოებრიობა მონდომებულია, ამ ადამიანთა რაც შეიძლება დიდი პროცენტი დაუბრუნოს ქართულ ცნობიერებას და თანდათანობით — მათში ამ ცნობიერების გაღვიძებისდაკვალად — შემოიყვანოს საქართველოში, ვინც უკვე მზად იქნება საქართველოს მოქალაქეობის უმძიმესი ტვირთის საზიდად. ჩვენ გვჭირდებიან ეს ადამიანები დღევანდელ უმძიმეს პირობებში, როცა საქართველოსა და მის მოქალაქეთა წინაშე „მტრის ცეცხლის ქვეშ“ სახელმწიფოს მშენებლობის უმძიმესი ამოცანა დგას. ამ ადამიანებისათვის საქართველოს საზოგადოებრიობა შეძლებისდაგვარად ზრუნავს 1960-იანი წლებიდან და იზრუნებს შემდეგაც. მაგრამ საქართველოში შემოვა და დასახლდება მხოლოდ ის, ვინც თავისი ცნობიერებით ქართველი იქნება, და არა ის, ვინც საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს განიხილავს, როგორც მტერსა და მოწინააღმდეგეს.

შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქართველი ხალხის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით სწორედ ესაა, რასაც ჩვენ მოგახსენებთ, და არა ის, რასაც დღეს საქართველოში არანაირი ნდობისა და პრესტიჟის აღარ მქონე ხელისუფალთაგან მოისმენთ.

ველით თქვენს პასუხს ჩვენს კითხვაზე, რომელიც, დარწმუნებული ვართ, გაცემული იქნება სამართლის, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების,მორალისა და ეთიკისა და ღირებულებათმეცნიერების (აქსიოლოგიის) სფეროში დღეს კაცობრიობის ხელთ არსებული მდიდარი ცოდნის საფუძველზე.

## გაზ. „საქართველოს“ რედაქციას

გავეცანი თქვენი გაზეთის ა.წ. 26 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს: „რას წარმოადგენს კანონპროექტი ყოფილ სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“. წერილში გამოთქმული შენიშვნები ყურადსაღებია და მოითხოვს სერიოზულ განხილვას, თუმცა გათვითცნობიერებულ მკითხველს შეიძლება დაებადოს კითხვა: რამდენად შესაძლებელია საქართველოდან 1944 წლის დეპორტირებულ პირთა რეაბილიტაციის შესახებ მეტნაკლებად მისაღები კანონპროექტის შემუშავება და განხორციელება, როდესაც პრობლემის ხანდაზმულობის მიუხედავად სარწმუნოდ არაა ცნობილი, თუ რატომ განხორციელდა 1944 წელს მაჰმადიანების დეპორტაცია, რომელი ქვეყნები და რეგიონები მოიცვა ამ ღონისძიებამ და როგორი იყო დეპორტირებული მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა?

ოფიციალურად აღიარებულია, რომ 1944 წელს მაჰმადიანები გაასახლეს მხოლოდ საქართველოდან (ძირითადად, სამცხე-ჯავახეთიდან) უმცირესობათა მიმართ ე.წ.. „სტალინური რეჟიმის“ მიერ აღსრულებული მორიგი რეპრესიული ღონისძიების შედეგად. ყოფილი საბჭოთა კავშირის და მისი სამართალმემკვიდრის — რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების ინიციატივით დეპორტაციიდან 45 წლის შემდეგ (1989 წლის ფერგანის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ) გაცხადებული იქნა, რომ 1944 წელს საქართველოდან გაასახლეს მათივე მიერ შეთხზული და ისტორიულად არარსებული ეთნოსი „თურქ მესხები“, რომელთა რიცხოვნობის შესახებ მაშინ არაფერი თქმულა.

ორიოდე წლის შემდეგ საბჭოთა მასმედიაში ე.წ. „სტალინური დეპორტაციის“ შესახებ გამოქვეყნებული მასალიდან ჩანს, რომ 1944 წლის ნოემბერში საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებიდან (ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონებიდან) გაუსახლებიათ 91 095 (ან 94 955) თურქი, ხემშილი და ქურთი (იხ. ჟურნალი „კომუნისტი“ №3, 1991, 101-112).

ისტ. მეც. კანდ. დოც. შ. ნოზაძის მიერ ქ. პოდოლსკში, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში მიკვლეული მასალიდან ჩანს, რომ 1944 წელს საქართველოდან გაუსახლებიათ მაჰმადიანების 15 568 ოჯახი, 69 864 სულით, მათ შორისაა თურქი 59 780 (85,5%), ქურთი 8667 (12,4%), თარაქამი და ხემშილი 1408 სული (2,1%) (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 09.06.90; „თბილისი“, 06.06.92).

ზემოხსენებული „სტალინური დეპორტაციის“ შესახებ გამოქვეყნებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოდან 1944 წლის დამლევს მაჰმადიანების დეპორტაციის ღონისძიება უნდა განვიხილოთ როგორც საბჭოთა კავშირში II მსოფლიო ომის დროს ცალკეული ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების დამაგვირგვინებელი ეტაპი, თუმცა ასეთი აღიარების შემდეგ აუხსნელი რჩება, თუ რატომ საქართველოში განხორციელებული რეპრესია არ გავრცელდა მის მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც ჭარბად იყვნენ დასახლებული იგივე ან მონათესავე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რაც საქართველოში: თურქები, სპარსელები, ქურთები, თალიშები, ხემშილები, ყარაფაფახები და სხვანი?

ამ ფაქტთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში განხორციელდა მოსახლეობის გასახლება არა მარტო თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან, არამედ იმ ქვეყნიდანაც, რომელთა მოქალაქეებიც იყვნენ გასახლებულები. ასე მაგალითად: აშშ-ს პრეზიდენტის ფ. რუზველტის 1942 წლის 19 თებერვლის დეკრეტით იაპონიასთან ომის დაწყებისთანავე განხორციელდა შტატებში მცხოვრები იაპონელების განსახლება თავთავიანთ საცხოვრებელი ადგილებიდან და მათი დასახლება სპეციალურ ე.წ. „რეზერვაციის“ ზონებში. 1944-45 წლების პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკიიდან, სლოვენიიდან და დანიიდან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაასახლეს ამ ქვეყნებში მცხოვრები გერმანელები და უნგრელები. მაშინ და არც შემდეგ ეს აქციები არ ჩაუთვლიათ შესაბამის ქვეყნებში არსებული რეჟიმების უკანონო ქმედებად. მხოლოდ ყოფ. საბჭოთა კავშირში გერმანიის ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომის დროს, არცთუ უსაფუძვლოდ განხორციელებული ცალკეული ეთნიკური ჯგუფების დეპორტაცია, ამ ღონისძიების გატარებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აღიარებული იქნა ე.წ. „სტალინური რეჟიმის“ რეპრესიულ ქმედებად. ამის ჭეშმარიტი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ „სტალინის კულტის“ კრიტიკის ფონზე მათ ავტორებს სურდათ კიდევ უფრო მეტად დაემძიმებინათ ამ რეჟიმის „ბრალეულობა“ საჭოთა ხალხისა და კაცობრიობის წინაშე.

ჩემს მიერ მოძიებული სარწმუნო მასალიდან ჩანს, რომ 1944 წლის დამლევს მაჰმადიანები გაასახლეს არა მარტო საქართველოდან, არამედ სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ქვეყნების სახელმწიფო საზღვრისპირა რეგიონებიდანაც, რაც განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის გერმანიის ფაშიზმთან ომის სტრატეგიითა და ტაქტიკით (იხ. ა. მიქელაძის „დეპორტირებული მაჰმადიანები და საქართველო“, თბ., 2005., აგრეთვე ა. მიქელაძის „სამხრეთ კავკასიის რომელი რეგიონებიდან გაასახლეს მაჰმადიანები 1944 წლის დამლევს“, გაზ. „საქართველო“ №5 (2023). 26.07.06). საქართველოდან გასახლებულთა შორის იყვნენ თურქები, ქურთები,. თარაქამები (თურქული წარმოშობის აზერბაიჯანელები), ხემშილები (სომეხი მაჰმადიანები)

გაგრძელება მე-4 გვერდზე

და მაჰმადიანი მესხები, რომელთა უმრავლესობა მაშინაც ქართულ წარმომავლობაზე უარს ამბობდა და მიიჩნევდა, რომ თურქი იყო.

ამ ფაქტების პირობებში დიდად სამწუხაროა ვაღიაროთ, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ე.წ. „თურქი მესხების“ პრობლემებზე დაჟინებით მოითხოვდნენ „თურქი მესხები“ ეღიარებინათ, არც მეტი, არც ნაკლები, „მესხებად“ (ქართველებად), და მის საფუძველზე გადაეწყვიტათ მათი საქართველოში რეპატრიაცია-ადაპტაციისა და ჩასახლების პრობლემები.

ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ გაჟღერდა გასული წლის 5 ივლისს საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციის სახელმწიფო კომისიის ინიციატივით (კომისიის ხელმძღვანელი ყოფ. სახელმწიფო მინისტრი გ. ხაინდრავა) თბილისში მოწყობილი კონფერენციის დასახელებაში.

„მესხთა პრობლემების მდგრადი გადაწყვეტისათვის“, რომელზეც მოსმენილი იქნა ათამდე ქვეყნის წარმომადგენლის მოხსენება თემაზე „მესხთა პრობლემები აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, საქართველოში, თურქეთსა და აშშ-ში“. იგივე დადასტურდა მიმდინარე წლის მარტში ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ორგანიზაციის „ტოლერანტის“ გამგეობის ინიციატივით გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე თემაზე: „რეპატრიაცია -ინტეგრაციის პრობლემები“ (იხ. გაზ. „ფესვები“, №12, მარტი, 2006). შექმნილ ვითარებაში როგორ უნდა შემუშავდეს ე.წ. „კანონპროექტი“ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებულ პირთა რეაბილიტაცია-ადაპტაციის და ჩასახლების შესახებ, როდესაც სარწმუნოდ არაა ცნობილი მაჰმადიანების დეპორტაციის მიზეზები, დეპორტაციის რეგიონები და დეპორტირებული მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა. როდესაც დეპორტირებულ მოსახლეობას უწოდებენ ისტორიულად არარსებულ „თურქ მესხებს“ ან უფრო მარტივად მხოლოდ „მესხებს“? ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი „კანონპროექტი“ დაყრდნობილი წარსული მოვლენების მცდარ ინტერპრეტაციაზე არაფრის მომცემია და იგი რეალურად ვერ იმუშავებს. რა უნდა გაკეთდეს ესოდენ რთული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით? უპირველესად უნდა გაუქმდეს ან უკიდურეს შემთხვევაში, გადაიხედოს ევროსაბჭოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის თავს მოხვეული უკანონო და სრულიად დაუსაბუთებელი ვალდებულება: „1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანების და მათი შთამომავლების რეაბილიტაციის შესახებ“.

იმდროინდელი მოვლენების ჭეშმატირების დასადგენად ყადაღა უნდა მოეხსნას 1944 წლის სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული მაჰმადიანების იძულებით დეპორტაციის ამსახველ საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ მასალებს, რათა სარწმუნოდ დადგინდეს 1944 წლის დამლევს, რომელი რეგიონებიდან განხორციელდა მაჰმადიანების დეპორტაცია, რა იყო ამის მიზეზი და როგორი იყო დეპორტირებული მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა, სად და რა რაოდენობით იყვნენ ისინი განთავსებულნი და როგორ წარიმართა მათი შთამომავლების ცხოვრება და საქმიანობა დეპორტაციაში და მის შემდეგ? მიზანშეწონილია დადგინდეს დეპორტირებულ პირთა და შთამომავლების რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა ამჟამად მათი განთავსების რეგიონებიდან, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საქმიანობა და სხვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგინდეს იმ ქვეყნების წრე და კონკრეტული ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, რომელიც შეიძლება დაეკისროს მათ თანამედროვეობის ამ მეტად ხანდაზმული რთული და მცდარი მონაცემებით დახუნძლული პრობლემების გადასაწყვეტად.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა კოორდინაცია თავის თავზე უნდა აიღოს გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვანი). მასში მოზიდული უნდა იქნეს იმ ქვეყნების ხელისუფალთა წარმომადგენლები, საიდანაც მოხდა მაჰმადიანების დეპორტაცია, სადაც განხორციელდა მათი განთავსება და სადაც ამჟამად ცხოვრობენ დეპორტირებულები და მათი შთამომავლები. სამუშაოებში ჩართული უნდა იყვნენ ამ ქვეყნების სამართალდამცავი ორგანიზაციების და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები. არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვანი, ვისაც კი ხელეწიფება ამ პრობლემაზე მსჯელობა და საკითხების გადაწყვეტა. სამუშაოში მოზიდულ უნდა იქნენ მაღალი კვალიფიკაციის პოლიტოლოგები, კონფლიქტოლოგები, სოციოლოგები, ისტორიკოსები, ფსიქოლოგები, იურისტები, რელიგიის მსახურნი და სხვა.

სავსებით ნათელია, რომ ხსენებული სამუშაოები შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად და შედეგიანად, თუ ისინი დაფუძნებულნი იქნებიან ჭეშმარიტად აღიარებულ მოვლენებზე, ფაქტებსა და მაჩვენებლებზე, რაც არც თუ ისე ადვილი მისაღწევია.

თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია რეფერენდუმის გზით გამოკითხოს თავის მოსახლეობას, თუ რა აზრისაა 1944 წელს მხოლოდ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის და მათი შთამომავლობის საქართველოში კომპაქტურად ან განცალკევებულად განსახლებაზე (ამჯერად უკვე სარწმუნოდ დადგენილი მონაცემებით). რა შედეგი შეძლება მოჰყვეს ამ აქციას. ხომ არაა მოსალოდნელი ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის შეფერხება, გაუარესება საქართველოს მოსახლეობის საზიანოდ. ხომ არ აღმოვჩნდებით ქართველები საკუთარ სამშობლოში უმცირესობაში. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე საქართველოდან შრომისუნარიანი მოსახლეობის საზღვარგარეთის ქვეყნებში ინტენსიური მიგრაციის და პირიქით, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სხვა ერების თუ ეთნოსის წარმომადგენლების (ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, თურქების, აზერბაიჯანელების, ირანელების, ყაზახების, ჩინელების და სხვების) საქართველოში ჩასახლების ტენდენცია. ამ შემთხვევაში ფაქტიურად საქმე გვაქვს საქართველოს მომავალთან, რომელიც ძალზე დაფიქრებული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. გასულ პერიოდში ბევრი შეცდომა დავუშვით ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში. დღეს ჩვენ უაღრესად ფრთხილი და გონივრული პოლიტიკის გატარება გვმართებს, რაც გარკვეულწილად დააშშვიდებს და სტაბილურს გახდის საქართველოში მცხოვრები ერების ურთიერთდამოკიდებულებას და მასში ერთიანი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებას.

***საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ეროვნული აკადემიის რეგიონების სამეცნიერო-შემოქმედებითი სამსახურის ხელმძღვანელი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი***

***ალექსი მიქელაძე***

# ამსურდის ზეიმი

ადამიანები ხშირად ვერთიანდებით და უმრავლეს შემთხვევაში სისტემებს წარმოვქმნით. სისტემები კი სისტემურ ანალიზში შეისწავლებიან. დადგენილია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ორიენტირებულ სისტემათა კლასი, რომლის მართვა სისტემის გარედან პრინციპულად შეუძლებელია. ასეთი სისტემებია: ეკლესია, მეცნიერებისა და განათლების მუშაკთა გაერთიანებები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა გაერთიანებები და მრავალი სხვა. აქედან გამომდინარეობს, რომ მათი სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების არსებობა გაუმართლებელია. სახელდობრ, არ ყოფილა საჭირო არც მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო და არც კულტურის სამინისტრო. გთავაზობთ, გავარკვიოთ, რა არის ამის მიზეზი.

ადამიანთა გაერთიანებებით წარმოქმნილი სისტემები ორ კლასად იყოფიან:

1. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ორიენტირებული სისტემები, რომლებშიც ყველაფერი იმ ფასეულობას ექვემდებარება. ფასეულობები სხვადასხვა შინაარსისაა. მაგალითად, მეცნიერებისა და განათლების სისტემისათვის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობაა ცოდნა.

2. მიზნობრივად ორიენტირებული სისტემები. აქ ყველაფერი მიზანს ექვემდებარება. ამ სისტემებს განეკუთვნებიან შრომითი, (და არა შემოქმედებითი) კოლექტივები, ფირმები, კომბინატები, ორგანიზაციები, საწარმოები და სხვა.

ამ მეორე კლასის სისტემათა „გარედან“ მართვა შესაძლებელია. კერძოდ, მათი სახელმწიფოებრივი მართვის მექანიზმი ასეთია: ხელისუფლება კანონების მიღების მეშვეობით ცვლის გარემოს, რომელშიც სისტემა იმყოფება. შეცვლილ გარემოში არსებობის შესანარჩუნებლად სისტემა იძულებულია მოახდინოს თავისი მიზნების კორექტირება და შეიცვალოს სისტემის ორგანიზებული მოწყობა.

სხვაგვარია ურთიერთობა ხელისუფლებასა და პირველი კლასის სისტემებს შორის. ხელისუფლება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს ვერ ცვლის. ამ გზით ხელისუფლება ვერ მოახდენს მმართველობით ზემოქმედებას სისტემაზე. ზემოქმედების ერთადერთი საშუალებაა — შეცვალოს სისტემის ორგანიზაციული მოწყობა. ასეთ შემთხვევაში ირღვევა შეთანხმებულობა სისტემის მოწყობასა და ფასეულობას შორის. სისტემა ან იმსხვრევა, ან გადაგვარდება და ღებულობს მახინჯ ფორმებს, შეუსაბამოს ფასეულობასთან. ჩვენ ასეთი გადაგვარებების სამარცხვინო გამოცდილებაც გვეყოფა. გავიხსენოთ ხელოვნებასა და ლიტერატურაში ავადსახსენებელი სოციალისტური რეალიზმის წარმოქმნისა და მეცნიერებაში გენეტიკისა და კიბერნეტიკის დევნის მიზეზები.

ამრიგად, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ორიენტირებული სისტემების სახელმწიფოებრივი „მართვა“ ტოლფასია ამ სისტემების მოშლისა და ამიტომ მათი მართვის ორგანოების (სამინისტროების) არსებობა, როგორც მათი კურსის განმსაზღვრელისა, გაუმართლებელია. ეს სისტემები ავტონომიურნი და თვითორგანიზებადნი არიან, არსებობენ და ვითარდებიან თავისი საკუთარი კანონებით, ქმნიან საკუთარ კულტურას, საკუთარ მიზნებს და მათი მიღწევის საკუთარ ხედვას. ამ თვისებების მქონე სისტემებისათვის სახელმწიფოში უნდა არსებობდეს მათი საქმიანობის ხელშემწყობი და არა მმართველი ორგანოები.

სადღეისოდ არსებულ ვითარებაში, იმის ნაცვლად, რომ მეცნიერებამ და ხელოვნებამ ხმა აიმაღლოს და განაცხადოს „სამინისტრო არ გვჭირდებაო“, ხდება პირიქით — ხელისუფლება მეცნიერებისა და განათლების მორჩილი ჩინოვნიკების მეშვეობით, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ თავიანთი სამინისტროს აბსურდულობაზე, დევნის მეცნიერებასაც და განათლებასაც. ყოველივე ეს ხდება მაშინ, და ალბათ იმიტომაც, რომ ქვეყნის მმართველობაში არის ცოდნის არნახული დეფიციტი. კერძოდ, „რევოლუციურ“ ტალღაზე მოსულ ხელისუფლებას არა აქვს გააზრებული და დამუშავებული ქვეყნის განვითარების არც ერთი კონცეფცია, არც ერთი გეგმა, — არც ეროვნული, არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური, არც სოციალური, არც... არავითარი. ასეთ პირობებში ბუნებრივი იქნებოდა ხელისუფლებას მოეხდინა ქვეყანაში ყველა დარგის, მთელი ინტელექტუალური პოტენციალის მობილიზება მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების ჩამოსაყალიბებლად, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აეყვანა, მეცნიერების მხარდაჭერა ქვეყნის აღმშენებლობის გეგმების ჩამოყალიბებაში. სწორედ ასე მოიქცნენ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის დღეს უკვე განვითარებული, „ახალგაზრდა ვეფხვებად“ წოდებული ქვეყნების ხელისუფალნი. ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება მეცნიერებას ვერ ასაქმებს თავისი უუნარობის გამო. ამიტომ მისთვის მიუწვდომელია მეცნიერების შესაძლებლობების გაგება. ასე განწყობილი ხელისუფლება იქცევა ზუსტად, როგორც შჩედრინის რუსი გრადონაჩალნიკი: „მოაპირკეთა ქალაქის მოედანი, დაწვა გიმნაზია და გააუქმა მეცნიერებები“.

თუ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ორიენტირებული სისტემების (მეცნიერების და განათლების, ხელოვნების, ლიტერატურის) მოღვაწეთა დევნა ხდება ხელისუფალთა სისტემურ ანალიზში ჩაუხედავობის გამო, მაშინ ამ გარემოებას ჯერ კიდევ ეშველება. თუ ეს სისტემები ეწირება განვითარებადი ქვეყნის სტატუსით მიღებულ სესხებს, მაშინ ვინ იცის, რა დრო დასჭირდება უკვე საბოლოოდ აოხრებულ მეცნიერებასა და განათლებას, რომ დღევანდელ ჯერ კიდევ არსებულ დონეს დაუბრუნდეს.

დღევანდელი მეცნიერებისა და განათლების სისტემის დევნის მიზეზების განმარტება ევროპული სტანდარტების შემოღების აუცილებლობით ნამდვილად აბსურდულია. ევროპული სტანდარტები ევროპელებმა დაამუშავეს თავისი ბუნების და მოთხოვნილებების შესაბამისად და ამიტომ მათზეა ორიენტირებული. ევროპული სტანდარტების შემოღებასთან დაკავშირებით ატეხილი ისტერია ზუსტი ანალოგიაა ოფიციალური კომუნისტური ხელისუფლების სისტემისა კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებით, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით.

***ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი ჯანგირ ელიაშვილი***

**რედაქციისაგან:** ბატონ ჯ.ელიაშვილის სამართლიან შეშფოთებას, სამწუხაროდ, ნათელი პასუხი აქვს: ხელისუფლებას არ უნდა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების არსებობა. მის მსჯელობას განათლებაზე, როგორც სისტემაზე, გვინდა შევაშველოთ ერთი ფაქტი. შუა საუკუნეებში კონტინენტურ ევროპაში დემოკრატიის იდეა არ არსებობდა. მაგრამ უნივერსიტეტები მაინც ავტონომიური იყო, ანუ ისინი თავისთავს თვითონ მართავდნენ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ავტონომიას მოითხოვს თვით ტექნოლოგია ცოდნის შექმნისა, გადაცემისა და შეთვისებისა, ამ პროცესის განხორციელება და მისი კურსის განსაზღვრა, დეტალების ჩათვლით, მხოლოდ თვითონ მეცნიერებს შეუძლიათ.

# ერთადერთი ხსნა

ხსნა მართლაც ერთადერთია, ინდივისთვისაც და ერისთვისაც: საკუთარი უგვანობის მიზეზების გაცნობიერება, ინტერესების იერარქიაში გარკვევა, ყველა მოვლენის მოაზრება ადეკვატური ცნებით.

ყველაზე ამაზრზენი, რაც არსებობს, რაც არავის უპატიებია არავისთვის არასდროს, არის ზრდასრული ადამიანის, მით უმეტეს — მთელი ერის უკრიტიკობა თავისი ნამოქმედარის მიმართ. ეს გაუზრდელი ბავშვის თვისებაა, რომელიც სასიკვდილოა რეალურ ვითარებაში. მოძულე მტრის იმედზე ყოფნისა და დარჩენის მაგალითია არაერთი ქართველის დღემდე გაგრძელებული მონური დამოკიდებულება რუსეთისადმი მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომში, რომელშიც პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი დაიღუპა, ხოლო რუსებმა სამადლობლად კიდევ აუარებელი მოკლეს გენოციდურ რეპრესიებში. ცნობიერების ჩამორჩენის პირველი და მთავარი პარამეტრია სახელმწიფოებრივი ცნობიერების სისუსტე. უნდა სრული სიცხადით გავაცნობიეროთ, საიდან გაჩნდა ჩვენში პირველყოფილი ტომისებრი პათოლოგია „ყველაფერი მინდა სახელმწიფოს გარდა“, რაც ინფანტილური უპასუხისმგებლობაა. ასეთი ცნობიერებით არსებობა, უბრალოდ, შეუძლებელია. როცა სხვისი სახელმწიფო, სახელდობრ, ჩვენი მომცველი იმპერია აღარ არსებობს, ის, რაც ხდება დღეს, არის „მონები მონათმფლობლის გარეშე“. რვასაუკუნოვანი ჩვევა სხვის სახელმწიფოში ყოფნისა, თუ იგი დროზე არ დაიძლია, გონებრივად და ზნეობრივად დამღუპველია. ანალოგიური ეფექტები კარგად არის შესწავლილი, მაგრამ პრიმიტიულ ტომთა ბაზაზე (იხ. ლევი ბრიული, ლევი სტროსი და სხვანი). რეზერვაციად გადაქცეული „ბელადმანი“ ტომისთვის ადგილი არ არის მსოფლიოში. უკრიტიკობის წამალია ობიექტური მორალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი შეფასება. ქართველმა ერმა უნდა იცოდეს რეალური ვითარება — მსოფლიო ისტორიაში პირველად ხდება, რომ დამოუკიდებლად წოდებული ერი, ექვსი მილიარდი ადამიანის თვალწინ, შემოსევის და ოკუპაციის გარეშე, უშვებს ქიმიურ, რადიოაქტიულ, ეკონომიკურ, კულტურულ, დემოგრაფიულ გენოციდს საკუთარ ქვეყანაში. მეტაფორა რომ ვიხმაროთ, ჰომო საპიენსის (იგულისხმე: გონებაგახსნილი თანამედროვე ადამიანების) სიიდან ამორიცხვა სასიკვდილოა ნებისმიერისთვის, ერის ჩათვლით.

ამ გასაკვირ ფაქტს, რომ ერმა თავისი უარესი ნაწილის გაპარპაშებით თვითმკვლელობა დაიწყო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სჭირდება ამომწურავი ანალიზი და შესწავლა. ასეთი ანალიზი არსებობს, დაახლოებითი მაინც, მხატვრულ ფორმაში: გენიალურმა კიპლინგმა, ჯერ კიდევ ლენინის რევოლუციამდე, თავის „მაუგლიში“ აბსოლუტური სიზუსტით იწინასწარმეტყველა ლენინის დროს დაწყებული ცივილიზაციის თვითსპობა, რომელიც დღესაც გრძელდება პოსტსაბჭოეთში. „ბანდერლოგების“ (მაიმუნების) ცივილიზაცია ბოლოს თვითონ ძვრება პითონის ხახაში — კონცლაგერში. მოვლენის არსი მარტივია: ჰომო საპიენსის სპეციფიკაა (თავისი აზრის მიერ კონსტრუირებულ) სასურველ რეალობაში არსებობა, ანუ იდეისა და ზნეობრივი ნორმის შესაბამისი ქმედება. როცა ეს ჰომო საპიენსი, ბაბუინივით, ეწევა ცნების პროფანაციას, კარგავს ლოგიკური აზროვნების უნარს, მით უფრო — იდეის საწინააღმდეგო ქმედებას იწყებს, იგი თვითსპობადია.

კიპლინგის წინასწარმეტყველება იმიტომ არის აბსოლუტურად ზუსტი, რომ მას დაფიქსირებული აქვს ევოლუციის კანონი: ყველა საზოგადოება, მათ შორის, ერი იქცევა თავისი არსის შესაბამისად. ამით პროცესი დეტერმინირებულია (ობიექტურად წინასწარგანსაზღვრულია). ბუნებრივი შედეგია: როცა რომელიმე ერი ცდილობს, მექანიკურად დანერგოს სხვისი არსებობის მოდელი, იგი თვითმკვლელია. ამ თვითმკვლელობის ინსპირირების ნაწილია „განათლების რეფორმა“ საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს მეთოდები. ბოლშევიკური პარტია რომ რუსეთს აჩოქებდა, ძირითადი იარაღი ჰქონდა ასეთი (სხვანაირად ამას ვერ იზამდა): ვისაც ორი ძროხა ჰყავდა, დაარქვა „კულაკი“, დანარჩენს — „ბოლშევიკი“. დაერივნენ ერთძროხიანები ორძროხიანებს და შედეგიც მიიღეს. იგივე ხდება საქართველოში. ქართველმა ოლიგოფრენმა თუ „მანქანა“ იშოვა, აღარ იცის, რა ნაციონალობისაა. ეს იმიტომ, რომ ყოველი არაადეკვატური, მათ შორის — მარტოოდენ მატერიალურ ფასეულობებს მიბმული თვითმოაზრება სრული სტაგნაციის საფუძველია. ეს მით უფრო სამარცხვინოა საქართველოში, რომ ქართული საზოგადოების ბრძოლისუნარიანობის საფუძველი ყოველთვის იყო ანსამბლური (ანუ ინდივიდუალობის დამცველი და თავისუფალ ინდივიდთა ერთ მოქმედ ჯგუფად, „ანსამბლად“ შემკვრელი ცნობიერება. აუცილებელია მისი აღდგენა, მათ შორის კოლექტიური საკუთრების ფორმების შერჩეული დანერგვაც.

ერთერთი მთავარი ელემენტი საზოგადოების ამ მენტალური კატასტროფისა არის ეროვნული არსის შეგნების წყვეტა ისტორიის ამა თუ იმ ძნელ მონაკვეთში. ინდივიდში ზედროული, ამდენად — არსისეული არის მისი ეროვნული და ეთნიკური განსაზღვრულობა, რომლის გაცხადება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ერის იდეადმინანტური (ანუ იდეის მიერ მართული) ქმედებით. პოლიტიკური პროცესი საწვდომია მარტო სინდისის საშუალებით.

როდესაც აზიური წარმოშობის საქართველო პათოლოგიური ტლუ გულუბრყვილობით ცდილობს ვიღაცას მექანიკურად მიბაძოს, შერყვნას ეროვნული სინდისი და ეთნიკური თვითცნობიერება, ეს მისი მხრიდან გონების მიუტევებელი სისუსტეა (ხელისუფალთა ბოროტ ნებასთან გადაჯაჭვული), ვინაიდან სრულფასოვანია მხოლოდ არსისეული პრინციპებით, ანუ საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე ქმედება.

პოლიტიკის და ყოფის გარდაუვალი კანონია, რომ ვერავის შენი ბუნების წინააღმდეგ ვერ მიჰბაძავ.

არსებითია, ვიცოდეთ, რომ მოქალაქის მორალურ მოვალეობებში შედის პოლიტიკური ცხოვრების ანბანის ცოდნა. ყველა ე.წ. უბრალო მოქალაქემ უნდა, შეიგნოს: „უბრალო“ ნიშნავს ბრალის არმქონეს. ბრალეული თვითსპობადია. პოლიტიკური ანბანის არცოდნა (მისი სწავლის დაზარება) ბრალია ქვეყნისა და თაობების წინაშე. ეს უეჭველად ქვეყნის არსებობის ერთადერთი შესაძლებლობაა. საქმე ის გახლავთ, რომ ყველა კორექტული ამომწურავი ცნება სამყაროს კანონის გაცხადებაა, ვინაიდან თვითონ ისტორიული და პოლიტიკური პროცესი არის ლოგიკური სტრუქტურის განსხეულება (ლაპარაკია ადამიანის არა მხოლოდ თავისუფალი აზროვნების ლოგიკაზე, არამედ მისი ბუნების ლოგიკაზეც საერთოდ), ემანაცია. უმეცრებით გამოწვეულ მარაზმს ჩვენში (და, შესაძლოა, სხვაგანაც) აქვს აბსოლუტურად კონკრეტული პოლიტიკური განზომილება: ქვეყანაში პარლამენტის ბიუროს სახელით შენარჩუნებული ცკ კპ-ს პირველყოფილი სისტემა: აბსოლუტურად უკულტურო პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები და პარლამენტარები ეწევიან კომპეტენციის უზურპაციას. არცერთი პირველყოფილი ტომის სასოფლო საბჭოში არ მომხდარა ის, რაც ხდება ქართულ პარლამენტებში: ვიღაც უმეცარი პირები კანონების მაგივრად უშვებენ, ფაქტობრივად, უსუსურ დეკრეტებს, ანუ კანონს ცვლიან მიმდინარე კერძო კომერციული ინტერესის შესაბამისად. უფლებამოსილებათა უზურპაცია დიდი ცდუნებაა, რომელმაც საქართველოს ბევრი ავნო. სიმოკლისათვის გავიხსენოთ მხოლოდ ერთერთი უკანასკნელი. საქართველოს დამოუკიდებელი ერთიანი სახელმწიფო შეიქმნა ჟორდანიას დროს. მაგრამ მან მხოლოდ სამ წელიწადს გაძლო. საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ არჩეული ნოე ჟორდანია ეწეოდა აღმასრულებელი ფუნქციების უზურპაციას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მას ალბათ არ დააშვებინებდნენ იმ საბედისწერო შეცდომებს, რომლებიც ცნობილია.

იდეის შესაბამისი ქმედების უუნარობა ჩვენს ქვეყანაში ვლინდება პარტიების საქმიანობაშიც. ნებისმიერი პარტია უნდა იყოს გარკვეული პოლიტიკური იდეის განსხეულება და გამოხატავდეს საზოგადოების, ჯგუფების, ინდივიდების ინტერესების გარკვეულ შრეს. ამის მაგივრად პარტიები გადაქცეულია პირად ინტერესთა (მხოლოდ პრაგმატულ ინტერესთა) ჯგუფებად. რაც მთავარია, ეწევიან უზურპაციის უსუსურ მცდელობას იმის მაგივრად, რომ იყვნენ კონსტიტუციური პროცესის გარანტი. პირადი თუ პარტიული ინტერესები რომ თვითსპობადი არ იყოს, ამისთვის აუცილებელია მათი შეთავსება იდეის დომინანტით, რაც პოლიტიკის სფეროში ნიშნავს ინტერესთა შრეების შეჯერებას ქვეყნის არსებობის ინტერესის დომინანტით. ქვეყნის სპობის საშიშროებისადმი გულგრილობის პათოლოგია იმითაც არის გამოწვეული, რომ მოქალაქეთა ძალიან დიდ ნაწილს არა აქვს ელემენტარული ცოდნა ეთნიკური და ეროვნული (მით უმეტეს — სახელმწიფოებრივი) ცნობიერების განსხვავების შესახებ. მათი თავდაცვის ინსტინქტი (უკეთეს შემთხვევაში) მოქმედებს ეთნიკურ დონეზე (ანუ მოქმედებს ისე, თითქოს ქართველობა, უბრალოდ, მოდგმა ვიყოთ, და არა სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ერი). მაგრამ ერი ეთნოსი არ არის, არამედ ქმედების ისტორიულად ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით წარმართული ზოგადადამიანური პროცესის სუბიექტია. ერსა და ტომს შორის დაახლოებით ისეთი განსხვავებაა, როგორც პირადსა და პიროვნულს შორის. ამდენად, მსოფლიო არენაზე ტომის მსოფლხედვით არსებობა დღეს შეუძლებელია. აუცილებელია ეროვნული პრინციპების დომინანტი. მეორეს მხრივ, არ არსებობს და ყოვლად შეუძლებელია არსებობდეს არაეროვნული საზოგადოებრივი მოდელი, ვინაიდან ყოველნაირი ურთიერთობა გულისხმობს ურყევ ნორმებს, ერის მიზნებით განპირობებულს. ის, რასაც თბილისში შეყრილი ნომენკლატურა აკეთებს, ეროვნულ-სახელმწოფოებრივი თვითმკვლელობაა. ამ თვითმკვლელობის პოლიტიკური პარამეტრები ძალიან მარტივია. კომუნიზმი იყო სოციალისტური მონათმფლობელობა. სოციალიზმი და მასთან ერთად სოციალისტურად არსებობის უნარი გააუქმეს, დარჩა მონათმფლობელობა არსებობის უნარის გარეშე. ერს დაკარგული აქვს კულტურული და პოლიტიკური ტრადიცია. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული იდეა თუ ნორმები შემთხვევითი არ არის. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ერია, რომელიც პერმანენტულად სრული სპობის პერსპექტივაში ვითარდებოდა. ამდენად, ქართული მოდელი ერთადერთია, მეტაფორულად რომ ვთქვათ, აპოკალიფსის მძლევი — დღეს ჩვენ თავს დამტყდარი სრულებით ატიპიური და უპრეცედენტო მოვლენათა შემოტევის მომგერიებელი. დემორალიზაციასთან ბრძოლა, როგორც დომინანტური მოტივი, ქართული კატეგორიებით გაზრებული და გამოხატული, ზოგადადამიანური მნიშვნელობისაა. ერთ-ერთი ძირითადი ჭეშმარიტება, რაც ჩვენ მსოფლიოსთვის ფასეული გვაქვს, ის არის, რომ ადამიანთა უნივერსუმს არსებობა მხოლოდ ანსამბლის ფორმით შეუძლია.

ცხოვრების ერთ-ერთი მკაცრი მარეგულირებელია ეკონომიკა. იგი, როგორც ცნობილია, ვერც ფულს ზიას, ვერც ბოდვას ვერ იტანს. სიტყვა „საბაზრო ეკონომიკა“ კაპიტალიზმში ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ერთ კანონს: საკუთრება წმინდაა, მოქმედებს მხოლოდ ეკონომიკური მოტივები. მაგრამ როგორც კი მაფია ან ოლიგარქია ამ პრინციპს შერყვნის, ეკონომიკა სტაგნირებს. თანამედროვე საქართველომ, ბაცაცების ბანდად გადაქცეულმა, მიაღწია მარაზმის უპრეცედენტო დონეს. ქვეყანაში სიტყვა „სხვისი“ ან სიტყვა „ჩემი“ არ ფუნქციონირებს. შედეგად, თუ პროცესი თვითდინებით წავიდა, გაქრება („გაუქმდება“) მოცემული სახელმწიფოს ფულიც კი, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების ურყევი საქმიანი ეთიკის ზომა. პასუხისმგებლობა თუ ისპობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფულიც უქმდება. ალბათ, აუცილებელია (პერსპექტივაში), რომ ყველა ბაცაცის მიმართ ჩატარდეს სრული ექსპროპრიაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობაატროფირებული საქართველო თავს ვერ გაიტანს. პოლიტიკა უტოპიებს ვერ იტანს, ქვეყანა იღუპება. ყველა ამ პრობლემის მოგვარება ყოვლად შეუძლებელია, თუ არ იქნა სრულად აღმოფხვრილი ყოველნაირი უზურპაცია, ყველა დონეზე, თუ მკაცრი კონსტიტუციური მეთოდებით არ იქნა აღდგენილი ქართული სახელმწიფოებრიობის ტრადიციულად მახასიათებელი უნიკალური თვისება — „ზნეობრივი იერარქია“. ესაა ერთადერთი, რასაც შეუძლია თვითსპობის შეჩერება.

ყველა ერს, ისევე როგორც ყველა ინდივიდს, აქვს ბედისწერის განმსაზღვრელი არსობრივი იდეა და ასევე — საბედისწერო ხინჯი. ამათი გაცნობიერებაა საჭირო. საღღეისოდ, ქართველების საბედისწერო ხინჯია, ხატოვნად რომ ვთქვათ, სირეგვნე — არსებითის კურსში არყოფნა და მასთან შეერთებული უმეცრული დიდგულობა, რასაც სავსებით ობიექტური მიზეზი აქვს. ტრადიციული ეთნიკური ცნობიერება, ფეოდალურ ეპოქაში შემუშავებული, არასაკმარისია თანამედროვეობის პრობლემების ასათვისებლად რაციონალური გზით. უვიცობა იწვევს მაიმუნის და სათვალის ეფექტს — მიბაძვას სწავლის მაგივრად. უფრო სერიოზული გარემოებაც არსებობს. ქართველი ერის შემქმნელია ზნეობრივი ნორმატიული იდეა. როგორც ყველა ნორმატიულ ცნობიერებას, ამასაც აქვს ფუნდამენტალური ნაკლი: ნორმატიული პოზაც ესწრაფვის რეალობის ფორმირებას, მაგრამ ფორმირება უვიცობის შემთხვევაში დეფორმირებას ნიშნავს. როცა ნორმატიული პოზიცია არ დასტურდება სრული ცივილიზაციური ცოდნით, ეს იწვევს დერეალიზაციის (რეალობის აღქმის დაკარგვის) ეფექტს. ინფანტილური ზნეობრივი მოლოდინი იქცევა ასევე ინფანტილურ პრაქტიკად. ზნეობა არაა ილუზია, არამედ თვით სუბიექტის პოზიციაა. პოლიტიკის სფეროში ვითარება ხომ მოლად მარტივია: აქ პოლიტიკური კატეგორიების უვიცობის შედეგი სრული სიბე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მე-7 გვერდიდან

ცეა. ამდენად, ყველას, ვისაც ქვეყნის არსებობა უნდა, — ასეთები კი აბსოლუტური უმრავლესობაა — პოლიტიკური ანბანის და ელემენტარული პოლიტიკური ტერმინების მნიშვნელობის გათავისება ჰმართებს.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა, კორექტული ცნება მჭიდრო კოორდინაციაშია სამყაროს კანონთან.იმის ცოდნა, რომ მოცემულ მომენტში მოცემული მაფიის სურვილისამებრ კანონში კორექტივის შეტანა არის აღმასრულებელი ფუნქციის უზურპაცია, ხოლო უზურპაცია უმძიმესი დანაშაულია, აუცილებელია. სიტყვა „რესპუბლიკა“ ხომ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ სისტემას, სადაც აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაა. ნორმალურ სახელმწიფოში არსობრივი ინტერესი დაფიქსირებულია ზედროული უპირობო კანონმდებლობის ფორმით. ერები, ჩამოყალიბების სტადიაში, იმუშავებენ ეროვნულ კანონმდებლობას. იქ, სადაც კანონი და დეკრეტი აღრეულია, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლება ცდილობს აღმასრულებელი ფუნქციების უზურპაციას, დეზორიენტირებული საზოგადოება მარაზმატირებს.

დემოკრატია არის პროცესი, უბრალოდ, განუწყვეტელი არჩევნებისა, სადაც არ ხდება რევოლუცია. ამ პროცესმა უნდა ჩამოაყალიბოს კორექტული სახელმწიფოებრიობა, სადაც არ ვითარდება მაფია.

არა ნორმატიული, არამედ სამყაროს კანონია ის, რომ ნებისმიერი მაფია, ოლიგარქია, კლეპტოკრატია სახელმწიფოს სიკვდილია.

ე. წ. პრაგმატიზმის ფორმულაა: იდეალური ფასეულობების გაცვლა პრაგმატულზე. ეს ნამდვილი თვითსპობაა, ვინაიდან ამის დამჯერებელი საზოგადოება იჭრის ტოტს, რომელზეც ზის. ცინიკური პრაგმატიზმი ნიშნავს ნორმატიულის უგულებელყოფას, რაც ყოველთვის გადადის რეალობის კანონების უარყოფაში.

იდეაშესაბამისი ქმედება, ზეპირადი იდეის ერთგულება, პირიქით, თვითქმნის ერთადერთი შესაძლებლობაა. თუ ქმედება იდეის საწინააღმდეგოა, მაშინ ინდივიდი ირჩევს სიცრუეს, რითაც იგი განწირულია თავიდანვე: ბოდვა მოკლებულია რეალიზაციის უნარს.

მიზეზ-შედეგობრივი ცნობიერების მოშლა, ალოგიკური ეიფორია ყველაზე უარესია, რაც არსებობს ცხოვრებასა და პოლიტიკაში. ადეკვატური ქმედების უნარს მოკლებული სრულიად განწირულია. ყველა გადაწყვეტილება, უკრიტიკოდ მიღებული, საბედისწეროა. ამავე დროს ყველა სიძნელე, ადეკვატურად მოაზრებული, დაძლევადია, გააზრება გაძლიერების საშუალებაა. თვითსპობის ტენდენციაც დაძლევადია, მაგრამ მხოლოდ მებრძოლი, თავდაუზოგავი პრინციპული ზნეობით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური კულტურა აღდგება, ექნება ჩვენს ქვეყანას მკვეთრი და სტაბილური აღმავლობა. კულტურის აღდგენას კი ელემენტარული ცოდნის დაუფლებისაკენ მიმართული ნება სჭირდება.

**გიორგი ნათაძე**

ტად — უნივერსიტეტის პროფესურის მიტინგზე, რომლის უზურპირებაც მათ მოახდინეს. მიტინგი უკვე მთავრდებოდა. ვთხოვე სიტყვა და მომცეს. ვუთხარი, რაც წელან მოგახსენეთ, რომ გიორგაძე ამბოხებას აწყობს, რომ ვერ გაიმარჯვებს, რომ რუსეთის მიზანია ამბოხების დაწყება — და არა დამთავრება, — რათა საქართველო თვეებით ან შესაძლოა წლითაც და ორი წლითაც კი სისხლში ჩაიხრჩოს და დასავლელებისთვის გაუვალი გახდეს. მისტვინეს, იცრიალეს, მაგრამ, მაპატიეთ გამოთქმა, ფეხებიც ვერ მომჭამეს. მარტო ვიყავი (სპეციალურად). შემდეგ გაზეთმა „ქრონიკამ“ დაწერა, რომ მიკროფონი წამართვეს. ეს ტყუილია. სურათზე, რომელიც გამოაქვეყნეს, ჩანს, რომ მე მიკროფონს ვაძლევ (ვუბრუნებ) მიტინგის წამყვანს ზაზა დავითაიას. მიკროფონს ორი ხელი აღევს — ერთი ჩემია, მეორე დავითაიასი.

**„საქართველო“: ხომ არ ისახავს ეს დაპატიმრებები მიზნად ყურადღების გადატანას? როგორც ვიცით, ძალიან გამწვავებულია ვითარება ცხინვალის ზონასთან დაკავშირებით, შვეულმფრენისათვის სროლასაც კი ბედავენ.**

**ნ.ნათაძე.** არა მგონია, ყურადღების გადატანა ხდებოდეს. მაგრამ რა იურიდიული ფორმით? იქნება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“, ანუ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი აღიარებული იქნება არა საქართველოდ, არამედ „ოსეთად“. ამისთვის — და არა რომელიმე დასავლური ინსტანციის მოთხოვნით — წავიდა საკაშვილი პირდაპირ სახელმწიფო ღალატზე და განაცხადა, რომ თანახმაა საქართველოში „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ აღიარებზე. ამასთან, რა თქმა უნდა, რუსეთს მიენიჭება რაღაცა დოკუმენტით დაფიქსირებული უფლებამოსილება ამ ტერიტორიის მიმართ, ვთქვათ, იქ თავისი „მოქალაქეების“ მდგომარეობის კონტროლი, რაც ფაქტობრივად მუდმივი ნაღმი იქნება ჩვენს სხეულში. მეორე ვარიანტი — რუსებისთვის უკეთესი და ჩვენთვის უარესი: მოხდება სამხედრო შეტაკება (პირდაპირ ვთქვათ: ომი) ისეთ პირობებში, როცა რუსს სამშვიდობო მანდატი ექმნება საქართველოს მიერვე (შევარდნაძის ხელით) მინიჭებული. აქ გარდუვალი შედეგია საქართველოს საშინელი დამარცხება — რადგან რუსს ექნება ბრძოლაში ოფიციალური მონაწილეობის უფლება, — იქაური ქართველი მოსახლეობის აყრა და სრული კატასტროფა. ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ამ ორი შესაძლო ვარიანტისკენ ორიენტაციას მიუთითებს. მესამე პროცესია კოდორის ოპერაცია და მისი მომდევნო განვითარება მოვლენებისა. იქაც რუსების მანდატი გაუქმებული არ არის. მაშასადამე, ყოველი სამხედრო შეტაკება ჩვენთვის იმთავითვე წამგებიანია. მე მგონი, იქ განზრახულია ასეთი რამ: ამ შესაძლებლობის ამოქმედებით იმის რაც შეიძლება ნათელი დემონსტრირება, რომ „სხვა გზა არა გვაქვს“, და აფხაზეთის პრობლემის „გადაჭრა“ უსაზღვროდ კაპიტულანტური ფორმით, მაგალითად, „ბოდნის დოკუმენტის“ საფუძველზე, რომლის გაშლასა და რეალიზაციასაც წარმოადგენს მოღალატე ქართველების ერთი ჯგუფის მიერ (ზაქარეიშვილი, კუბლაშვილი, ბაქრაძე და სხვანი. ყველას გვარები არ მახსოვს. ეს, ძირითადად, რესპუბლიკური პარტიის კადრია, რომელიც, ჩემის აზრით, დღეს ყველაზე ამორალური ჯგუფია საქართველოში „მოჩალიჩე“ პრიმიტიულ „პოლიტიკოსებს“ შორის) შედგენილი გეგმა აფხაზეთის „დარეგულირებისა“, რის მიხედვითაც აფხაზეთის საქართველოში ყოფნა, ფაქტობრივად, დროებითი მოვლენა ხდება და ეს დროც გამოიყენება აფხაზური მხარის მიერ იმისთვის, რომ იმ ტერიტორიაზე ანტიქართული დემოგრაფიული ცვლილებები მოახდინოს. ასე რომ, სამწუხაროდ, გიორგაძის „უვნებელყოფის“ ოპერაციაში იგივე ხელწერა ჩანს, რაც ცხინვალისა და აფხაზეთის საკითხებში: პიარული ფაფხური და რეალური არაფრის კეთება ან ქვეყნის საწინააღმდეგოდ კეთება. დღეს ასე ჩანს. ხვალ რა იქნება. ვნახოთ.

## ინტერვიუ „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარესთან ნ.ნათაძესთან

**„საქართველო“: თქვენ რამდენიმე თვეა ლაპარაკობთ და წერთ იმაზე, რომ გიორგაძე ამზადებს შეიარაღებულ ამბოხებას საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად. რა კორექტივს შეიტანთ თქვენს შეხედულებებში მას შემდეგ, რაც საქართველოში გიორგაძის მომხრეთა დაპატიმრებები დაიწყო, სახელდობრ, გუშინდელი დღის, 6 სექტემბრის შემდეგ?**

**ნ.ნათაძე.** მე მხოლოდ იმას არ ვამბობდი და ვწერდი აქამდე, რომ გიორგაძე ამბოხებას ამზადებს. ვამბობდი იმასაც, რომ საკაშვილის გუნდი გიორგაძის პოლიტიკურ „გასუქებაზე“ მუშაობს, ანუ სპეციალურად ამწარებს მოსახლეობას იმ მიზნით, რომ მისთვის გიორგაძე სასურველი გახადოს. ვამბობდი იმასაც, რომ რუსეთს არა აქვს გიორგაძის გამარჯვების იმედი. შესაძლოა, არც სურვილი. მათთვის საკმარისია, ამბოხება დაიწყოს, რათა საქართველო სისხლის მორევში ჩაეფლას კიდევ დიდი ხნით და დასავლელთათვის შუა აზიისკენ გაუვალი გახდეს. სამწუხაროდ, დღემდე ჩემს ამ დიაგნოზსა და პროგნოზში კორექტივის შეტანა არ მიხდება.

**„საქართველო“: რას გულისხმობთ?**

**ნ.ნათაძე.** ჯერჯერობით დაპატიმრებულთა ჩამონათვალი მხოლოდ ქართულ გვარებს მოიცავს, ისიც — ისეთებს, რომლებიც ცნობილნი არიან და, ამგვარად, „პიარისთვის“ გამოსადეგნი. მაგრამ გიორგაძე რუსეთის სამხედრო დაზვერვის, გრუს ოფიცერია. მისი მზადების საქმიანი მხარე, რა თქმა უნდა, სამხედრო და, ასე ვთქვათ, სასპეცსამსახურო იქნება უეჭველად. სხვაგვარად შეუძლებელია. სად არიან დაპატიმრებულთა შორის ისინი, ვინც პირველ რიგში ასაყვანი იყო — პროფესიონალი სამხედროები და „თანამშრომლები“, რომელსაც არა ქართული, არამედ რუსული გვარები აქვთ? არ დაგვიწყდეთ: საკაშვილის ხელისუფლებას თავისი სამი წლის მანძილზე, ისევე როგორც შევარნაძისას თავისი თერთმეტი წლის მანძილზე, არც ერთი გრუს კაცი არ დაუპატიმრებია, მიუხედავად ყველა აგრესიული უკანონობისა, რასაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ სჩადიან. ამიტომ მე ეჭვი მაქვს: გიორგაძის ორგანიზაციის უვნებელყოფის ოპერაცია მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ ასე ინება — და, ალბათ, საკმარისად კატეგორიული ფორმით, — თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა (მაპატიეთ, მე ევფემისტური გამოთქმების მოყვარული გახლავართ). დაიწყო ოპერაცია. მაგრამ იგი ისე მიდის და, ჩემი პროგნოზით, ისე წავა, რომ მოწინააღმდეგის რეალურ ძალას არაფერი შეეხება: მისი ორგანიზაციული ბირთვი, რომელიც გრუს კადრისგან შედგება და, არა „პოლიტიკოსებისაგან“, ადგილზე დარჩება, ორგანიზაცია ადგილზე დარჩება, რუსის ძალა, რომ საქართველოში ვინც უნდა ჩუმად შეაიარაღოს, ჩუმად მოკლას, გაიტაცოს და ა.შ., იქვე დარჩება, სადაც არის. მე რომ საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდი რუსეთის აგენტურად მიმაჩნია, ეს ალბათ, მოგეხსენებათ. საბუთიც ალბათ იცით: ესაა ესენგედან არგაბია, მიუხედავად ყველა აგრესიული ქმედებისა, რასაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ სჩადიან. ამიტომ მე ეჭვი მაქვს: გიორგაძის ორგანიზაციის უვნებელყოფის ოპერაცია მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ ასე ინება — და, ალბათ, საკმარისად კატეგორიული ფორმით, — თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა (მაპატიეთ, მე ევფემისტური გამოთქმების მოყვარული გახლავართ). დაიწყო ოპერაცია. მაგრამ იგი ისე მიდის და, ჩემი პროგნოზით, ისე წავა, რომ მოწინააღმდეგის რეალურ ძალას არაფერი შეეხება: მისი ორგანიზაციული ბირთვი, რომელიც გრუს კადრისგან შედგება და, არა „პოლიტიკოსებისაგან“, ადგილზე დარჩება, ორგანიზაცია ადგილზე დარჩება, რუსის ძალა, რომ საქართველოში ვინც უნდა ჩუმად შეაიარაღოს, ჩუმად მოკლას, გაიტაცოს და ა.შ., იქვე დარჩება, მოსვლა, რუსეთის ბაზების არგაყვანა (პირიქით, მათთვის სტატუსის მიცემა სამნახევარი წლით), რუსეთის საშშვიდობო მანდატის არგაუქმება, არგაცხადება ოფიციალურად, რომ ცხინვალსა და აფხაზეთში ჩვენ ომი გვაქვს რუსებთან და არა ოსებთან ან აფსუებთან, სტრატეგიული ობიექტების გადაცემა რუსებისათვის, ეკონომიკურის ჩათვლით. ერთი ასეთი საბუთაგანია ისიც, რომ რუსეთის სპეცსამსახურები დღეს საქართველოში სრულებით დაუბრკოლებლად პარპაშობენ.

**„საქართველო“: თუ არ ვცდებით, პატარა ინციდენტი მოგიხდათ გიორგაძის პარტიასთან ამ ცოტა ხნის წინ.**

**ნ.ნათაძე.** დიახ, მომიხდა, მომიხდა. მომიხდა კი არა, საჭიროდ მივიჩნიე, რომ მომხდომოდა და ამიტომ მომიხდა. მივედი მათ მიტინგზე პარლამენტის წინ, უფრო ზუსტად, პარალელიზმს კი ამ ორ პროცესს შორის ვხედავ და, სხვათა შორის, მესამე პროცესთანაც. კოკოითის და მისი ამფსონი სეპარატისტების რეჟიმს პერსპექტივა არა აქვს. ამის მიზეზი ის არის, რომ მსოფლიოს ეს არ უნდა. ეუთოს მკვეთრად და ამორალურად ანტიქართული პოზიცია, რომელიც ამასთანავე სრულებით ულოგიკოა და მიღებული ნორმების საწინააღმდეგოა, ამ მხრივ გამონაკლისია. რა არის ამის მიზეზი, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ერთი ყველაზე ზედაპირული მიზეზი ის არის, რომ ეუთოში მეტისმეტად დიდი წონა აქვს რუსეთს, დანარჩენი მიზეზი უფრო კომპლექსურია. ახლა რა პერსპექტივა ისახება? რუსისთვის უარეს და ჩვენთვის უკეთეს შემთხვევაში რუსი წავა უბრძოლველად და საქართველოს რეალური იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე აღდგება, ეგ ეს ... ეს ... ეს ...

# ამერიკულ-ინდოური ბირთვული თანამშრომლობა – მომავლის ეხო-ეხოი საკვანძო ჭრობლემა

მკითხველს უთუოდ ახსოვს ჩვენი წინანდელი პუბლიკაცია (ჟ. The Economist-ის მიხედვით) ამერიკისა და ინდოეთის ურთიერთობათა განვითარების შესახებ, რომლებშიც ამერიკელების მხრიდან ინდოეთისთვის მიცემული შეღავათები ბირთვულ ტექნოლოგიათა განვითარების საკითხში არსებით როლს თამაშობს. ამერიკისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ინდოეთთან საუკეთესო ურთიერთობების ქონა, რადგან ეს ქვეყანა – მსოფლიოს ყველაზე დიდი დემოკრატია (მისმა მოსახლეობამ უკვე მილიარდს გადააჭარბა) – მისთვის აუცილებელი საპირწონეა ჩინეთის წინააღმდეგ – სახელმწიფოსი, რომელიც მას უკვე რეალურად ეცილება მსოფლიო პირველობას აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით მისთვისაც და მსოფლიოსთვისაც. ისიც ახსოვს მკითხველს ამ პუბლიკაციიდან, რომ ამერიკელებს ინდოეთთან დამოკიდებულებაში ცოტა არ იყოს ბრალის განცდა აქვთ: მათ მეტისმეტად დიდხანს ჰყავდათ ინდოეთი უყურადღებოდ მიტოვებული იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ე. წ. „მიუმხრობლობის“ პოლიტიკას ატარებდა ათწლეულთა მანძილზე. ურთიერთობათა სურათის სისრულისათვის აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ინდოეთმა ჩაკეტა რუსული (უფრო სავარაუდოდ კი – ჩინურ-რუსული) გეგმა სამი გიგანტის (რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი) ალიანსისა (ცხადია, დასავლეთის საპირისპიროდ), რომელზეც აქტიურად მუშაობდა რუსული დიპლომატია. ინდოეთი ამ იდეას არ აჰყვა. რომ აჰყოლოდა, მაშინ მის შემტევ პარტნერებს იმედი გაუჩნდებოდათ, რომ ჯამურად გადაეჭარბებდნენ დასავლეთის პოტენციალს უახლოეს ხანებში და კურსს პირდაპირ დასავლეთთან სამხედრო დაპირისპირებაზე აიღებდნენ.

აღნიშნულიდან ჩანს, რამდენად დიდია ამერიკელების წინაშე ცდუნება, რომ ინდოეთის გულის მოსაგებად პატარა ხვრელი შექმნან მათთვის ესოდენ ძვირფას საერთაშორისო ხელშეკრულებაში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ (NPT) და ინდოეთს ატომის მშვიდობიანი გამოყენების ერთი-ორი ტექნოლოგიური საიდუმლო უფეშქაშონ. ბუში ასეც მოიქცა (იხ. ჩვენი ზემოხსენებული პუბლიკაცია). მან ინდოეთთან შესაბამისი მოლაპარაკებები აწარმოა. მაგრამ ახლა, საქმე რომ უკვე ამერიკული კონგრესის მიერ მოწონების საჭიროებას მიადგა, პროტესტის ხმა ისმის. რადგან თუ კანონში ხვრელი გაჩნდა, მას მიაშურებს არა მხოლოდ მსოფლიოს უდიდესი დემოკრატია, არამედ უდიდესი არადემოკრატიაც. The Economist-ის წინამდებარე გამოსვლა სწორედ ამ საკითხს ეხება.

ბუშის მიერ ინდოეთისათვის შეთავაზებული ბირთვული გარიგებისაგან მოტანილი ზიანი უფრო და უფრო იზრდება. შეთანხმებისა და კონტროლის ხერხების ქსელი, რომლის მიზანია ბომბის გავრცელების შეჩერება და რომელიც ისედაც დასუსტებულია ირანისა და კორეის ხრიკების შედეგად, ამით რღვევას იწყებს. კონგრესი, რომელიც აქამდე ერთგულად იცავდა ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას და ყველაფერს, რასაც იგი ითხოვს, ახლა დაყენებულია იმ ამოცანის წინაშე, რომ დაუშვას ამერიკული კანონების შესწორება იმ მიმართულებით, რომ მოერგოს ამერიკის სამოქალაქო ბირთვულ ვაჭრობას ინდოეთთან მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი ბირთვული ბომბების მწარმოებელი ქვეყანაა. ზეწოლა განხორციელდება ბირთვული მომწოდებლების ჯგუფზე (NSG), რათა ინდოეთზე მორგებული ხვრელი გაიჭრას ამ ჯგუფის მიერ ბირთვული მსოფლიო ექსპორტისათვის დაწესებულ შეზღუდვებში, აგრეთვე ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოზე (IAEA), რათა იგი დაეთანხმოს „ინდოეთისათვის სპეციფიკური“ დამცველი მექანიზმების შემოღებას (არსებულის ნაცვლად) ნებისმიერი ბირთვული მასალისა ან ტექნოლოგიის გაყიდვის პროცესში.

ბუშის ადმინისტრაცია თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებს იმით, რომ ეს კარგია მსოფლიო დათბობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ინდოეთთან მეგობრობისათვის და ამერიკაში სამუშაო ადგილთა გაჩენისათვის. ყველა ეს არგუმენტი, ჟურნალის აზრით, სადავოა. რაც შეეხება იმის მტკიცებას, ეს კარგია ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს უბრალოდ სისულელეა. გარიგების თვით ფაქტიც კი უკვე არღვევს მსოფლიო ნდობას გაუვრცელებლობის წესებისადმი, რადგან გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, რომელმაც უკვე არა ერთ სახელწმიფოს ააღებინა ხელი ბირთვული იარაღის შექმნაზე, ემყარება პირობას, რომ სამოქალაქო ბირთვული დახმარება შეიძლება მიეცეთ მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებს, რომლებიც უარს ამბობენ ბირთვული იარაღის შექმნაზე. ინდოეთი შეგნებულად დარჩა ბომბის წარმოების ამკრძალავი ხელშეკრულების გარეთ. ამერიკა ახლა მას სთავაზობს დახმარებას ყოველგვარი პირობებისაგან დამოუკიდებლად. ეს არ წაახალისებს სხვებს, რომ უბირთვობის პირობები დაიცვან.

აღიარებული ბირთვული ძალები – ამერიკა, რუსეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი – გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ძალით ორიენტირებულნი არიან იმაზე, რომ შეამცირონ თავისი არსენალები (ოთხისა მართლა მცირდება, მხოლოდ ჩინეთისა იზრდება), მომავალში კი სრულ განიარაღებაზე. ამერიკასთან შეთანხმება ინდოეთს საშუალებას აძლევს აკეთოს იმდენი ბომბები, რამდენიც უნდა. იმ ხუთს ხელი აღებული აქვს ბირთვული იარაღის გამოცდაზე და შეჩერებული აქვთ გამდიდრებული ურანისა და პლუტონიუმის შემდგომი წარმოება იარაღისათვის გამოსაყენებლად. ინდოეთი ამ შეზღუდვაზეც უარს ამბობს.

კანონმდებლობის შეცვლით ამერიკა დაეხმარება ინდოეთს ბირთვულ მასალათა მოპოვებაშიც. ინდოეთს ეს მასალები უჭირს. თუ „ბირთვულ მომწოდებელთა ჯგუფი“ გამონაკლისს დაუშვებს ინდოეთისათვის, ამ უკანასკნელს შეეძლება ნაყიდი მასალები ბირთვულ ენერგეტიკაში მოიხმაროს, საკუთარი კი მთლიანად ბომბებს მოახმაროს. რუსეთმა უკვე გამოიყენა ეს ხრიკი, ცოტა ხნის წინ რომ ინდოეთს ბირთვული მასალა მიაწოდა რეაქტორისათვის „უსაფრთხოების“ მოტივით, რათა ინდოეთი განაწყოს მასთან შემდგომი კონტრაქტების დასადებად. ჩინეთი, რომელსაც ეწყინება ამერიკელების დახმარება ინდოეთისათვის, ანალოგიურ დახმარებას გაუწევს პაკისტანს. იმის მტკიცებას, რომ მშვიდობიანი მიზნებისათვის მიღებულ ბირთვულ ტექნოლოგიებს ინდოეთი იარაღისთვის არ გამოიყენებს ან ვერ გამოიყენებს, ჟურნალის აზრით, საფუძველი არა აქვს.

ბირთვულ მომწოდებელთა ჯგუფს (NSG) და ბირთვული ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) საკუთარი გადაწყვეტილების მიღება უწევთ იმაზე, წმინდად დაიცვან თავისი ანტიბირთვული წესები თუ დათმონ. ჟურნალი მოუწოდებს მათ, რომ პირველი გზა ირჩიონ, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე საუბარს ბევრნი ერიდებიან ორივე მხარის – ინდოეთისა და ამერიკის – წყენის რიდით.

# წითელი ბარათი შირაკს

The Economist-ს მიაჩნია, რომ ამ სასჯელს სავსებით იმსახურებს საფრანგეთის პრეზიდენტი შირაკი, რომელმაც უკვე მიიღო გაზ. „მონდისაგან“ რჩევა, რომ გადადგეს. მისი ბრალია პასიური და გაუბედავი პოლიტიკა, რომელმაც, ჯამში, ის მოიტანა, რომ საფრანგეთი მის მმართველობაში ჩამოცურდა მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკათა ხუთეულიდან ქვემოთ. საინტერესოა, რომ მის ხელმოცარვათა შორის ჟურნალი ასახელებს მის პოლიტიკასაც საფრანგეთის ქრისტიან და მუსლიმ, ტეთრკანიან და ფერადკანიან მოქალაქეთა ინტეგრაციის მიმართულებით. ის, რომ საფრანგეთის ნაკრების კაპიტანია ზიდანი და რომ ფეხბურთში საფრანგეთი წარმოდგენილია არა მხოლოდ ეთნიკური ფრანგებით, თუმცა კარგია, მაგრამ, ჟურნალის სიტყვით, არ კმარა საფრანგეთის რეალური ინტეგრირებულობის საბუთად. არსებობს, ბოლოსდაბოლოს, უკიდურესი მემარჯვენე ლე პენიც, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში ძალიან დიდი ხმები მოიპოვა, რომელიც თავის პოპულარობას არათერი და მუსულმანი იმიგრანტების წინააღმდეგ გამოსვლაზე ამყარებს და რომელსაც ნათქვამი აქვს, წლევანდელი ფეხბურთის ნაკრებში საფრანგეთმა თავისი თავი ვერ იცნოო. პროგნოზით, თუ შირაკი და ლე პენი დადგებიან ამომრჩევლის წინაშე, შირაკი 8% მიიღებს, ლე პენი კი 12%-ს.

# ბასაევის ნეკროლოგი The Economist-ში

ბასაევის აფეთქების ადგილი

ჟურნალი ისევე თავისუფლად ბეჭდავს ბასაევის ნეკროლოგს, როგორც რომელიმე მწერლისას ან ფიზიკოსისას დაბეჭდავდა, და ამ ნეკროლოგში ისევე თავისუფლად ლაპარაკობს განსვენებულის მინუსებისა და დანაშაულობების შესახებ, როგორც მისი ბიოგრაფიის შედგენისას ილაპარაკებდა მისი სიცოცხლის დროს.

როცა უთხრეს, რუსეთისათვის ყველა ძებნილზე უფრო ძებნილი კაცი ხარო, მას გაუცინია და უპასუხია: „ჰო, ცუდი ბიჭი ვარ, ბოროტმოქმედი, ტერორისტი. მაგრამ ტერორისტებზე მე თვითონ ვნადირობ – ღორებსა და ურჯულოებზე, რომლებიც ჩეჩნეთის ოკუპაციას ეწევიან“. რუსეთს ივი ზიზღით ეძახდა „Руня“-ს.“ მისი ფილოსოფია მოკლე იყო: „თუ მთელი ქვეყანა მაფურთხებს, მეც მიმფურთხებია მთელი ქვეყნისთვის“.

ნეკროლოგი ჩამოთვლის ბასაევის ოფიციალურ დანაშაულობებს ისე, რომ არ ივლის საჭიროდ ეჭვების ციტირებას, მათი დიდი ნაწილი თვითონ რუსეთის სპეცსამსახურების მოწყობილიაო (ეს ეჭვები ვრცლად ხსენებულია იმავე ჟურნალში თავის დროზე და დასკვნა რუსებისთვის სასიამოვნო არ ყოფილა). მისი მოქმედების შესაძლო მოტივთა შორის დასახელებულია გამწარება მისი ცოლშვილის დაღუპვის გამო საჰაერო დარტყმისას 1995 წელს და ჩეჩნების გასახლების გამო სტალინის მიერ 1944 წელს (ოციოდე წლით ადრე ბასაევის დაბადებამდე).

ბასაევის პოლიტიკური კარიერის ანალიზს ნეკროლოგი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ შემდეგში ბასაევი გაუუცხოვდა ჩეჩნურ მოძრაობას: მან ორიენტაცია აიღო ჩრდილოკავკასიური ისლამური სახელმწიფოს შექმნაზე ვაჰაბისტური სულისკვეთებით (რაც ახლო აღმოსავლეთიდან შემოჟონა) და ამით მოძრაობის დისკრედიტაციას შეუწყო ხელი. მაგრამ თავიდან ივი ფანატიკოსი არ იყო. მისი სახელი კავკასიის ისტორიის დიდი გმირისგან – შამილისაგან მოდის, რომლის თანასოფელიც ივი იყო (ს. ვედენო). მას რუსეთი მუდამ არ სძულდა, მეხანძრედ იყო რუსულ არმიაში, შემდეგ კომპიუტერებს ყიდდა მოსკოვში. სსრკ რომ დაშალა, კავკასიაში დაბრუნდა საომრად. აფხაზეთში იომა ქართველების წინააღმდეგ რუსული ზურგის მქონე კოალიციის შემადგენლობაში. გამოჩენილად იომა ჩეჩნეთის პირველ ომში. „მისმა ბანდიტურმა რეიდმა დაღესტანში 1999 წელს ხელი შეუწყო მეორე ჩეჩნური ომის დაწყებას“.

ისევე, როგორც კავკასიის ომში ჩართული კავკასიელები ორსავე მხარეს – მთავრობის მხარესაც და მეამბოხეთა მხარესაც – ბასაევი მოქმედებდა პირობებში, სადაც სიხარბე და ფული, სულ ცოტა, ისეთივე ძლიერია, როგორც რელიგია და პოლიტიკა. მისი სიკვდილიც, სხვებსავით, ბინძურ გარემოებებში მოხდა. ივი, რუსების სიტყვით, ნაღმზე აფეთქდა. მისი ხალხი ამბობს, შემოხვევით აფეთქებაში დაიღუპაო. „არ არის ნათელი, რამ გამოიწვია მისი სიკვდილი: იმან, რომ ამოიწურა მისი იღბალი, თუ იმან, რომ ამოიწურა მისი სარგებლიანობა რუსებისთვის“. კავკასიაშიც და სხვაგანაც ბევრს უკვირდა, როგორ გადარჩა ივი ცოცხალი ამდენხანს, როცა რუსებს მისი თავი ასე ძალიან უნდოდათ. ივი აჩრდილისებრი უნებლობით ახერხებდა გადაადგილებას. მისი ხალხი ტრაბახობდა, იარაღს რუსებისგან ვყიდულობთო. „საბჭოური დიალექტიკური ლოგიკით, შესაძლოა ეს ბარბაროსულად მოქმედი კაცი რუსებისთვის სასარგებლო იყო ამით“. ბევრი ჩეჩენი ფიქრობს, ბასაევს ცოცხალს ტოვებდნენ, მაშინ როცა სხვებს არ ტოვებდნენ, იმისთვის, რომ ჩეჩნური მოძრაობა ამ ერთი დემონური სახით გამოჩენილიყო მსოფლიოს წინაშე.

ჩეჩნეთის მომავალი, ნეკროლოგის სიტყვით, დღეს დიდწილად კიდია ორ კაცზე, ვისთანაც ბასაევის ბიოგრაფია დაკავშირებული იყო. ერთია რამზან კადაროვი, ჩეჩნეთის დღევანდელი პრორუსული ლიდერი, რომლის მამის მოკვლასაც ბასაევი თავის დამსახურებად თვლიდა. მეორეა პუტინი, რომელსაც პრეზიდენტობა შეაძლებინა ბასაევის ლაშქრობამ დაღესტანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲑᲘᲜ ᲚᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲣᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐ



ბინ ლადენი

მუსლიმანი ჟურნალისტი ზაქი ჩეჰაბი ჟ. „ნიუ სტეიტსმენში“ (New Statesman) ფიქრობს, რომ ბინ ლადენის ორგანიზაციისათვის გაერთიანებული სამეფო დღეს მიმზიდველია ორი რამით: პირველი, იმით, რომ ამერიკელების პირველი მოკავშირეა და მათ მხარს უჭერს მუსლიმანებისათვის არასასიამოვნო მსოფლიო-პოლიტიკურ აქტებში (ერაყის ომი, იზრაელის ინტენსიური მხარდაჭერა და ა.შ.). ამგვარად, იგი ტერაქტებისათვის ფრიად სასურველი სამიზნეა. მეორე, იმით, რომ ამ სახელმწიფოს მუსლიმანი მოსახლეობა — სახელმწიფოს მიერ სრულფასოვნად გათავისებული და ყველა უფლებით მოსარგებლე მოქალაქეები — ხელსაყრელი კონტინგენტია თვითმკვლელური ტერაქტების ჩამდენთა რეკრუტირებისათვის. ავტორი ხატავს სიტუაციის გაშლილ სურათს, სადაც ჩანს, რომ ინგლისის დღეს არსებული ამინდი, შემზღუდველი ზომების მიუხედავად, მართლაც სამოთხეა მუსლიმან კამიკაძეთა აღზრდისა და მოკრებისათვის. რაც 2001 წელს დაიწყო ანტიტერორისტული სრულებითაც არ სჭირდება წასვლა არც პაკისტანში, არც ავღანეთში (სადაც თალიბები დღეს დიდ ტერიტორიებს აკონტროლებენ და ტერორისტების გაწვრთნას ვერავინ უშლით): მათ შეუძლიათ ეფექტიანი სატერორისტო განათლება ინგლისშიც მიიღონ. კომფორტი იმდენად დიდია, რომ მდედრობითი სქესის მოსწავლეებს მდედრობითივე მწვრთნელები ამეცადინებენ და ერთი ვინმე ქალბატონი ქ. კარდიფიდან სისტემატურად დადის სხვა ქალაქებში თავისი ამ პროფესიული ცოდნის გადასაცემად. თურმე, თუ გსურთ, შეგიძლიათ ჯიჰადის (საღვთო ომის) ელემენტები ოთახიდან გაუსვლელად და ფლოსტების გამოუცვლელადაც

ფლოსტებიანი „ჯიჰადისტებისთვის“ განკუთვნილი სასწავლო ვიდეომასალის კადრი

აითვისოთ: ამისთვის არსებობს ვებგვერდები, სადაც შეგიძლიათ შესვლა იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორებისაგან პაროლი მინდობილი გაქვთ.

ამას წინათ ინგლისში გაიხსნა დიდი ტერაქტის (ტერაქტების სერიის) მზადების საქმე, რომელიც საერთაშორისო ავიახაზებზე იყო დამიზნებული. პირველი ტერაქტი უნდა შემდგარიყო 18 აგვისტოს. ეჭვმიტანილები აიყვანეს 10 რიცხვში. მათი ცხოვრების წესი და ფსიქოლოგური პორტრეტები (ისევე, როგორც ამერიკული 11 სექტემბრის ტერაქტის მონაწილეებისა) იმგვარია, რომ არავითარ მინიშნებას არ იძლევა იმის შესაძლებლობაზე, რაც მათ ჩაიდინეს. მაშ გამოდის, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მუსლიმანი მოსახლეობა, კერძოდ, მისი წესიერი, დასაქმებული, განათლებული ფენა ისე ყოფილა განწყობილი, რომ მზადაა ისლამური ჯიჰადის წმინდა საქმეს ემსახუროს?

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სტროუ მუსლიმანური თემის დარწმუნებას ცდილობ

ავტორი, რომელიც, როგორც ჩანს, საქმის კურსშია, მრავალ საინტერესო დეტალს გვატყობინებს, მაგალითად, იმას, რომ ბინ ლადენმა დევნის ეს უკანასკნელი წლები სადღაც პაკისტანისა და ავღანეთის მოსაზღვრე რეგიონში, იქაურ ტომთა მფარველობაში გამოიზამთრა, მისი საცხოვრებელი ადგილი „ხუთვარსკვლავიანი გამოქვაბულები“, ანუ თანამედროვე კომფორტით გაწყობილი მღვიმეები ყოფილა. გვატყობინებს იმასაც, რომ მოძრაობის ლიდერები ძალიან ფრთხილობენ. დასავლეთის ქვეყნებში მათი ორგანიზაციები პატარა და თითქმის ურთიერთიზოლირებული ჯგუფების ფორმით არსებობს, ასე რომ ერთის ჩავარდნა დანარჩენებს ბევრს ვერაფერს ჰვნებს. ძალიან იშვიათია თავგანწირული ტერორისტი, რომელსაც დიდ ლიდერებთან შეხვედრის პატივი და ბედნიერება ჰქონდეს. განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის ცნობა იმის შესახებ, თუ რა მიაჩნიათ ინგლისის მუსლიმ მოქალაქეებს თავის უფლებად და, შესაბამისად, რა პრეტენზიებს უყენებენ ხელისუფლებას. ეს — არც მეტი, არც ნაკლები — გახლავთ ინგლისის საგარეო პოლიტიკის კორექცია იმგვარად, რომ მუსლიმანების მსოფლიო ინტერესები დაცული იყოს (მაგალითად, ინგლისელი მუსლიმანები ძალიან ღელავდნენ ინგლისის მიერ რადიკალური ნაბიჯების არგადადგმაზე მილოშევიჩის წინააღმდეგ, როცა მიჩნეული იყო, რომ ეს უკანასკნელი კოსოვოში მუსლიმანებს ხოცავდა), ამგვარად, გამოდის, რომ ინგლისის მუსლიმან მოქალაქეებს თავისი უპირველესი თვითიდენტიფიკაცია (და, შესაბამისად, ერთგულებაც) მიმართული აქვთ მსოფლიო სამუსლიმანოსკენ და არა იმ ქვეყნისაკენ, რომლის მოქალაქეებიც არიან.

აქვე ჟურნალი ათავსებს ყოფილი მინისტრის, ამჟამად პარლამენტის წევრის მაკ-შეინის წერილს ამავე თემაზე. საინტერესოა (და ჩვენთვის, ქართველებისთვის მეტად საყურადღებოა), რომ არც ერთი ავტორი კრინტს არ ძრავს იმის შესაძლებლობაზე, რომ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინგლისს შესაძლოა ჰმართებს ზომების მიღება მუსლიმანური თემის თუ უფლებათა არა, მოქმედების პრაქტიკულ შესაძლებლობათა შეკვეცისთვის მაინც. ერთადერთი მეთოდი, რომელიც მათ წარმოუდგენიათ პრობლემის მოგვარებისათვის, არის მუსლიმანი მოქალაქეების „დარწმუნება“, რომელსაც, როგორც ვთქვით (და ავტორები ამას არ უარყოფენ სტრიქონებს შორის), არანაირი პერსპექტივა არა აქვს. როგორც ჩანს, არის სხვა გარემოებათა დიდი კომპლექსი, რომელიც დაპირისპირების სტრატეგიის არჩევას (ჯერჯერობით მაინც) არამიზანშეწონილად ხდის.

# ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲜᲗ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲡ ᲣᲗᲕᲚᲘᲐᲜ

*(მმართველობის წლებზე გადაანგარიშებით)*

ყველა მეფეს ისტორია უანგარიშებს, რამდენი ჯარისკაცის სიცოცხლედ დაჯდა მისი ომები. ასევე იქცევიან დღეს ინგლისელები თავისი ქვეყნის ლიდერთა მიმართ, მაგრამ საინტერესოა, რომ ისინი თვლიან არა მხოლოდ ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეების მსხვერპლს, არამედ მოწინააღმდეგისასაც და მშვიდობიანი მოსახლეობისასაც. აი რიცხვები:

ტონი ბლეირი. მართავს უკვე ცხრა წელი. მისმა ომებმა შეიწირა 71 617 სული, ამათში — 132 ინგლისელი, დანარჩენი — ერაყელი, ავღანელი, სიერა-ლეონელი, სერბიელი სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქეები.

ჯონ მეიჯორი. მართა 7 წელიწადი. მსხვერპლი ჰყავს 22 316 სული, ამათში — 16 ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე, 22-20 ათასი — ერაყელი სამხედრო მოსამსახურე. დანარჩენი — ერაყელი სამოქალაქეები.

მარგარეტ თეჩერი. მართა 11 წელიწადი. ომებში ემსხვერპლა 1013 სული, ამათგან — 255 ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე (ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომში), 655 — არგენტინელი სამხედრო მოსამსახურე, 3 არგენტინელი სამოქალაქო, 100 ლიბიელი, როცა ამერიკელებმა ლიბია დაბომბეს ინგლისის აეროდრომებიდან.

# ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘ

ამ სახელმწიფოებს ორი ათას ხუთასი კმ სიგრძის საზღვარი აქვთ. იგი, პრაქტიკულად, ადვილად გავლადია მხოლოდ ერთ ზონაში — ცნობილი ხაიბერის უღელტეხილის მონაკვეთში, რომლის სახელი ცნობილი გახდა მსოფლიოსთვის ავღანეთში საბჭოთა ომის წლებში. ამერიკელებმა, რომლებიც დღეს ავღანეთში დგანან, ამ უღელტეხილთან თანამედროვე ტექნიკით გაწყობილი სასაზღვრო და საბაჟო სამსახური ააწყეს, რომელმაც ავღანეთის მცირე ბიუჯეტს (300 მლნ დოლარზე ცოტა მეტი) მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაუწიოს. მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ, პარალელურად, ანუ სხვა გზებითა და ბილიკებით იმოძრაოს, ტრადიციისამებრ, რამდენიმე ათასმა სახედარმა და ამ ორი ქვეყნის ნამდვილი ეკონომიკური კავშირი, სახელდობრ, კონტრაბანდული, განახორციელოს. ამ კონტრაბანდის ერთ-ერთი მთავარი საგანია ნარკოტიკები, რომელთა ერთერთი ყველაზე დიდი მწარმოებელი მსოფლიოში ავღანელი გლეხობაა (თალიბებს ეს წარმოება კატეგორიულად და ქმედითად აკრძალული ჰქონდათ, როცა ავღანეთს მართავდნენ).

პაკისტანმა შესთავაზა ავღანეთს საზღვრის გასწვრივ ღობის გაკეთება, რომელიც შეაკავებდა კონტრაბანდის ნაკადს, მაგრამ ავღანეთმა ზიზღით უარყო ეს წინადადება. ამ უარის იდეოლოგიური საფუძველია აფორიზმი, რომ ძმებს შორის უმჯობესია ხიდების შენება, ვიდრე ღობეებისა, უფრო რეალური მოტივი კი ისაა, რომ ავღანელები მოქმედ საზღვარს კანონიერად არ თვლიან, იგი, მათი აზრით, ბევრად უფრო შეწეული უნდა იყოს პაკისტანის დღევანდელ ტერიტორიაში. ორი ქვეყნის ეს სასაზღვრო ზონა დასახლებულია პუშტუნი ტომებით, რომლებიც წინააღმდეგნი არ იქნებიან, რომ, თუ გარემოებებმა მოიტანა, პაკისტანელთათვის სავალალოდ, თავისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შექმნან. არის აზრი, რომ ამ ზონაში აფარებდა თავს და ახლაც აფარებს ბინ ლადენი.

# ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲠᲝᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ

მკითხველმა იცის ჩვენი შარშანდელი პუბლიკაციიდან ლონდონში ახალგაზრდა ბრაზილიელის შეცდომით მკვლელობასთან დაკავშირებით (მას ორი პოლიციელის 7 ტყვია მოხვდა თავში და ერთი სხეულში), რომ ინგლისში, რომელსაც 50 მლნ მაცხოვრებელი ჰყავს, პოლიცია ცეცხლს ხსნის საშუალოდ... წელიწადში სამჯერ. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ბრაზილიელი, რომელიც თავისმკვლელ ტერორისტად მიიჩნიეს შეცდომით, პოლიციას მაინც შემოაკვდა. უცაბედი მკვლელების მიმართ -საქმე არ აღძრულა. გადაწყდა ამ იურიდიული კაზუსის სხვა გზით წარმართვა — საქმე აღძრულია იმ ნორმებთან მიმართებაში, რომლებიც არეგულირებენ პოლიციის საქმიანობის ამ მხარეს. პირადად ბრალდებული არავინაა. ჟ. TheEconomist მკაცრად აკრიტიკებს ამ ვითარებას. იგი თვლის, რომ შექმნილი მდგომარეობა აზარალებს მოსახლეობის ნდობას პოლიციისადმი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ სიტუაციაში, როცა ინგლისს ტერორისტული თავდასხმების საშიშროება ემუქრება. თავისი ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ მიიღო მოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ, რომლებიც ჯერჯეროით გამოქვეყნებული არ არის.

# დასავლეთის საგუნდაო პოლიტიკა — უკეთესი და ჯანსაღი —

ბერკეტები, რომლითაც დასავლეთმა დააქვეითა და დაშალა საბჭოთა კავშირი, ცნობლია: ეს იყო ცივი ომის მიერ მოტანილი შეიარაღებათა დოღი, რომელშიც წინასწარ ცნობილი იყო, რომ „სოციალისტური ბანაკი", თავისი ნაკლები ეკონომიკური და ინტელექტუალური რესურსებით, ვერ გაუძლებდა დასავლეთის მეტოქეობას და ეკონომიკური გადაძაბვის შედეგად გაკოტრდებოდა (ჯონ ფოსტერ დალესის გეგმა). ასეც მოხდა. ცნობილია ისიც, რატომ იყო ეს საჭირო: იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი უშუალო სამხედრო ხიფათს წარმოადგენდა მსოფლიოსათვის თავისი ბირთვული არსენალით და აგრესიული იდეებით ანუ ზოგადო მიზანსახვით. რა უნდა იყოს დასავლეთის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში დღეს, როცა რუსეთი თავის ბირთვულ არსენალს კვლავ ფლობს, მაგრამ იმის მეათედად შემტევი აღარ არის, რაც იყო, დემოკრატიას თამაშობს და (ეს დღეს ყველასთვის აშკარაა) ისტორიაში თავის ახალ „ვარსკვლავ საათს" ელოდება? ამ პრინციპულ თემაზე ჟ. The Economist დაფიქრდა პეტერბურგის სამიტის წინ და თავისი სახელმძღვანელო პრინციპების კიდევ ერთხელ გააზრება-ჩამოყალიბება და პეტერბურგის სამიტზე მიმავალი დიპლომატებისა და ჟურნალისტებისათვის შეხსენება მოიწადინა. სათაური „როგორ ვიცხოვროთ ძლიერ რუსეთთან ერთად" ამ გააზრებისთვის ყველაზე შესაფერისი აღმოჩნდა.

რა განსხვავებაა ელცინის დროს ჩავარდნილ რუსეთსა და პუტინის დღევანდელ რუსეთს შორის? საკმაოდ დიდი. „დიდწილად ნავთობის ფასების ზრდის შედეგად რუსეთის ეკონომიკა ამ წლების მანძილზე საშუალოდ წლიურად 6,5%-ით იზრდება. ცხოვრების დონემ აიწია და შესამჩნევი საშუალო კლასი ჩამოყალიბდა. ბირჟაზე ბუმია. რუსეთს უზარმაზარი ზრდა აქვს მიმდინარე ანგარიშებისა, იგი ისტუმრებს უკანასკნელ ვალებს და რუბლი სავსებით კონვერტირებადია". შესაბამისად, მოსახლეობა პრეზიდენტის მადლიერია როგორც თავისი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით, ისე რუსეთის საერთაშორისო პოზიციის (პრესტიჟის) გაუმჯობესების მიმართულებით. მისი რეიტინგი უზარმაზარია — 70%-ის ფარგლებში.

მაგრამ წინსვლასთან ერთად რუსეთს უკუსვლა აქვს. რაში? დემოკრატიის ხარისხში. „უფრო და უფრო ცხადი გახდა, რომ რუსეთი მიდის არასწორი მიმართულებით", სახელდობრ, დემოკრატიის კვეცის მიმართულებით. ომი ჩეჩნეთში და იუკოსის განადგურება ამ კონტექსტში პირველ ადგილზე სახელდება, აგრეთვე მასმედიის მოთოკვა არადემოკრატიული მეთოდებით და სხვა. ოპტიმიზმი, რომ რუსეთი წავიდოდა სტაბილობისა და კეთილდღეობისაკენ ისე, რომ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს არ დააზარალებდა, არ გამართლდა.

ჟურნალისთვის კითხვა დგას: როდის დაიწყო პუტინმა გაფუჭება, ანუ დემოკრატიისათვის ზურგის შექცევა? როცა ხოდორკოვსკი დაიჭირა? როცა ბესლანის ამბავი მოხდა? როცა იანუკოვიჩის კანდიდატურას მხარი დაუჭირა და ხელი მოეცარა? არც ერთი ამ თარიღის „კანდიდატურა" არ მართლდება. დასკვნაა: ასეთი მომენტი არ არსებობს. პუტინის, როგორც უშიშროების ოფიცრის, ბუნება მუდამ ეს იყო. „მისთვის მნიშვნელობა აქვს წესრიგის აღდგენას, ხელისუფლებაში დარჩენას და რუსეთის გავლენის აღდგენას — არა რაღაც მიდებ-მოდებას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებზე ზრუნვის შესახებ".

კიდევ ჩნდება კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ამ პირობებში დასავლეთი? ეკონომიკური სანქციებისა რუსეთს აღარ ეშინია და აღარ შეეშინდება, თუ ნავთობის ფასი არ დაეცა, მაგრამ ეს არ მოხდება. (შევნიშნავთ: ტექნოლოგიებზე ემბარგოს ჟურნალი ამ კონტექსტში არ ახსენებს, ვინაიდან ეს შეუდარებლად უფრო მაღალი ხარისხის დაპირისპირების ელემენტია, რომლის შესაძლებლობაზეც იგი ახლა საუბარს მიზანშეწონილად არ მიიჩნევს). პოლიტიკური ზეწოლაც არ გამოდგება, რადგან მან შეიძლება რიკოშეტი მოგვცეს. „რაკი კრემლმა ყოველივე ისევ თავის კონტროლში მოიქცია, რუსეთი მხოლოდ შიგნიდან შეიცვლება, ან სულ არ შეიცვლება".

მაგრამ გავლენის საშუალებები დასავლეთს, ჟურნალის აზრით, მაინც აქვს. სახელდობრ, კრემლი მგრძნობიარეა კრიტიკისადმი, რუსეთის ხელისუფალნი აგრეთვე ვერ იტანენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. ამიტომ დასავლეთმა ფართოდ უნდა აახმაუროს თავისი აზრი ჩეჩნეთში არსებულ პოლიტიკაზე, დემოკრატიისაგან გადახვევაზე, ენერგეტიკის გამოყენებაზე ევროპაზე ზეწოლის მოსახდენად და ა.შ. აგრეთვე უნდა დაეხმაროს არასამთავრობოებს და ამით გამოზარდოს ალტერნატივა კრემლის მკვდარი ტვირთის შესაცვლელად. დასავლეთმა არ უნდა დაუშვას კონსტიტუციის შეცვლა ისე, რომ პუტინი კიდევ ერთხელ აირჩეს და ა.შ. ამის უკან (ჟურნალი ამასაც ამბობს გაკვრით) „დიდი რვიანიდან" გარიცხვის მუქარა უნდა იდგეს. ამ უკანასკნელ მსჯელობას ჟურნალი არბილებს იმით, რომ, მისი აზრით, დღეს რუსეთის გარიცხვა დიდი რვიანიდან არ ღირს, რადგან საჭიროა მისი თანადგომა ირანის ბირთვული ამბიციების მოთოკვის საქმეში. გარდა ამისა, დასავლეთი უნდა დაეხმაროს რუსეთის მეზობლებს, რომლებზეც ეს უკანასკნელი გავლენის გავრცელებას ცდილობს — უკრაინასა და საქართველოს — მაგრამ არ უნდა იჩქაროს მათი ნატოში შემოყვანა, სანამ ისინი მზად არ არიან. ამასთან, დასავლეთმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ მას რუსეთის გამდიდრება და გაძლიერება აწუხებს და არა მისი დემოკრატიის ბედი.

დასასრულ, ჟურნალი იმოწმებს ამერიკელი დიპლომატის, მოსკოვში აშშ-ს ყოფილი ელჩის კენანის ფორმულას „ცივი ომის" მომზადების ხანაში: საბჭოთა კავშირი უნდა მუდმივად „შევაკავოთო" (Contain). ახლა, ჟურნალის აზრით, ფორმულა უნდა იყოს „ფრთხილად ჩავერიოთ საქმეში ზემოქმედების მიზნით (Wary Engagement).

სხვა მასალაში ჟურნალი აკონკრეტებს ამ პრინციპული წერილის ზოგ მონაცემს. მაგალითად, იგი თვლის, რომ საშუალო კლასი, რომელიც გაჩნდა, მოსახლეობის დაახლოებით 25%-ს შეადგენს. იგი გვატყობინებს, რომ რუსეთის მოსახლეობა წელიწადში 750 ათასით კლებულობს, რომ ნავთობის შემოსავლიდან 77 მილიარდი დოლარი გადაიდო „წვიმიანი დღის ფონდში".

აქ არის აგრეთვე საინტერესო შენიშვნა, რომ პუტინის გუნდის წევრები მის ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებს ხშირად ამართლებენ იმით, რომ „ეს დემოკრატიულ ქვეყნებშიც ასეა". ჟურნალი ამ არგუმენტს იგერიებს იმის აღნიშვნით, რომ დემოკრატიის ხარისხისათვის არსებითია მთლიანი სურათი და არა მისი ცალკე დეტალები.

საყურადღებოა ჩრდილო კავკასიის სიტუაციის ხედვა ჟურნალის მიერ. ქართველი მკითხველისათვის საინტერესო აქ პირველ ყოვლისა ის არის, რომ შეტაკებების სახეთა შორის დასახელებულია საჰაერო დაბომბვაც. სისხლიანი ქაოსის მიღმა, რომელიც სუფევს, მეტ-ნაკლებად, ჩრდილო კავკასიაში საერთოდ, ჟურნალი უშვებს ორივე ურთიერთალტერნატიული და ამავე დროს ურთიერთშემავსებელი ფაქტორის მოქმედებას: ერთია ხელისუფალთა ანგარება, რომელიც ხელს უწყობს არეულობას (მასთან საბრძოლველი დაფინანსების მოპოვების ფორმით) დიდი ფულის საშოვნელად. მეორეა ბუნებრივი ადგილობრივი ფაქტორების კომბინაცია, სახელდობრ: სეპარატიზმისა, ურთიერთკინკლაობისა, სისხლის აღებისა, ტერიტორიული პრეტენზიებისა, ომებისა და მასობრივი გასახლებების ისტორიისა და, დასასრულ, მზარდი რელიგიური ექსტრემიზმისა, რომლის ერთერთ მთავარ მიზეზსაც წარმოადგენს რელიგიური გაუნათლებლობა სამოცდაათი წლის ოფიციალური ათეიზმის პირობებში. მთავრობის სისასტიკე და კორუფცია ამ სიტუაციას, ეროის მხრივ, ხელს უწყობს იმით, რომ შესაძლებელს ხდის იარაღის შოვნასაც და მისი ქონისათვის დაუსჯელობასაც, მეორე მხრივ, იმით, რომ ქმნის მასობრივ გაღიზიანებას, რომელიც მეამბოხეთა რეკრუტირებას აადვილებს.

პუტინის ჭეშმარიტი სულისკვეთება, რომელიც ახლა საშკარაოზე გამოვიდა და გამოდის, ჟურნალის აზრით, არის მხოლოდ რუსული სახელმწიფოს სიდიადისკენ სწრაფვა, რასაც ჟურნალი სიტყვის „ჩეკიზმი" შინაარსში დებს. მისი ენა თანდათან ტრადიციულად ანტიდასავლური ხდება (სახელთა უხსენებლად). მისი დასავლეთთან დღევანდელი დაპირისპირებისა და ჭიდაობის მთავარი არეალია ნასაბჭოური რესპუბლიკები, რომელთა ნაწილშიც იგი თავის გავლენით მანიპულირებს, ნაწილს კი, პროამერიკულს, შეძლებისდაგვარად სჯის. გარდა ამისა, იგი ეთამაშება ჩინეთს. ჟურნალი იმოწმებს პოლიტოლოგს, რომელიც ამბობს — რუსეთი ახლა თავს ანებებს დასავლეთის მხის სისტემას და საკუთარის შექმნას ცდილობსო.

გაგრძელება მე-14 გვერდზე

# რუსეთი და უკრაინა

## („ძვირფასო, შინა ვარ")

ამ სათაურით ჟ. The Economist ბეჭდავს რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობების მიმოხილვას იუშჩენკოს წინააღმდეგობის მიუხედავად უკრაინის მთავრობის სათავეში იანუკოვიჩის დაჯდომის შემდეგ. ამას წინათ იანუკოვიჩმა რუსეთში იდარბაზა და იქ უაღრესი სითბოთი შეეხვდნენ. ასე ჩანს — და ხალხი ასე ფიქრობს, — რომ, რაკი იანუკოვიჩი თავის ძველ პოსტს დაუბრუნდა, რუსეთი უკრაინას დაუტკბება. მაგრამ თუმცა „უკრაინის გიჟური პოლიტიკის შედეგად" იანუკოვიჩმა ეს შეძლო, ეს ფაქტი ამას სრულებითაც არ ნიშნავს: ბევრი რამ შეიცვალა თვით კრემლში.

ორივენი — იუშჩენკოც და იანუკოვიჩიც — ამბობენ, რომ მათი პოლიტიკური თანაარსებობა (რასაც ნაკლები ალბათობა აქვს) ხელს შეუწყობს დასავლეთი და აღმოსავლეთი უკრაინის განხეთქილების თავიდან აცილებას. გარდა ამისა, იმედი არსებობს, რომ იანუკოვიჩი განკურნავს იმ განხეთქილებას, რაც მოსკოვსა და კიევს შორის მოხდა იუშჩენკოს პროდასავლური პოლიტიკის გამო. რუსი პოლიტოლოგის სიტყვით, მათი ურთიერთობის განვითარება „პოზიტიურად" მიდის, რასაც, მაგალითად, ადასტურებს იანუკოვიჩის ამასწინანდელი შეხვედრა თავის რუს კოლეგასთან და პუტინთან სოჭაში. ამ შეხვედრის შესახებ ცოტაა ცნობილი გარდა იანუკოვიჩის ნათქვამისა, რომ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს ყველაზე მწვავე თემაზე — გაზზე, რომელიც უკრაინას რუსეთიდან შემოჰყავს და ევროპისაკენ გაჰყავს, თუმცა ამ თემაზე ჯერ კიდევ თავისი სიტყვა ეკუთვნის თურქმენეთს, საიდანაც ეს გაზი ძირითადად მოდის. შესაძლებელია, რომ რუსეთი მართლაც წავიდეს პატარ-პატარა შეღავათების დათმობაზე უკრაინისთვის თუნდაც იმ მიზნით, რომ ამით ამერიკას უკბინოს, მაგრამ არსებითად (ჟურნალი ამაში რუსეთს იმოწმებს) იანუკოვიჩი „ვერ შეცვლის ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას". ეს ნაწილობრივ იმიტომაა ასე, რომ იანუკოვიჩის პრორუსული პოზიცია შესაძლებელია საქმით კოსმეტიკური აღმოჩნდეს. საქმე ისაა, რომ უკრაინელი დიდი საქმოსნები, რომლებიც იანუკოვიჩის ზურგს უკან დგანან, კონკურენციაში არიან რუსულ ბიზნესთან, რის გამოც იანუკოვიჩის მთავრობა შეიძლება რუსული ინვესტიციების წინააღმდეგ წავიდეს. იანუკოვიჩის პრორუსულობის წყალობით დათბობის მიღწევა გარანტირებული არ არის: კრემლი, მართალია, განწყობილია განდგომილი ქვეყნების დასასჯელად, როგორიცაა საქართველო, მაგრამ არა ერთგულთათვის მუქთა საჩუქრების მისაცემად.

თუმცა ტექნიკურად საგარეო პოლიტიკა უკრაინის პრეზიდენტის პრეროგატივაა, მაინც, ჟურნალის აზრით, ძნელი იქნება ამ სფეროს მოზღუდვა იანუკოვიჩის მონაწილეობისაგან. „რეალური რისკი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ უკრაინას შეიძლება ბოლოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საგარეოპოლიტიკური კურსი შერჩეს ხელთ, არამედ იმაში, რომ შეიძლება ორივე ჩავარდეს — დასავლეთთან ინტეგრაციაც დაბუქსავდეს და რუსეთიც განზე გამდგარი დარჩეს.

კიდევ უფრო ძნელი იქნება, ჟურნალის აზრით, შინაგანი განხეთქილების დაძლევა. იუშჩენკოს არაერთი თავისი კაცი ჰყავს იანუკოვიჩის კაბინეტში. მართალია, იანუკოვიჩმა ხელი მოაწერა იუშჩენკოს მთელ რიგ პრინციპებს, მაგრამ ამ ფაქტს არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს და იანუკოვიჩი ყოველთვის შეიძლება გადაუდგეს მათ (ამ პრინციპებს), რისი ნიშნებიც ახლა უკვე ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაც აბირეჯენ ჯ-უჯელეჯი ჯარტრო შემდეგ?

კუბის სტაჟიან დიქტატორს ფიდელ კასტროს ჯანმრთელობა ჰლალატობს. როგორც იტყვიან, „სიბერე სჭირს, ჭირთა უფრო ძნელია". იგი წავა, მაგრამ კუბა დარჩება. როგორ გაუძღვებიან თავის ცხოვრებას კუბელები, როცა ეს მოხდება? New Statesman საინტერესო მასალას აქვეყნებს ამ თემაზე.

ავტორი ალისა ო-კეეფე (ერთი იმ მცირერიცხოვან ჟურნალისტთაგანი, ვინც დაშვებულ იქნა რევოლუციურ კუნძულზე ძალაუფლების გადაცემის უკვე დაწყებული, მაგრამ ჯერჯერობით დამთავრებისაგან შორს მყოფი პროცესის პირობებში) გვატყობინებს, რომ ჰავანელების სტანდარტული პასუხი კითხვაზე „რა ხდება?" არის „სიმშვიდეა". კუბის „ცოფიანად ანტიკასტროისტული" ემიგრაცია მაიამიში ეიფორიაშია იმის გამო, რომ ფიდელი იძულებულია ძალაუფლება თავის ძმას რაულს გადაულოცოს. თვით ჰავანაში ყველა გასუსულია და რეაგირებას არაფერზე ახდენს.

სურათზე: ფიდელ კასტრო და რაულ კასტრო

ნამდვილი გრძნობები, ჟურნალისტის აზრით, მოიცავს დიდ გაღიზიანებას დიქტატით და ამავე დროს პირადად ფიდელის ფიგურის დიდი ხიბლის („ხარიზმის") ფაქტორს (ამ ხარიზმის შექმნას თავისი კანონები აქვს. კუბელი ინტელიგენტი ამბობს: ჩვენ, კუბელები, აფრიკელები ვართ.. გვინდა ტომის ბელადი: ვინც ყველაზე კარგი ბიჭია, გამბედავი, კარგი შესახედავია, ყველა ქალთან ლოგინში წვება. მოკლედ — ფიდელი"). იციან, რაა რევოლუციის მიერ მოტანილი სიკეთე, მაგალითად, განათლება და სამედიცინო დაცვა. ფიდელის ხარიზმას სხვა ვერ ჩაენაცვლება, პირველ ყოვლისა — მისი ძმა რაული, რომელიც ჯერჯერობით არ ჩნდება და ხმას არ იღებს, მიუხედავად იმისა, რომ ფიდელის დროებით შემცვლელად უკვე გამოცხადებულია. ქუჩაში რომ მოპროტესტეები არ გამოდიან, ამის მიზეზია ერთის მხრივ შიში საკუთარი ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების წინაშე, მეორეს მხრივ, შიში იმისა, რომ ეს მაიამიში მჯდომი კუბური კონტრრევოლუციის მიერ გაგებული იქნება როგორც მიპატიჟება და მოხდება მის მიერ ხელისუფლების დაბრუნების მცდელობა. არის ასეთი კონცეფცია: დემოკრატია გვინდა, მაგრამ მის მოსაპოვებლად ამერიკელების ჩარევა არანაირად არ გვჭირდება, ამას საკუთარი ძალებითაც შევძლებთო.

ჟურნალისტის სიტყვით, კუბელებმა კასტროს მმართველობის მანძილზე განივითარეს „დამოუკიდებელი იდენტობის მძაფრი გრძნობა", ამიტომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ ამერიკული ინტერვენციის შემთხვევაში. ასევე გამორიცხავენ მაიამიში მყოფი ემიგრანტების რაიმე პრეტენზიისადმი დათმობას, რომელთაც ძალაუფლების და თავისი სახლების დაბრუნება უნდათ. ამერიკელები ძალით კუბას არ შემოუტევენ, მაგრამ „მწვანეზურგიანი" ქაღალდის — დოლარის ძალა დიდია. ამერიკელებს უკვე გამოყოფილი აქვთ 80 მილიონი კუბის ეკონომიკის დახმარებისათვის. ხალხი ძალიან გაჭირვებულია და იმ დოლარებს აქტიურად წაეტანება. გარდა ამისა, კუბის გარეთ არის ადამიანის წინსვლის პერსპექტივა, კუბაში კი — არა. კუბას ჰყავს საუცხოოდ განათლებული ახალგაზრდობა, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში კარგი დასაქმება შეუძლია, მაგრამ არ უშვებენ. ამ ახალგაზრდობას ემიგრაცია ენატრება. ასე რომ ეს ახალგაზრდობა ნაკლებ სავარაუდოა კუბის რევოლუციური მემკვიდრეობის შემნახველად მოგვევლინოს.

* * *

ცოტა სხვა თვალით ხედავს ფიდელ კასტროსა და მისი სახელმწიფოს მომავალს ჟ. The Economist. ჯერ ერთი, იგი უფრო ოპტიმისტურად უყურებს ფიდელ კასტროს ჯანმრთელობას: მას ოპერაცია ჰქონდა ნაწლავებში სისხლის დენის გამო, მაგრამ იგი გადაიტანა. მართალია, ჯანმრთელი კაცი აღარ იქნება, მაგრამ იცოცხლებს და კუბის სათავეში იდგომებაო. იქიდან გამომდინარე, რომ რამდენიმე საკმარისად პოპულარული და უფრო თანამედროვე, ამასთან — ახალგაზრდა ფიგურა ჰყავს თავის მმართველ ჯგუფში, შესაძლებელია, კასტრომ თავისი ქვეყნისათვის აირჩიოს ჩინურის მსგავსი გზა — პოლიტიკურ ხელისუფლებად კომუნისტების დატოვება, მაგრამ ეკონომიკური კურსის წაყვანა ძირფესვიანი ლიბერალიზაციის მიმართულებით. ჟურნალი ასახელებს რამდენსამე ლიბერალურ ნაბიჯს, რომელიც არსებულმა ხელისუფლებამ გადადგა ეკონომიკაში ბოლო წლების მანძილზე (პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ ეკონომიკური განსაცდელი შეექმნა საბჭოთა კავშირის გაუქმების შედეგად), რომლებიც მოწმობს, რომ ამ ხელისუფლებას შეუძლია რეალისტური აზროვნება ამ დარგში. რაულ კასტრო, რომელიც მხოლოდ 5 წლითაა უმცროსი ფიდელზე, სრულებითაც არ ესწრაფვის ხელისუფლების აღებას. იგი თავს კოლექტიური მართვის მომხრედ აცხადებს და ალბათ რეალურადაც შეეცდება, რომ მმართველ გუნდს ასეთი სტრუქტურა — ერთი დიდი ბელადი სათავეში და, მის ჩრდილში, რეალურად მმართველი საქმიანი გუნდი ქვემოთ — შემოიღოს პრაქტიკულად. ჟურნალი თვლის, რომ, თუმცა ეს უცნაურად ჟღერს, ამერიკელებისათვის ხელსაყრელია, რომ კუბამ ასეთი ევოლუციის გზა აირჩიოს.

ფიდელ კასტრო
პაციენტია

კუბელების ემიგრაცია, რომელიც ფლორიდაში, მაიამიში ბინადრობს, 800 ათას სულს შეადგენს და წელიწადში 20 ათასი ემიგრანტით იზრდება, რომელთაც ეკონომიკური, და არა პოლიტიკური, მოტივები ამოძრავებთ. ბუშის პოლიტიკა კუბის მიმართ მკაცრი იყო თავიდან — ჟურნალის აზრით, ნაწილობრივ მაინც იმის გამო, რომ თავისი პრეზიდენტობა ბუშმა სწორედ ფლორიდაში მოიგო საბოლოოდ, როცა მისი საარჩევნო გამარჯვება ბეწვზე ეკიდა. მისი ანგარიშგაწევა კუბელი ემიგრანტებისადმი ამ სიმკაცრის ერთერთი წყაროა (ემბარგო და სხვა). საგარეო საქმეთა უწყებასთან ბუშმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც კუბის საკითხზე მუშაობს, და კუბაში სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობის მიზნით 80 მილიონი დოლარი გამოყო (ეს თანხა ნახსენებია New Statement-ის ციტირებულ წერილშიც).

ჟურნალის სიტყვით, არაერთი ამერიკელი მოხლე დიდი ხანია წინასწარმეტყველებს, რომ კასტროს წასვლისთანავე კუბაში რეჟიმი ჩამოვარდება. ასეთია ემიგრაციის ოცნებაც, რომელსაც, ერთი ფლორიდელი ამერიკელის სიტყვით, „ქაოსი უნდა, რათა მისგან დემოკრატია იშვას". და არა თანდათანობითი გადასვლა. ზოგი ემიგრანტი ლიდერი იმასაც ფიქრობს, რომ კუბის სანაპიროზე „მოპროტესტე" მცურავი საშუალებები გააგზავნოს, რათა დისიდენტური სულისკვეთება გააღვივოს, მაგრამ ამერიკის ხელისუფლებას ყოველგვარი ცურვა კუბის მიმართულებით აკრძალული აქვს.

მიუხედავად აგრესიული ლაპარაკისა „თავისუფალი კუბის" შესახებ, ამერიკული ადმინისტრაცია, ჟურნალის აზრით, მოცდის პოლიტიკას ირჩევს. მას უნდა, კუბელი ემიგრანტები ერთიანნი იყონ და მოთმინებით აღჭურვილნი. ამ თემისადმი ბუშის ყურადღების ხარისხზე მეტყველებს ის გარემება, რომ კასტროს ავადმყოფობის გაცხადებისთანავე იგი შეჰხვდა კუბელ ემიგრანტებს. ამერიკელების კურსია, რომ კუნძულზე მყოფმა კუბელებმა მომავალში თვითონ აირჩიონ თავისი ხელისუფლება და მართვის ფორმა. ხოლო ემიგრანტების ჩასვლა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს. ჟურნალის სიტყვით, ამერიკელებისათვის კუბაზე მთავარია არა დემოკრატია, არამედ სტაბილობა (სხვათა შორის, ახალ ემიგრანტთა ნაკადისაც ეშინიათ), მაგრამ ამას ხმამაღლა ვერავინ ამბობს.

ძალიან მწვავე საკითხია კუბაზე კონფიზცირებული ქონების რესტიტუცია. ემიგრანტები თვლიან, რომ მათ 9 მილიარდი დოლარის საღირალი ქონება წაართვეს. მათ სახლებში სხვები ცხოვრობენ. ბევრი ემიგრანტი შეგუებულია იმ აზრს, რომ სახლებს ველარ დაიბრუნებენ, თუმცა კომპენსაციას მაინც ითხოვენ. ამერიკელები არ არიან იმისი მომხრე, რომ სახლები განუკითხავად დაუბრუნდეთ პატრონებს, რაც დესტაბილიზაციის პირდაპირი წყარო იქნება. როგორც ყველა დიქტატურის, ისე კუბის მომავლის მექანიზმებში ჩახედვა ძნელია, მაგრამ, ჟურნალის აზრით, დღეს არაჯინ დავობს იმაზე, რომ კუბის ბედი თვით კუბელებმა უნდა გადაწყვიტონ.

# რას უქადის აზერბაიჯანს „ნავთობსახელმწიფოს" პერსპექტივა?

თავის მოკლე შენიშვნას ჟ. The Economist მხატვრული კონტრასტით იწყებს: აგერ ბაქოს მახლობლად კასპიის ზღვის სანაპირო (ჰლაჟი), რომლის ხედაც მრავალი წლის წინ აქ მოტანილი და დღესდღეობით ჩაჟანგებული უმოქმედო ნავთობმოსაპოვებელი მცურავი პლატფორმა ამახინჯებს. მეორეს მხრივ, აქედან სულ ერთი საათის სავალზე, სამხრეთისკენ, ბრწყინავს ახალთ-ახალი ტერმინალი, რომლითაც იწყება 3,9 მილიარდ დოლარად ღირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. ძველის და ახლის ამგვარი შთამბეჭდავი კონტრასტი, ჟურნალის აზრით, აზერბაიჯანის ერთერთი მახასიათებელია. ასი წლის წინ აზერბაიჯანი ნავთობის ერთერთი ყველაზე დიდი წყარო იყო მსოფლიოში. ეს მდგომარეობა უნდა აღდგეს 2010 წლისათვის, როცა ამ ქვეყანაში ნავთობის მოპოვება გასამკეცდება და დღეში 1,3 მილიონ ბარელამდე ავა. თუ ბარელი 50 დოლარი მაინც ეღირება (დღეს იგი 75 ღირს), ეს აზერბაიჯანს 20 წლის მანძილზე 140 მილიარდ დოლარს მოუტანს (ასე ამბობს თვითონ ალიევი). გაზის მოპოვება გაოთხკეცდება და გახდება წელიწადში 28 მილიარდი კუბომეტრი.

ეს ასტრონომიული შემოსავალი, რა თქმა უნდა, ბედნიერებაა გაღარიბებული ქვეყნისათვის, რომელსაც 8 მილიონი მოსახლეობა ჰყავს (ამათში — 800 ათასი ლტოლვილი ყარაბაღიდან). მაგრამ საკითხავია: გაუძლებს თუ ვერა აზერბაიჯანი სამხვ საშიშროებას, რომელიც ნავთობით მდიდარ ქვეყნებს ემუქრება? პირველია კორუფცია, მეორეა რენტის კონკურენტული ძიება (ანუ ერთმანეთის ყელის ღადვრა იმისათვის, რომ ნავთობის მუქთა შემოსავალში „ჩავდნენ") და „ჰოლანდიური დაავადება" ანუ ისეთი ვითარება, როცა ფულის გადახურდავების გაძვირების წყალობით ნავთობის წარმოება ჩაკლავს ეკონომიკური აქტივობის ყველა სხვა სახეებს.

აზერბაიჯანი აღიარებულია მსოფლიოს ერთერთ ყველაზე კორუმპირებულ ადგილად. ალიევის მმართველობაში იგი ოდნავ შენიღბული ავტოკრატიაა. მაგრამ რაღაცა ნაბიჯები მას მაინც გადადგმული აქვს. მაგალითად, 1999 წელს დაარსებულია ნავთობის ეროვნული ფონდი, რომელსაც 1,6 მილიარდი დოლარი აქვს. აზერბაიჯანს აგრეთვე ხელი აქვს მოწერილი ბლეირის ინიციატივით შექმნილ „მომპოვებელი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივაზე", რომელიც ამ საქმეებში კორუფციის აღკვეთის სქემას შეიცავს: ნავთობკომპანიებს მიაქვთ თავისი მონაცემები ფულადი გადასახადების შესახებ ფონდში, რომელიც მათ აქვეყნებს. მაგრამ ეს მეთოდი აკონტროლებს მხოლოდ შემოსავლებს, იგი ვერ აკონტროლებს მათ ხარჯვას. აქ, ბაქოში მყოფთა დაკვირვებით, დიდი განუკითხაობა სუფევს (ნათესავებისათვის კონტრაქტების მიცემა და სხვა). ინფლაცია გაიზარდა და მანეთი გაძვირდა, რაც ჰოლანდიური ავადმყოფობის დაწყების სიმპტომი შეიძლება იყოს.

მოდელი, რომელსაც აზერბაიჯანი ესწრაფვის, ნორვეგიულია: იქ შექმნილია უზარმაზარი სტაბილიზაციის ფონდი, რომელიც აშენდა ეკონომიკის დამახინჯების გარეშე. მაგრამ საკვირველი იქნება, თუ ღარიბი ქვეყანა, რომელიც ინტენსიური სოციალური პრესის ქვეშ იმყოფება, ასეთსავე გმირობას შეძლებს. აზერბაიჯანელები, ისევე როგორც ვენესუელელები და ნორვეგიელები, იმ რისკის ქვეშ იმყოფებიან, რომ მათი სიმდიდრე ხალხს ვნებას მოუტანს და არა შვებას.

# ვინ ვოიგოო (ჯეჯჯეჯოპით) ლიბანის ომი?

## (ახლო აღმოსავლეთის მოვლენათა ახალი ხვეული)

ამ ომის შესახებ ჟ. The Economist წერს, ასიმეტრიულ საომარ მომქმედებებში გამარჯვების კრიტერიუმებიც ასიმეტრიულიაო. თავის მთავარ პუბლიკაციას ამ თემაზე იგი მაინც სათაურად არქმევს „ნასრალლა ომს აგებს“ (ჰასან ნასრალლა ლიბანის ჰიზბულლას ლიდერი გახლავთ) და ჩამოთვლის მხარეთა მიღწევებს ამ ომის შედეგად.

ისრაელელი ჯარისკაცი უკმაყოფილოა

რა უნდოდა ისრაელს ამ ომით? ძას უნდოდა ლიბანში მყარად ფეხმოკიდებული ისლამური მებრძოლი ორგანიზაციის „ჰიზბულლას“ განადგურება, რაც, ჟურნალის სიტყვით, იმთავითვე აბსურდული გეგმა იყო. ამას მაინც ვერ მიაღწია. დაიდო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და მიღებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომლის ძალითაც მხარეები (თითქოს) დაშორიშორდნენ, ჰიზბულლას დაევალა განიარაღება, ისრაელს ლიბანის დაკავებული ტერიტორიიდან გასვლა და ა.შ. რა უნდოდა ჰიზბულლას? მას უნდოდა გაჩენა, როგორც ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ერთეულისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი საძულველია არა მხოლოდ ისრაელისათვის, არამედ ლიბანის მთავრობისათვისაც, რომელსაც (ისევე, როგორც მოსახლეობის დიდ ნაწილს) „ყელში აქვს ამოსული“ ის, რომ ირანისა და სირიის მიერ მართული და შეიარაღებული ეს ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია (რომელიც ახლა, პარალელურად, პოლიტიკური ძალის ამპულაშიც ფიგურირებს) ლიბანის ერთადერთი შეიარაღებული ძალაა და ამ მხრივ არანაირად შესადარებელი არ არის ლიბანის უსუსურ არმიასთან, რომელიც დაახლოებით 15 ათას კაცს ითვლის. ჰიზბულლამ ამ მიზანს მიაღწია. იგი, მართალია, კარგა მაგრად შეიფერთხა ამ ომში (დაახლოებით 500 კაცი დაკარგა), მაგრამ შეიარაღებულ ერთეულად დარჩა და იარაღის ჩაბარებას არ აპირებს („ნაადრევად თვლის“). უფრო მეტიც: დაზავების წინა დღეს მან ისრაელის მიმართულებით რაკეტების სარეკორდო რაოდენობა – 246 – გაუშვა (სულ ამ მოკლე მანძილზე ისრაელის ტერიტორიას მან დაახლოებით 3500 რაკეტა სტყორცნა. თუ ყველა არა, ამათი დიდი წილი მაინც ირანის მიცემულია, რომელიც არ მალავს, რომ ისრაელის მოსპობა მიაჩნია საჭიროდ. რუსული შეიარაღების როლი ამ კონტექსტში არ იხსენიება, თუმცა სადღაც გაკვრით გაიელვებს სახელი „კატიუშა“ და თუმცა სირია, რომელიც ჰიზბულლას ერთერთი ზურგია ორიდან, როგორც ცნობილია, თავის პოლიტიკაში რუსული იდეებით და რუსული იარაღით საზრდოობს). თეირანელმა ბრბოებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს დაზავება, რომელმაც, მათი აზრით, იზრაელი „ვაანადგურა“ და „სტრატეგიული ისტორიული გამარჯვება“ მოიტანა. ეს გამარჯვება, ენთუზიასტთა თვალში, იმაში გამოიხატა, რომ მოიკლა 116 „სიონისტი“ (ისრაელელი) ჯარისკაცი. მაგრამ ისლამის ბანაკის ამ არასერიოზული ეიფორიის უკან უფრო სერიოზული გარემოებები დგას: ისრაელის არმიამ ამჯერად ვერ აჩვენა თავი, როგორც რეგიონში უძლეველმა და ყოველგვარი თავდასხმის უპირობოდ აღკვეთისუნარიანმა. კარგად ორგანიზებულმა ჰიზბულლამ, რომელიც ლიბანში სულ რამდენსამე ათას კაცს ითვლის, მას ქმედითი წინააღმდეგობა გაუწია. ისრაელის ხელმოცარვის ფაქტორებს შორის ჟურნალი (სხვადასხვა ადგილას) ასახელებს რამდენიმეს. ერთი (ყველაზე მცირე) ისაა, რომ ისრაელის ამ კამპანიას ორგანიზაციულადაც და მომზადების მხრივაც დეფექტები აღმოაჩნდა. მეორე, რომ ისრაელის იმედი, ომის შედეგად ლიბანის მრავალეროვანი და მრავალ აღმსარებლობად დაყოფილი მოსახლეობა გაღიზიანდება ჰიზბულლას წინააღმდეგ, რომელმაც თავისი აგრესიული მოქმედებით ისრაელის მხრიდან დარტყმის პროვოცირება მოახდინა, არ გამართლდა: ლიბანის მოსახლეობა ამ ომში აქტიურად მიემხრო ჰიზბულლას, და არა ისრაელს, რომელმაც რაკეტების საწყობების განადგურების მიზნით დასახლებული უბნების ბომბვას მიჰყო ხელი (ეს საწყობები ძირითადად მართლაც გაანადგურა ჰაერიდან, მაგრამ მოსახლეობის დიდი მსხვერპლის ფასად). მესამე ისაა, რომ ომის მოცემულმა ასიმეტრიულმა ფორმამ – როცა ისრაელი ცდილობს საჰაერო დარტყმებით განახორციელოს თავისი სტრატეგიული ამოცანა და ომი მოიგოს, ჰიზბულლა კი ქვეითად იბრძვის მოსახლეობაში არეული, – ისე არ გაამართლა, როგორც მას უნდოდა. ამიტომ ისრაელის მოსახლეობის ცნობიერებაში (რომელიც სრულებითაც არაა მტრედისებურად განწყობილი) ეჭვის ქვეშ დადგა საერთოდ ისრაელის მიერ ათწლეულების მანძილზე მიღებული სტრატეგია თავისი გეოპოლიტიკური საკითხების გადაჭრისა: ომი. ზოგნი (განსაკუთრებით ისრაელის უცხოელი „ჭკუის მასწავლებლები“) ისრაელს ურჩევენ, მეზობლებთან მშვიდობიანი პოლიტიკის გზას დაადგეს, ხოლო ისრაელელი სამხედრო პირი (რომელიც, რა თქმა უნდა, საქმეს უფრო რეალისტურად უყურებს) იმ აზრისაა, რომ ისრაელმა აქამდე შეცდომით მართა თავისი პოლიტიკა, როცა ეგონა, რომ პრობლემის გადაწყვეტა ომით (იგულისხმება: ერთი კონკრეტული ომით) შეიძლება. ისრაელის ხვედრი და სტრატეგია არის (უნდა იყოს) არა ერთჯერადი ომი, არამედ მუდმივი ომის მდგომარეობაში ცხოვრებაო.

ლიბანის დაბომბვის შემდეგ

ისრაელის არმიის სისუსტის დემონსტრაციამ (ნამდვილისა თუ მოჩვენებითისა და შექცევადისა თუ შეუქცევადისა, ჯერ არ ვიცით) დაუყოვნებლივ გაათამამა მისი მოწინააღმდეგეები. სირიაში კვლავ დაიწყო ლაპარაკი მისთვის ისრაელის მიერ გოლანის მაღლობების დაბრუნების შესახებ, ხოლო ირანმა, რომელიც აქამდე მალავდა თავის მიერ ლიბანის რაკეტებით შეიარაღების ფაქტს, ახლა, პირიქით, ამ დახმარებით თავის მოწონება დაიწყო. არც ირანი, არც ჰიზბულლა არ მალავენ თავის პოზიციას, რომ ისრაელი არ უნდა არსებობდეს. ნასრულლას ასეთი აფორიზმიც კი ჰქონია გამოთქმული: კარგია, რომ ებრაელები ერთად არიან შეკრებილნი ისრაელში, ეს მათს ერთიან განადგურებას აადვილებსო. მაგრამ ისრაელის პოზიციები, თვით ამ წარუმატებელი ომის ფაქტიც რომ დავივიწყოთ, არც ისე მტკიცეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. შარონის მიერ გაზის ზოლის დაცლის გეგმა და მისი განხორციელება (რაც დასრულდა), ისევე, როგორც იორდანეს დასავლეთ ნაპირზე არსებული ებრაული დასახლებების მოშლა და, საერთოდ, ებრაული დასახლებების პოლიტიკაზე ხელის აღების გეგმა შარონამდელ ლიდერებსაც ჰქონდათ მოაზრებული და დღევანდელებსაც აქვთ. ახლა ამ დასახლების მოშლაზე ლაპარაკი, ბუნებრივია, შეწყდა. მაგრამ რა იქნება ხვალ, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ ისრაელის სახელმწიფოსა და მისი სამხედრო მოწინააღმდეგეების ძალთა შეფარდების ევოლუცია ახალ ფაზაში შედის. თავისი სამხედრო პოტენციალის დღევანდელ ნაკლოვანებებს ისრაელი, ცხადია, არ შეურიგდება: იგი მათ გასწორებას და თავის ძალთა მოდერნიზაციას მოახდენს. მაგრამ არც მოწინააღმდეგეები იქნებიან გულზე ხელდაკრეფილნი. არსებული დაზავება მყიფეა: იგი ყოველ წამს შეიძლება დაირღვეს და, ალბათ, დაირღვევა კიდეც.

# ლიბანის ომი მსოფლიოს თვალში

ძალიან მნიშვნელოვანია მოვლენათა შემდგომი განითარებისთვის ის, თუ როგორ აისახება ახლო აღმოსავლეთის დრამატული მოვლენები მსოფლიოს თვალში. ჟურნალს მოჰყავს საინტერესო მასალა, ცხრილები და ანალიზი იმისა, თუ როგორ ეკიდებიან ამ საკითხს და როგორ მოეკიდებიან მომავალში განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქენი. ერთი ფაქტი ისაა, რომ ამ თემისადმი დამოკიდებულების მხრივ მკაფიო განსხვავებაა ევროპელებსა და ამერიკელებს შორის. ამერიკელები (ისევე, როგორც მათი ხელისუფლება) მკვეთრად პროისრაელური განწყობით არიან, ევროპელებში კი აზრი იყოფა. მაგრამ არაბულ მხარეს ყველგან დაახლოებით იმავე თანრიგის მხარდაჭერა აქვს, რაც ებრაულს. საყურადღებოა დაკვირვება (და შესაბამისი სტატისტიკა) სიმპათიების განაწილებაზე სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ძალებს შორის და ამ დაკვირვებით საფუძვლიანად დასაბუთებული ანალიტიკური დასკვნა: ებრაელების მომხრენი დღეს ძალიან მნიშვნელოვანწილად ისინი არიან, ვისაც წარსულში ლაქები აქვს ანტიებრაული განწყობილებების, ანტიებრაული მოქმედების ან, სულაც, ჰოლოკოსტში (ებრაელების გენოციდში) მონაწილეობის მხრივ. ესენი არიან გერმანელები გეოგრაფიულად და მემერჯვენე ძალები პოლიტიკურად. ჟურნალი არ გვთავაზობს სპეციალურად მსჯელობას იმაზე, რამდენად გულწრფელია მათში ეს გრძნობა ან, პირიქით, რამდენად განპირობებულია იგი საკუთარი ცოდვებისგან ღია გამიჯვნის პრაქტიკული სურვილით, მაგრამ იმის მიმანიშნებელი, რომ რეალური ეს მეორე შესაძლებლობა იყოს, არაფერში ჩანს. მემარცხენეების პოლიტიკა და, რაც ყველაზე საინტერესოა, მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, ჟურნალის მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით და მისი ანალიზის თანახმად, სხვაა: მემარცხენეები ისრაელის სახელმწიფოს ჯერ შექმნის, ხოლო შემდეგ მისი პოლიტიკის აქტიური და თავგადადებული მომხრეები იყვნენ, რადგან ებრაელობაში ჩაგრულ ხალხს და როგორც მემარჯვენეთა, ისე იმპერიალისტთა მიერ დევნილთა ერთ ნაწილს ხედავდნენ. მას შემდეგ, რაც 1967 წელს მოპოვებულმა უდიდესმა გამარჯვებამ ისრაელის სახელმწიფოს მხნეობა შეჭ-

ისრაელის არმია

მატა და მისი პოლიტიკა გააქტიურა, მასში, პირიქით, სხვათა დამჯაბნავს ხედავენ და ეს საერთო საქმის ღალატად მიაჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ არც ისრაელის სახელმწიფოს, არც სიონისტურ მოძრაობას არასოდეს მიუცია პირობა „მემარცხენეებისათვის“, რომ მუდამ იმ იმედს შეუნახავს თავის თავს, რაც ამ უკანასკნელებს ჰსურთ.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია ამ ომში ისრაელისადმი თუ არაბებისადმი სიმპათიის პროცენტი ევროპის რამდენსამე სახელმწიფოში. ის, რაც გამყოფი ვერტიკალური ხაზის მარჯვნივაა, ეკუთვნის არაბებს, რაც მარცხნივაა – ისრაელს.

# ისრაელს ლიბანის ომს წაგებულად უთვლიან

ჟურნალის The Economist ათავსებს იერუსალიმელის ჰაიმ ბარამის წერილს, სადაც ავტორი წონის ომის შედეგებს და მათს გავლენას ისრაელის პოლიტიკის პერსპექტივებზე უახლოეს ხანებში,

ისრაელის ჯარჯულარობა

გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ ისრაელის მოქალაქეთა 51% ა.წ. 13 აგვისტოს შეთანხმებით დამთავრებულ ომს თავის ქვეყანას მარცხად უთვლის. ავტორი პირდაპირ ასახელებს მიზეზს: „გასაოცრად არამოძრავი და მოუხეშავი ისრაელის თავდაცვის ძალები აღარაა ის მძლავრი შემაკავებელი ფაქტორი, რაც ადრე იყო, და ჰიზბულლას მებრძოლებმა შესძლეს ისრაელელი ყველაზე უფრო დიდი სკეპტიკოსების დარწმუნებაც კი იმაში, რომ 3000 კარგად ორგანიზებულსა და თავდადებულ კაცს ძალუძს უზარმაზარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზარალის მოყენება“. ყველაზე გონიერ ისრაელელებს, ავტორის აზრით, მიაჩნიათ, რომ ჰიზბულლამ შეძლო როგორც ომის მიმდინარეობის განსაზღვრა, ისე მისი შედეგისაც. ომის პოლიტიკური შედეგები პრემიერ-მინისტრ ოლმერტისათვის არასახარბიელოა. თუმცა ომის მანძილზე მოსახლეობა მხარს უჭერდა მის სიმკაცრესაც არაბების მიმართ და მის სრულ მორჩილებასაც ვაშინგტონის პოზიციისათვის, ეს არ ნიშნავს, რომ მას ახლა განტევების ვაცად არ გაიხდიან. ომში მარცხს არანაირად არ გამოუწვევია „მტრედისებრი“ განწყობილებების განვითარება ისრაელში. მისი ფსიქოლოგიური ეფექტი, უფრო, „სიძულვილის გაღვივებაა“ ისრაელელი არაბებისადმი და მემარცხენეებისადმი. ერთიც და მეორეც მემერჯვენე ძალების დღევანდელი ლიდერის – ნათანიაჰუს პოლიტიკურ წისქვილზე ასხამს წყალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიბანელების აზრი

არსებითი ფაქტორი მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის არის ლიბანის არსებული ხელისუფლების უკიდურესი სისუსტე. იგი პოლიტიკურად თითქმის არაფერია: არც იდეოლოგია აქვს, არც გამოკვეთილი პოზიცია, არც მყარი ელექტორატი ჰყავს. იგი, არსებითად, კოალიციურია და ემყარება საპარლამენტო უმრავლესობას, რომელიც სულ სხვადასხვა სულისკვეთებისა და ბუნების ელემენტებისაგან შედგება: მასში არიან მარონიტებიც (ადგილობრივი არაბი ქრისტიანები), დრუზებიც (ეთნიკური ერთეული) და სხვანიც და სხვანიც. ამ მთავრობის ლიდერი ბ-ნი სინიორა გამოუვალ წინაალმდეგობაშია იმის გამო, რომ, ერთის მხრივ, იგი ვალდებულია შეასრულოს გაერის გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს ჰიზბულლას განიარაღებას ანუ მისი, როგორც მებრძოლი ერთეულის, არსებობის შეწყვეტას. ეს არ შეუძლია არც მას, არც გაეროს 15 ათასიან სამშვიდობო კონტინგენტს, რომელიც, გადაწყვეტილების თანახმად, იქ უნდა ჩავიდეს, თუმც არც ისაა ცნობილი, როდის ჩავა, არც ის, ვისგან (რამდენად ქმედითი ნაწილებისაგან) იქნება შემდგარი, და არც ის, რამდენად ქმედითი მანდატი ექნება მიცემული. მეორეს მხრივ, იგი ლიბანის ლიდერია, მაშასადამე, ლიბანელთა სულისკვეთებას უნდა შეუფარდოს თავისი მოქმედება, რომლებიც დღეს ლიბანური პატრიოტიზმის აღმავლობის ტალღაზე არიან ავარდნილნი და ამ პატრიოტიზმის მებრძოლ განსახიერებას ჰიზბულლაში ხედავენ. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ლიბანში არსებულ ძალთა სათუთ ბალანსს, რომლის წყალობითაც ეს ქვეყანა არსებობს და მწვავე შინაგანი კონფლიქტების აცილებას ახერხებს (მოსახლეობის დიდი ისტორიულად შემუშავებული ტაქტისა და გამოცდილების გამოყენებით), ამ ომის შედეგად შეიძლება ცვლილება მოელოდეს: შიიტური თემი ამ ქვეყანაში თავის გავლენითა და პრესტიჟით ტრადიციულად ყველაზე დაბლა იდგა. ახლა, რამდენადაც ჰიზბულლაც შიიტურია და მისი ზურგი ირანიც, საკითხავია ორი რამ: ხომ არ შეეცდება შიიტური თემი ნებით თუ უნებურად თავისი სტატუსის ამაღლებას და ხომ არ გადააჭარბებს დასაშვებ საზღვარს დანარჩენი მოსახლეობის უკვე არსებული გაღიზიანება იმის გამო, რომ მათ ქვეყანაში ზედმეტად პარპაშობს ირანის და სირიის ძალა — სირიისა, რომლის შეიარაღებულ ძალთა ამასწინანდელმა განდევნამ ლიბანიდან ამ ქვეყნის მთელს მოსახლეობაში აღიარება მოიპოვა როგორც ისტორიულმა გამარჯვებამ და როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის ტრიუმფმა?

ზოგადი პროგნოზი ასეთია: ჰიზბულლა არ განიარაღდება (ეს შეუძლებელია). გაეროს გადაწყვეტილებას უარი არ ეთქმის (ესეც შეუძლებელია). ამიტომ ჰიზბულლა თავს მოაჩვენებს, თითქოს განიარაღდა, მთავრობა თავს მოაჩვენებს, თითქოს ეს დაიჯერა, და მსოფლიოც თავს მოაჩვენებს, თითქოს ეს სჯერა. რას იზამს ისრაელი? ისიც აჰყვება „დაჯერების“ ამ კამპანიას, რადგან ახლა საბრძოლო მოქმედებათა განახლებისათვის მზად არ არის. მაგრამ რამდენ ხანს გასტანს დაზავება ზოგადად, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალის აზრით, ახლო აღმოსავლეთს შავი დღეები ელის.

*რედაქციისაგან.* ჟურნალის პუბლიკაციაში არის ერთი ჩვენი ქვეყნისთვის ფრიად არასასიამოვნო ცნობა: ნორვეგიელ ავტორს იოსტან გარდნერს დაუწერია, ისრაელმა თავისი დაუნდობელი დანაშაულით სახელმწიფოდ ყოფნის უფლება დაკარგაო. მართალია, შემდეგ იძულებული გახადეს ავტორი ცალება ბოდიში მოეხადა, მაგრამ ამით მისი აზრი ბუნებიდან არ გამქრალა. ეს სამწუხარო ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფხიზლად უნდა მოვეკიდოთ არაოფიციალურ ინფორმაციას, რომ ებრაული მოძრაობის წრეებში არსებობს აზრი, რომ ისრაელის სახელმწიფოს სერიოზული გაჭირვების შემთხვევაში ამ მოძრაობამ დედამიწაზე თავის დამკვიდრების მეორე ადგილად (ან ალტერნატიულ ადგილად) საქართველო უნდა მოიმზადოსო. ჩვენ მომხრენი ვართ ისრაელის სახელმწიფოს წარმატებისა და, ცხადია, არ ვართ მომხრენი ზემოხსენებული მკრეხელური გეგმის მომხრეთა რაოდენობის ზრდისა.

# სადით განვითარდება თურქეთ-ევროკავშირი ურთიერთობები?

„საქართველო“, სხვა გაზეთთაგან განსხვავებით, ყურადღებას უთმობს თურქეთისა და დასავლეთის (რომლის წევრიც თურქეთი დღეს არის ნატოს საშუალებით) შესაძლო მომავალი დაშორიშორების საშიშროებას. ეს თემა თანდათან აქტუალური ხდება როგორც კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით (მაგალითად, თურქეთისთვის ყოველმხრივ მიულებელია ის, რომ ამერიკელები თავისი ერაყული პრობლემების გადაჭრის ერთერთ გასაღებად იქაურ ოთხ მილიონ ქურთთან კეთილი ურთიერთობის ქონას მიიჩნევენ და მზად არიან ერაყის ქურთისტანისათვის, ერაყის ფედერალური მოწყობის შემთხვევაში, პოლიტიკური ავტონომია შექმნან, რითაც ამ სახელით მსოფლიო რუკაზე ახალი ოფიციალური, თუმცა არა სუვერენული ერთეული დაკანონდება), ისე გლობალურთა კონტექსტშიც. გლობალიზაცია და მსოფლიო ძალთა დაპირისპირების ახალი სქემის ჩამოყალიბება, რომელიც ძველთან ძალიან ახლოა — ჩინეთი, რუსეთი და ისლამის სამყაროს დიდი ნაწილი ერთის მხრივ, დასავლეთის, მეორეს მხრივ — უქმნის თურქეთის მოსახლეობას აქტიურ ცდუნებას, რომ პირველი ბანაკი აირჩიონ, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის შიგნით განვითარდა გავრცელებული მენტალიტეტის ერთგვარი გადაცვლება რელიგიურობისა და ფუნდამენტალიზმის მიმართულებით. დღევანდელი მმართველი პარტია, რომელიც ფრიად პოპულარულია, ამ მიმართულების ძლერ ელემენტებს შეიცავს. ჟ. The Economist-ის წერილი სათაურით „რატომ მოელის ევროკავშირს კრიზისი თურქეთთან“ ამ თემას ეხება. მოვიყვანთ მისგან რამდენსამე მოსაზრებას.

ასეთი კითხვა უკვე დასმულია: „ვინ დაუკარგა თურქეთი დასავლეთს“? თუ ასეთი ბრალი მართლა ვიღაცას აქვს, ესენი არიან ევროკავშირი და კვიპროსის მთავრობა. გასულ წელს, ჟურნალის სიტყვით, დასავლეთ-თურქეთის მოლაპარაკება მის შესვლაზე ევროკავშირში ორჯერ გადაურჩა ჩაგდებას, ისიც იმიტომ, რომ მხარეებს მისი ჩავარდნა არაფრით არ უნდოდათ. გადარჩება თუ არა მომავალშიც? არ ვიცით. თურქეთში დღეს, ჟურნალის სიტყვით, ამ კავშირში შესვლის მონატრული ორჯერ ნაკლებია, ვიდრე 2 წლის წინ იყო. ყველამ, ბრიუსელის ჩათვლით, იცის, რომ დასავლურ-თურქულ ურთიერთობაში კრიზისი გარდუვალია, მაგრამ არ იციან, როდის მოხდება

ევროპა და თურქეთი დავობენ კვიპროსის საკითხზე

იგი, და მონდომებულნი არიან, რომ იგი რაც შეიძლება რბილი იყოს. იმათ შორის, ვინც თურქეთში ამ ნატვრაზე ხელი აიღო და გუნება შეიცვალა, არიან „ქორები“, მოსამართლეები, ბიუროკრატები და უშიშროების თანამშრომლები, რომელთაც თავისი ძველი გავლენის დაბრუნება ენატრებათ. თურქეთის მხრიდან განხეთქილების ფაქტორია თურქეთის ტენდენცია დემოკრატიის შეკვეცისაკენ: ქურთებთან ურთიერთობის კვლავ გაფუჭება, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა კანონით ტერორიზმის შესახებ, რაც ახლა იხილება პარლამენტში, ორმოცდაათიოდე გამოჩენილი ჟურნალისტის პოლიტდევნა, ისლამიზმის გავლენის ზრდა. ყოველივე ეს, ჟურნალის სიტყვით, მხოლოდ სიმპტომია ზოგადი გადახრისა „მახინჯი ნაციონალიზმისაკენ“, რასაც თან რელიგიური შეუწყარებლობის ნიშნებიც ახლავს. დღევანდელი სიტუაცია პირველი შემთხვევაა, როცა თურქებს ურთიერთობა უუარესდებათ ამერიკასთან და ევროპასთან ერთდროულად. მკაფიოდ გამოხატული დაპირისპირებაა ევროპელებისა და თურქების პოზიციაში კვიპროსზე არსებული ვითარების მიმართ. ჟურნალის აზრით, თურქების პოზიცია ევროპელთა ზოგი ნაბიჯის მიმართ, სახელდობრ, ისეთ შემთხვევებში, როცა ევროპელებს მიცემული პირობის არშესრულება გამოუვიდათ, მართალია, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში — ევროპელებისა (ის, რომ თურქეთმა კვიპროსის დიდი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა რამდენიმე ათეული წლის წინ შიშველი ძალით, ახლანდელ მოლაპარაკებებში არ ფიგურირებს). მაგრამ კვიპროსის საკითხზე უთანხმოებას საბაბად იყენებენ ზოგი ევროპელები, რომელთაც ამ ქვეყნის მიღება ევროსაბჭოში სხვა მიზეზითაც არ უნდათ (დემოგრაფიული შეტევის შიში, მუშახელის იმიგრაციის შიში და სხვა).

თურქეთი, როგორც ევროკავშირის პოტენციური ახალი წევრი, ჟურნალის სიტყვით, ბევრად უფრო ძნელი მოსანელებელია ევროკავშირისთვის, ვიდრე ყველა სხვა ახალი, ვინც იქ ახლახან შევიდა და შედის. კრიზისი თუმცა, ძალიან დიდი ალბათობით, გარდუვალია, მაინც ჯობს იგი მოხდეს რაც შეიძლება გვიან და, რაც მთავარია, მოხდეს თურქეთის შიგნით მიმდინარე პროცესების თაობაზე (სახელდობრ, რეფორმებისა, რომლებსაც მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს). ვიდრე კვიპროსის თაობაზე. მთავარ მწვავე თემას — როგორ განვითარდება თურქეთის ევროკავშირში შესვლის პროცესი, — ჟურნალის აზრით, ყველაზე უფრო ალბათი პერსპექტივა ის აქვს, რომ მოლაპარაკებები გასტანს კიდევ ათ წელიწადს და კიდევ მეტს.

# განახორციელდა თუ არა ეს განზრახვა სამიტმა?

ეს ცალსახად არ ვიცით, რადგან ოფიციალური ინფორმაცია შეხვედრის შედეგების შესახებ ძალიან ძუნწია. შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრის არსებითმა ნაწილმა, ფაქტობრივად, დახურული კარის მიღმა ჩაიარა. The Economist-ის კილო ამ შეხვედრის შეჯამებაში ირონიული უფროა, ვიდრე ძლიერ რუსეთთან თანაცხოვრების მომავალი პერსპექტივის ამსახველი. სათაურის „რუსეთის ტრიუმფი“ (Russia Triumphant) ქვეშ იგი, პირველ ყოვლისა, გვატყობინებს, რომ სამიტის დღეებში პეტერბურგი თავისი „საუკეთესო ევროპული სახით“ გამოიყურებოდა, ხოლო არცთუ ლამაზი მუცელი დაფარული ჰქონდა. შეხვედრა მოხსენებულია სიტყვით Pow-Wow (დაახლოებით ჩვენი „ღადავი“), რაც ცოტა ირონიული დასახელებაა რაგინდარა ბრძენთა კონფერენციისათვის. მონაწილეები დიდწილად მხოლოდ „სახეს აჩვენებდნენ, თითქოს შეთანხმდნენ“, რასაც ასახავდა თუნდაც პუტინის და ბლეირის მიერ შეთხზული განცხადება ახლო აღმოსავლეთის თემაზე. პუტინმა სამიტისთვის აირჩია ენერგეტიკული უსაფრთხოების თემა, მაგრამ ამაზეც რბილი შემპარავი ერთობლივი განცხადების იქით საქმე არ წასულა. ევროპელებს იმედი ჰქონდათ რუსეთისთვის რატიფიკაცია გაეკეთებინებინათ ენერგიის ქარტიაზე, რომელიც გაზსადენებს გახსნიდა (მისაწვდომს გახდიდა) სხვა კომპანიებისათვისაც გაზპრომის გარდა, მაგრამ ამას, პუტინისდა გასახარად, ვერ მიაღწიეს. პუტინის „ჭრიუმფის“ სხვა შემადგენელი ნაწილები იყო ის, რომ რუსეთმა განაცხადა გადაწყვეტილება ნავთობის სახელმწიფო გიგანტის — „როსნეფტის“ — აქციების გარკვეული ნაწილების გასაყიდად გამოტანის შესახებ, რომ სტუმრებს ბასაევის სიკვდილის ამბავი დაახვედრა და რომ სტუმრებმა თავაზიანად გვერდი აუარეს ჩეჩნეთის ხსენებას. რუსეთის მიღებაზე მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში ამერიკელების დათანხმება პუტინმა ვერ შეძლო. პუტინმა საჯაროდ თქვა, ჩვენ, რუსები რუსეთის დემოკრატიის საკუთარ ვერსიას ვიპოვითო — დებულება, „რომელსაც კრემლი ყოველთვის ხმარობს იმის ასახსნელად, რატომ არ ჰგავს მისი დემოკრატია არცერთ სხვას“. „იგრძნო რა სისუსტე“, პუტინმა, ჟურნალის სიტყვით, გამოგნებული რამ მოიმოქმედა: მან თქვა „ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვინდა ისეთი დემოკრატია, რომელიც ერაყში არისო“. გარდა ამისა, ჩუმად დადგმულმა მიკროფონმა დაიჭირა ცოტა არ იყოს სასკანდალოდ პირდაპირი გადალაპარაკება ბუშისა ბლეირთან, რომელიც სირიასთან დამოკიდებულებას ეხებოდა, და იყო მითქმა-მოთქმა, რომ ის მიკროფონი პუტინმა ჩართო. პუტინის იმპერიული ძალაუფლების სახეს დიდი არაფერი ჩრდილი მისდგომია, ქუჩაში იყო მხოლოდ გამოსვლა სტალინის თაყვანისმცემელი საკმაოდ „ნაყარ-ნუყარი ბრბოსი“ და ერთი-ორი სხვა.

# სერბეთის პოზიცია The Economist-ის თვალით

მოგვყავს ამ თემისადმი მიძღვნილი პატარა პუბლიკაციის პირველი აბზაცი სიტყვა-სიტყვით: „დიდი ხანია, ამბობენ, რომ არის ორი სერბია, ერთი კონსერვატიულია, ნაციონალისტურია და უკანისკენ მაყურებელია. მეორე ლიბერალურია, თანამედროვეა და პროგრესულია. დღევანდელ პოლიტიკაში პირველი შეტევაზეა, მეორე კი დაცვაშია. სერბია საკვანძო გადაწყვეტილებათა წინაშე დგას და, შესაძლოა, მან გადაწყვიტოს ხელის აღება ევროპული ინტეგრაციის გზაზე“.

მკითხველს, ბუნებრივია, ეუცნაურება, როცა დაინახავს, ეს ბრძენი ჟურნალი რაში და რაში ხედავს ამ ორი ურთიერთმოპირისპირე ორიენტაციის განმასახიერებელ კონკრეტულ მოტივებსა და ღირებულებებს. ერთ მხარეს, რა თქმა უნდა, დგას სერბების გამამწარებელი და მტანჯველი ტკივილი, აღშფოთება, შეურაცხყოფა, მათი არმიმტევებელი დაუვიწყარი წყენა დანარჩენი ევროპელების მიმართ იმის გამო, რომ ისინი სერბებს ქვეყნის ძირძველ ისტორიულ ნაწილს — კოსოვოს ართმევენ, სადაც ცოტა ხნის წინ დასახლებული 1 800 ათასი ალბანელი ცხოვრობს და მხოლოდ 200 ათასი სერბი (იმათი ნახევარიც გასულია). ეს ბუნებრივია, მაგრამ მეორე განწყობილების („პროგრესული“ სერბიის) მამოძრავებელ ღირებულებათა განსახიერების როლში ჟურნალი იმოწმებს — არც მეტი, არც ნაკლები, — ეკზიტ მუსიკის ფესტივალს ქ. ნოვი სადში, სადაც ევროპის ყველა დიდი ვარსკვლავები უკრავენ და სადაც ათასობით ახალგაზრდა ესწრება მთელი ყოფილი იუგოსლავიიდან. „მაგრამ — წერს ჟურნალი (არ დაგვავიწყდეს: „მაგრამ“ მაპირისპირებელი კავშირია) — ჰკითხეთ ახალგაზრდა სერბს, რას მოელის მომავლისაგან, და პირქუში განწყობილება ჩამოწვება“. სერბ ახალგაზრდებს გარეგნულადაც უჭირთ (მაგალითად, ძალიან გაძნელებული აქვთ ვიზები თავისი რეგიონის გარეთ სამოგზაუროდ) და მენტალურადაც: მილოშევიჩის დამხობის შემდეგ მათ პოლიტიკაზე გული აცრუებული აქვთ და მათი 48% არ აპირებს საერთოდ არჩევნებზე მისვლას, 36% კი მხარს უჭერს რადიკალურ პარტიას (რომელიც, რა თქმა უნდა, პირველ, „უკანისკენ მაყურებელ“ სერბიას ასახიერებს).

პრეზიდენტ კოშტუნიცას ხელისუფლება, ჟურნალის სიტყვით, „ათამაშებს“ ამ გარემოებას, ანუ აშინებს იმათ, ვინც სიტუაციას მართავს, რომ კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მიცემის შემთხვევაში სერბია შეუქცევადად ჩავარდება რადიკალების ხელში. ზოგ „ლიბერალებს“, ჟურნალის სიტყვით, ამაში ეჭვი ეპარებათ, თანაც ფიქრობენ, რომ რადიკალები, თუნდაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, ახალ ომს ვერ დაიწყებენ. გარდა ამისა, მათ არც ჰყავთ იმდენი კვალიფიციური ხალხი, რომ ქვეყნის მართვა შეძლონ. ამომრჩევლის ამგვარი პრობლემატური ორიენტაციის კონტექსტში ბუნებრივია, რომ ყველა მხარისთვის არსებითია, თუ როდის დაინიშნება არჩევნები. ერთნი ფიქრობენ, რომ კოსოვოს დაკარგვამდე ჯობია: ლიბერალების პოზიცია მაშინ უფრო ძლიერი იქნება და, ძალაუფლებაში მყოფნი, ისინი მერე, პოსტ ფაქტუმ, უფრო შეძლებენ მოსახლეობისათვის კოსოვოს წართმევით მიყენებული ტრავმის შერბილებას. მეორენი კი ფიქრობენ, რომ ეს შეუძლებელია, ვინაიდან ლიბერალები ვერ გამოვლენ არჩევნებზე ლოზუნგით „მოგვეცით ხმა და კოსოვოს დაგიკარგავთ“.

„ღირებულებათა“ ჩამონათვალი, რომელმაც უნდა კოსოვოს დაკარგვის საპირწონე შექმნას, რა თქმა უნდა, მხოლოდ მუსიკალური ფესტივალისგან მონიჭებული სიამოვნებებით არ ამოიწურება. მთავარი საპირწონეა ევროკავშირში მიღება, რაზეც სერბიას ლაპარაკიც კი შეუწყვიტეს (რა თქმა უნდა, დროებით) იმის გამო, რომ ვერ მიაღწიეს მის მიერ ევროპული სასამართლოსათვის (რომელსაც მილოშევიჩი ჰყავდა ხელთ) ძებნილი სამხედრო დამნაშავის, გენერალ მლადიჩის გადაცემას.

ბრიუსელის მოხელეები, ჟურნალის სიტყვით, ინტენსიურად მუშაობენ, რათა მოიგონონ რაღაცა წამახალისებელი ზომები, რომლებიც სერბებს შედარებით ადვილად გადაატანინებენ კოსოვოს დაკარგვას. წერილის ბოლო ფრაზა კვლავ ჟურნალის სიბრძნის ილუსტრაციას გვაძლევს: „მაგრამ არც ერთი ამ ზომათაგანი არ იკმარებს, რომ შეაკავოს სერბიის უკან ჩაცურება“ (იგულისხმება: ეროვნული რადიკალიზმის პოზიციაზე დადგომა).

# დემოკრატია თუ ეროვნული თავისუფლება?

ამ ორი წმინდა სიტყვის ურთიერთობის პრობლემა მხოლოდ ზეგანვითარებულსა და განვითარებულ საზოგადოებებს კი არ უდგათ ტრადიციულად, არამედ ნაკლებად განვითარებულებსაც. ჟურნალისტის ქრისტინა ლემბის ცნობით (New Statesman), ცივილიზებული ევროპელები გაოცებულნი არიან იმ პატივისცემით, რომლითაც აფრიკის ყველა შავი ქვეყნები ეგებებიან დაუფარავ დიქტატორს — ზიმბაბვეს ლიდერს მუგაბეს იმ დამსახურების გამო, რაც მას მიუძღვის აფრიკის ქვეყნების დეკოლონიზაციისათვის ბრძოლის საქმეში. მის მიერ ციხეებში გატარებული ნახევარი ცხოვრება და მისი პატრიოტული სიმყარე თეთრი ბატონების პირისპირ აფრიკაში უფრო ფასობს, ვიდრე მისი დამოკიდებულება კორექტული არჩევნების ჩატარების ამოცანისადმი ან სიტყვის თავისუფლებისადმი. ყველა აფრიკული ქვეყნის მაღალი სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლობანი და ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი კონფერენციების მონაწილეები მის შემოსვლაზე ფეხზე დგებიან და მას ოვაციით ჰხვდებიან, მიუხედავად იმისა, რომ თავის სამართავ ქვეყანას, ზიმბაბვეს (ყოფილი როდეზია. ამ კოლონიას ეს სახელი ერქვა მისი პირველი და ყველაზე დიდი ექსპლოატატორის — ინგლისელი როდსის გვარის მიხედვით) მან ნახევრად ფეოდალური მამულის, ნახევრად საკონცენტრაციო ბანაკის სახე მისცა.

მუგაბეს „კულტი“

აფრიკელ ლიდერებს არ მიაჩნიათ თავისთვის სავალდებულოდ ღირებულებათა განლაგება იმ შკალაზე, რომელიც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებობს. ისინი თავს უფლებას აძლევენ, თავისი შკალები განსაზღვრონ იმის მიხედვით, რას გრძნობენ თვითონ და რას გრძნობენ მათი ხალხები. ვერ შეეკამათებით!

# იაპონიამ შეტევა დაიწყო, მაგრამ... მოჩვენებითი

იაპონიის დიპლომატია თურმე თვალში საცემი თვინიერებით ხასიათდება (ალბათ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ). The Economist-ის სიტყვით, ამ ქვეყნის დიპლომატები უფრო მიჩვეულნი არიან მიყოლას, ვიდრე სხვათა წაყვანას. ახლა ვითარება, თითქოს, შეიცვალა: მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კორეამ — ერთერთმა „არამზადა“ სახელმწიფომ, როგორც მას დასავლელი ჟურნალისტები იხსენიებენ ხოლმე, მისი ტოტალიტარული რეჟიმისა და მისი ფრიად არასასურველი ბირთვული არსენალის და ბირთვული სიჯიუტის გამო, — მიმდგომ ზღვებში გამოცდის მიზნით გატყორცნა შვიდი რაკეტა, მათ შორის ერთი — ბალისტიკური და გრძელრადიუსიანი „ტეპოდონგი“. იაპონიამ დაუყოვნებლივ მოაწვევინა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა და შესთავაზა რეზოლუცია, რომელიც გმობს კორეას და ითხოვს შეიარაღებული ძალით ზურგშემაგრებულ სანქციებს მის წინააღმდეგ. თუმცა იაპონიის ამ პრინციპულმა ინიციატივამ მრავალთა ქება დაიმსახურა, მათ შორის ამერიკელებისა, ინგლისელებისა და ფრანგებისა, მრავალში განცვიფრება გამოიწვია მისი რეაქციის, რბილად რომ ვთქვათ, ჰიპერბოლურობამ (გაზვიადებულობამ). რადგან კორეას დიდი ხანია აქვს ათეულობით რაკეტები, რომლებიც იაპონიას მისწვდება, ასე რომ, „ტეპოდონგის“ გასროლა (რომელიც ჰაერში აფეთქდა) იაპონიის უსაფრთხოების ხარისხს დიდი ვერაფრით ცვლის. განცვიფრება რომ დაწყნარდა, შენიშნეს, რომ იაპონელთა ამ მწვავე რეაგირებაში დიდი წვლილი ჰქონია კაბინეტის მთავარ მდივანს აბე შინძოს, რომელიც მთავრობის დღევანდელი მეთაურის, კოიძუმის ადგილს უმიზნებს. ასე რომ, ხსენებული რეაქცია შინაური მოხმარებისათვის ყოფილა გამიზნული, რამდენადაც ჩრდილო კორეის მიმართ იაპონელებს სერიოზული წყენები აქვთ და ამ სახელმწიფოს პირისპირ „მაგრად დადგომა“ იაპონიაში პოპულარული პოლიტიკური პოზიციაა. აბე შინძომ ისიც მიაშველა თავის ტაქტიკას, რომ დაიწყო ლაპარაკი იაპონიის მხრიდან „წინმსწრები დარტყმის“ მიყენებაზე კორეის სარაკეტო დანადგარებისათვის, თუმცა იაპონიას დღეს ამგვარი დარტყმის მიყენების არანაირი საშუალებები არ გააჩნია. ამ ლაპარაკმა სასტიკად გააღიზიანა არა მხოლოდ ჩრდილო კორეა, არამედ სამხრეთი კორეაც და ჩინეთიც.

იაპონიის ნაბიჯმა გული დასწყვიტა იმათ, ვისაც უნდა კორეის დათანხმება ბირთვული პროგრამის დათმობაზე, ეს კი არავის ძალუძს ისე კარგად, როგორც უკვე დიდი ხანია მომუშავე ჯგუფს ამერიკის, ჩინეთის, რუსეთის, სამხრეთ კორეის, იაპონიისა და ჩრდილო კორეის მონაწილეობით. იაპონიის ნაბიჯის შემდეგ ამ ჯგუფის მუშაობის გაგრძელება გაჭირდება. მართალია, ამერიკელთა თხოვნით იაპონია დათანხმდა რამდენიმე დღით შეაჩეროს თავისი მოთხოვნა, მაგრამ ის დღეებიც გავიდა და ჩინეთის თხოვნას, განაახლოს თავისი მონაწილეობა ექვსთა თათბირში, ჩრდილოეთმა კორეამ აგდებული უარით უპასუხა. ჩინეთი, რომელსაც აქამდე ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია ჩრდილო კორეის კრიტიკის მიმართულებით, ახლა გაღიზიანებულია, რაც, შესაძლებელია, იმაზე მეტყველებს, რომ ჩინეთს საერთოდ ამოეწურა იდეები, თუ როგორ მოიქციოს თავის ჭკუაზე ჩრდილოეთი კორეა...

ჟურნალის აზრით, ზოგ გამოცდილ დამკვირვებელს ეჭვებს აღუძრავს იაპონიის ახალი ინიციატივა.

***რედაქციისაგან.*** არ არის გამორიცხული, ეს ეჭვები, რომელთაც ჟურნალი არ აკონკრეტებს, შეეხებოდეს იმას, რომ ჩრდილოეთ კორეის გასვლა მოლაპარაკებიდან, მაშასადამე, მისი ბირთვული პროგრამის გაგრძელებაც, სერიოზულ მოტივაციას იძლევა ამერიკული სამხედრო მყოფობის გაგრძელებისათვის ტაივანსა და ოკინავაზე. საქმის ეს მხარე არსებითი მნიშვნელობისაა წყნარი ოკეანისათვის ბრძოლის მიმდინარეობისათვის (ჩინეთსა და აშშ-ს შორის). ამ ბრძოლის მიმდინარეობა, თავის მხრივ, არსებითია მოვლენათა განვითარებისათვის ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის მეორე ძირითად ფრონტზე — შუა აზიისაზე. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ კავშირშია საქართველოს დღევანდელ სტრატეგიულ ბედთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის მომავალი THEECONOMIST-ის თვალით

ევროპის მიმდინარე უსიამოვნებათა ჩამონათვალი შეიცავს უმუშევრობის მაღალ ხარისხს, ევროპულ ეკონომიკათა დიდი ნაწილის სისუსტეს, საპროტესტო მღელვარებებს ქალაქებსა და მათს გარეუბნებში, ტერორიზმს, რადიკალური ისლამის ზრდას, ევროპის გაურკვევლობას აღმავლობის გზაზე (ნავთობის ფასების ზრდის შედეგად) შემდგარ რუსეთთან ურთიერთობაში, წარუმატებლობას ირანის ბირთვული შეიარაღების არდაშვების მცდელობაში. ამ ფონზე ფრანგებისა და ჰოლანდიელების მიერ ერთი წლის წინ ნათქვამი უარი ევროპის კონსტიტუციის მიღებაზე სიმპტომატური ჩანს, მით უფრო, რომ დღეს ევროკავშირი კიდევ უფრო ნაკლებ პოპულარულია, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო. ამავე დროს ცალ-ცალკე კონკრეტული მინიშნებებიდან ჩანს, რომ ზოგადი მდგომარეობა ჟურნალს მაინც არც ისე არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია. ჯერ ერთი, იგი პირდაპირ ამბობს, რომ ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია, მთელი ამ გასული წლების მანძილზე მუშაობს, ანუ შედეგს იძლევა. მეორეც, საყურადღებოა ჟურნალის შენიშვნა საფრანგეთის რეფერენდუმზე ევროკონსტიტუციისათვის უარის თქმის მოტივების თაობაზე: თურმე ამომრჩეველი იმან გააღიზიანა, რომ პოლიტიკურმა ელიტამ მოინდომა სიახლის გატარება (ევროკონსტიტუციის მიღების სახით) იმის მიუხედავად, რომ იცოდა ამ ნაბიჯის არაპოპულარობა ხალხში, ანუ ხალხს ანგარიში არ გაუწია. ამისთვის დაისაჯა კიდეც. ბუნებრივი კითხვა – ვის აქვს მეტი უნარი ქვეყნისთვის პერსპექტიული და არაპერსპექტიული პოლიტიკის გარჩევისა: ელიტას თუ მასას? – ცხადია, მხოლოდ ერთი პასუხის შესაძლებლობას იძლევა.

ამგვარად, ჟურნალის აზრით, მჭიდრო ევროთანამშრომლობა საჭიროა (კონსტიტუციის არსებობა ამ მიზნისათვის აუცილებელი არ არის; მთავრობათა შორის კონსულტაციები და ურთიერთმორიგება უმისოდაც ხერხდება და მომავალშიც მოხერხდება). ევროპას ერთობლივი მოქმედება ჰმართებს და ჟურნალი ამ მოქმედების მიმართულებათა ფრიად საყურადღებო რეკომენდაციებს იძლევა.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია ევროპის „სკლეროზიანი“ ეკონომკების გამოცოცხლება, პირველ ყოვლისა – მათი ლიბერალიზაციის გზით (ლიბერალიზაციაში იგულისხმება დამქირავებლის უფლებების გაფართოება დაქირავებულთან ურთიერთობაში, რათა წარმოება კონკურენტუნარიანი გახდეს. რედ.). მეორეც, აუცილებელია ევროპის საერთოო ბაზრის შენარჩუნება და გაძლიერება, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამას თავისი ქვეყნის კერძო ინტერესებიდან გამომდინარე „ეკონომიკური ნაციონალისტები“; მესამეც, პრიორიტეტულია ევროკავშირის გაფართოება, მისი გავრცელება სამხრეთით და აღმოსავლეთით. რაც მოხდა, ჟურნალის აზრით, უდიდესი წარმატებაა. ამ პროცესის თანმხლები პროდუქტია ის, რომ ევროკავშირში მიღების პერსპექტივა არის ერთადერთი სტიმული, რომელიც ზოგზოგს (კონკრეტულად – თურქეთს და ბალკანეთის სახელმწიფოებს) აიძულებს, დემოკრატიის ნორმები დაიცვან. ჟურნალს მიაჩნია, რომ ამ და სხვა პრაქტიკულ ამოცანების გადაჭრით გაიზრდება ევროკავშირის მოქმედების ეფექტიანობა (შედეგიანობა), ანუ დაიძლევა ის, რაც მისთვის დღეს ბრიტანული „სააზროვნო ვარცლის“ (Thinking Tark) – ბრიტანულ „ევროპულ რეფორმის ცენტრის“ – აზრით მთავარი დაბრკოლებაა: „შედეგების დეფიციტი“ (Delivery deficit).

რედაქციისაგან. მსოფლიოს უჭკვიანესი ჟურნალის ამ გაკვრით გამოთქმული მოსაზრებებიდან ქართულ პოლიტიკას სათანადო დასკვნების გამოტანა ჰმართებს. ევროკავშირი, თუკი მას სიცოცხლე და განვითარება უწერია (ეს კი მას ნამდვილად უწერია), უაღრესად მკაცრი და კონკრეტულად დაუნდობელი ორგანიზაცია იქნება. სუსტი მასში გაითელება, ანუ მასში ჩაკვდება წარმოების თუ სხვა მოქმედების ყველა სახე, რომელშიც იგი კავშირის დანარჩენ წევრებს ჩამორჩება დონით. რისკი და მსხვერპლი, რომელზედაც მომცრო ევროპული ქვეყნები მიდიან ევროკავშირში შესვლით, გამართლებულია იმით, რომ მათ, სხვა კონტინენტთა საწინააღმდეგოდ, ევროპის წარმატება სურთ და მასში მყუდრო ადგილის პერსპექტივა აქვთ, ანუ მათ თავისი თავი სრულად და უნაშთოდ ჰყავთ იდენტიფიცირებული (გაიგივებული) ევროპასთან. საქართველოს ასეთი მდგომარეობა არა აქვს არც რეალურად, არც ფსიქოლოგიურად. „დაე, დავზარალდე მე, ოღონდ აყვავდეს ევროპა“, იგი ვერ იტყვის. სხვა პარამეტრებზეც რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოს ევროკავშირში ყოფნის შემთხვევაში დემოგრაფიულად წალეკავს და ამით მის ისტორიას ბოლოს მოუღებს თურქეთი (ევროკავშირში მოქალაქეთა გადაადგილება და მუშახელის გადაადგილება თავისუფალია). ამიტომ ევროკავშირში შესვლის მოსურვებამდე ქართულ პოლიტიკას დიდი დაფიქრება ჰმართებს.

# ამერიკული დაზვერვა იტალიაში

იტალიელი პროკურორები გაწაგრძობენ ერთი წლის წინათ იტალიიდან გამქრალი მუსულმანი სამღვდელო პირის, მძიმე ტერორიზმში ეჭვმიტანილი აბუ ომარის საქმის გამოძიებას, რითაც აზანზარებენ იტალიის დაზვერვის სამსახურებს და ზოგ-ზოგს მათ იქითაც. გამოძიება ჯერჯერობით დაკარგულის „საგანგებო გადაცემის“, ანუ ეჭვმიტანილის ისეთი სხვა ქვეყნისთვის გადაცემის ეჭვს მიადგა, სადაც მის მიმართ წამება იქნება გამოყენებული. პროკურორებმა დაპატიმრების სანქცია გასცეს ამერიკული დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს (Cia) 26 ეჭვმიტანილ აგენტზე და დააპატიმრეს იტალიის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. დაკითხეს თვით უფროსიც, გენერალი ნიკოლო პოლარი, რომელიც ეჭვმიტანილია გატაცების წაქეზებაში. დაკითხვიდან გამოჟონილი ცნობების თანახმად, დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს აგენტები არა მხოლოდ შეიპარნენ იტალიაში და გაიტაცეს აბუ ომარი, არამედ შეატყობინეს კიდეც იტალიის ხსენებულ სამსახურს თავისი გეგმა და, შესაძლოა, დახმარებაც მიიღეს მისგან. გენერალი, როგორც ჩანს, გულისხმობდა თავის პასუხებში, რომ ნებართვა ზემოდან იყო მოსული, თუმცა მან გამოიყენა თავისი დუმილის უფლება. მისმა ვექილებმა უთხრეს პროკურორებს, რომ საჭიროა წერილის პოვნა, რომელიც გენერალმა, როგორც ჩანს, მისწერა სილვიო ბერლუსკონის მთავრობას. ამ წერილში, სავარაუდოა, გენერალმა შეატყობინა თავის უმაღლეს ხელისუფალთ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ოპერაცია და განუცხადა, რომ გადადგება, თუ ამ ოპერაციას გზა მიეცა. თუ აღმოჩნდება, რომ იგი სამსახურებრივად აიძულეს, ეს უხერხულობას შეუქმნის ბერლუსკონის, რომელიც უარყოფს თავის მიერ ოპერაციის წინასწარ ცოდნას. მაგრამ გენერლის პასუხი ბადებს კითხვას: რატომ დარჩა გენერალი სამსახურში და რატომ არ განუცხადა იტალიასა და ევროპის პარლამენტებს, რომ დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს გეგმა წინასწარ არ იცოდა?

იტალიური კანონით, პროკურორმა უნდა გააგრძელოს გამოძიება სამხილის მოსაპოვებლად ისეთ შემთხვევაში, თუ უდავოდ სერიოზული დანაშაულის ნიშნები ჩანს. მეორეს მხრივ, იტალიის ყოფილი პრეზიდენტი ფრანჩესკო კოსიგა ამბობს, მიმდინარე გამოძიება უდავო უხერხულობას უქმნის სამსახურს, რომელიც იტალიას დაეხმარა ისლამური ტერორისტების თავდასხმების არდაშვებაში თავის ტერიტორიაზე. ამ სამსახურის მეგობრები სხვა დასაზვერვო სამსახურებში გაოგნდებიან, როცა შეიტყობენ, რომ იტალიელმა პროკურორებმა გადაიჭირეს იტალიის სამხედრო დაზვერვის სატელეფონო საუბრები და, შესაძლებელია, ამ უკანასკნელთა ჩანაწერები იქცეს საჯარო დოკუმენტებად ბრალის წაყენების შემთხვევაში.

რაც შეეხება თვით აბუ ომარს, იგი აღარავის ახსოვს. მისი ვექილის სიტყვით, იგი ალ-თორას ციხეშია ქაიროში, სადაც მას სისტემატურად აწამებენ. მან სამჯერ სცადა თავის მოკვლა.

# დემოგრაფია აღმოსავლეთ ევროპაში (THE ECONOMIST-იდან)

## (მოსახლეობა ბებერია. რატომ?)

ღარიბ ქვეყნებში შობადობა მაღალია. რომ მდიდრდებიან, იგი ეცემა. ეს საყოველთაო კანონი აღმოსავლეთ ევროპაში ანუ ნასაბჭოვარ ქვეყნებში არ მუშაობს. ყველაზე უარესი პროგნოზია უკრაინასა და ბულგარეთში, სადაც 2025 წლისთვის მოსახლეობა მკვეთრად

შემცირდება. ესტონეთსა და ლატვიაშიც სურათი ცუდია (ეკონომიკა იქ ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია). მოსახლეობის დაბერება, ბუნებრივია, თავის მხრივ აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.

ცუდი დემოგრაფია, ჟურნალის აზრით, კომუნისტური ეპოქის შედეგია. ქალის ნაყოფიერება, ჩვეულებრივ, ეცემა ხოლმე, როცა სიმდიდრე და განათლება მატულობს. კომუნისტებმა შექმნეს უცნაური კომბინაცია: ქალები, რომლებიც განათლებამ მოამზადა მდიდარი სამყაროს სტანდარტებისათვის, მაგრამ ცხოვრობენ ქვეყნებში, რომლებიც გაუბედურებულია ცენტრალური დაგეგმვის ჩავარდნის (Collapse) გამო. კომუნისტურ ქვეყნებში ქალები შვილებს, ჩვეულებრივ, ადრე აჩენდნენ (20წლის და ცოტა ზემოთ). ქალების არჩევანმა, რომ დრო ატარონ და ფული აკეთონ მდიდარი ქვეყნების ქალებივით, შეამცირა მათი ნაყოფიერება. დროებით მაინც. პოლონეთში საშუალო ასაკი შვილის ყოლისა ქალისთვის იყო 22 წელი. 2001 წელს გახდა 26 წელი.

მდგომარეობას ამძიმებს არასტაბილობა და კორუფცია ნაკომუნისტარ ქვეყნებში. მათ გააცდინეს უკვე 15 წელიწადი, ახლა კოჭლობით მისდევენ სხვა ქვეყნებს და სახსრები არ ჰყოფნით თავის სიძნელეთა დასაძლევად. მაგრამ სავალალო დემოგრაფია იწვევს სასწრაფო რეფორმის აუცილებლობას.

ესტონეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორ წახალისებებს შედეგი მოაქვთ, მაგალითად, დეკრეტული შვებულების გადადებამ ესტონეთში 2003 წელს 800 ბავშვით მეტი მოიყვანა 2004 წელს და 1200-ით მეტი – 2005 წელს.

# კოსოვოელი სერბების პოზიცია Th e Economist-ის თვალით

სპილოების ჩხუბში ბალახი ითელება. ასევე ემართებათ კოსოვოში მაცხოვრებელ სერბებს, როცა მათი ბედის საკითხს მსოფლიოს დიდი ძალები იხილავენ. კოსოველი ალბანელები იმედოვნებენ, რომ წლის ბოლოსთვის მათი დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნება გაფორმებული, მაგრამ ჟურნალი ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს ასე მალე არ მოხდეს. არსებობს იდეა, რომელსაც ფრთხილად ავრცელებენ საქმეში მონაწილე დიპლომატიურ წრეებში, რომ შესაძლებელია სერბებით კომპაქტურად დასახლებული ჩრდილო ნაწილი კოსოვოს მოსწყდეს და სერბიას დარჩეს. მაგრამ სერბები კოსოვოში სხვაგანაც ცხოვრობენ, არაკომპაქტურად. იმ ადგილებისათვის ლაპარაკია ეფექტიანი (ქმედითი) ავტონომიის შექმნაზე. მაგრამ არის ისეთი მცირე თემიც, რომელიც ავტონომიისთვის არ კმარა. სერბიის ხელისუფლება ცდილობს თავისი მოსახლეობის იქ დამაგრებას, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. ალბანელების პოზიციაა „კოსოვოში ვიგუებთ სერბებს, მაგრამ არა ბელგრადს“.

რედაქციისაგან: კოსოვოს შემთხვევა ნათლად მეტყველებს იმაზე, რა შედეგი მოაქვს ერისა და სახელმწიფოსათვის უცხო მოსახლეობის დასახლებას თავის ტერიტორიაზე. ეჭვი არაა, რომ კოსოვოს მაგალითი რადიკალურად გააძნელებს იმიგრაციის პროცესებს მსოფლიოში.

**გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში**


**სარედაქციო კოლეგია**

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
**ტელ:** 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
**გაზეთის ინდექსი 66447**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.